გორდა ღიბრაძე

2012 წლიდან დღემდე მუშაობს „ახალგაზრდა ექსპერტთა ასოციაციაში“, ანალიტიკოსად;

2013 წლიდან დღემდე მუშაობს „საქართველოს გეოსტრატეგიული და ევროატლანტიკური კვლევების ინსტიტუტში“, ანალიტიკოსად.

2014 წელს დაამთავრა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;

2016 წელს დაამთავრა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა;

2019 წლიდან დღემდე მუშაობს „კრეატიული ხელოვნების ცენტრში“ მიწვეულ ლექტორ-მასწავლებლად.

2022 წელს მიიღო პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის ხარისხი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში;

2022 წლიდან დღემდე მუშაობს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი ცენტრის ,,ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საფრთხეების სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის” ბირთვული უსაფრთხოების ექსპერტ-ანალიტიკოსად.

ᲒᲝᲠᲓᲐ ᲦᲘᲑᲠᲐᲫᲔ

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ 21-Ე ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ

გორდა ღიბრაძე

სამხედრო პონფლიქტებისა და ბირთვული უსაფრთხოების ფაქტორი 21-ე საუკუნეში

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური
და ბირთვული საფრთხეების
სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი.**

გორდა ღიბრაძე

სამხედრო კონფლიქტებისა
და ბირთვული უსაფრთხოების
ფაქტორი 21-ე საუკუნეში

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი 2023

რედაქტორი: ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ვარშავის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პროფესორი სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, USIA Alumni.

რეცენზენტები:

ალიკა გუჩუა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიტიკოსი. ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საფრთხეების სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

ვახტანგ კაპანაძე

გენერალ-მაიორი (გადამდგარი), სამხედრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი 2004-2005 და 2013-2016 წლებში. ღირსების ორდენისა და ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენის კავალერი.

დამკაბადონებელი: თამარ ტყაბლაძე

წიგნის ავტორი მადლიერებას გამოხატავს
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერის,
ბატონ **ვახტანგ წივწივაძის** და ამავე უნივერსიტეტის **ქბრბ**
საფრთხეების სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მიმართ,
წიგნის გამოსაცემად გაწეული მხარდაჭერისათვის.

© გორდა ღიბრაძე, 2023

ISBN 978-9941-508-02-8

სამხედრო პოლიტიკური კონფლიქტები და ბირთვული უსაფრთხოება, ითვლება 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევად, ამ პროცესების შესწავლა და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები საშუალებას იძლევა გაგებული და გააზრებული იქნას ის ძირითადი ფაქტორები, რაც ხელს უწყობს ან უშლის გლობალური უსაფრთხოების დამკვიდრებას, ასევე თუ რა საფრთხეების, რისკების მატარებელია სამხედრო კონფლიქტები.

წიგნის პრაქტიკული მნიშვნელობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი დამხმარე წყარო იქნება ამ თემატიკაზე მომუშავე ყველა ანალიტიკოსის და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტისთვის. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გამოყენებული აბრევიატურები.....5

წინასიტყვაობა.....6

შესავალი.....7

თავი პირველი - უკრაინის პროცესები და ბირთვული
უსაფრთხოების პრობლემა.....9

თავი მეორე - რუსეთიდან მომდინარე ბირთვული საფრთხე
და საერთაშორისო უსაფრთხოება.....20

თავი მესამე - კონფლიქტების კლასიფიკაცია სამხედრო
უსაფრთხოების კონტექსტში 28

თავი მეოთხე - სამხედრო კონფლიქტები და მათი
ტრანსფორმაციის საკითხები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში 33

თავი მეხუთე - რუსული ჰიბრიდული ომის ანატომია.....38

თავი მეექვსე - 21- ე საუკუნის საერთაშორისო
უსაფრთხოების სისტემა.....47

თავი მეშვიდე - ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი 53

თავი მერვე - სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და
მისი რეგიონული უსაფრთხოება.....61

თავი მეცხრე - სამხრეთ კავკასია და მთიანი
ყარაბაღის კონფლიქტი.....70

თავი მეათე - რუსეთ - საქართველოს სამხედრო
კონფლიქტის ანალიზი.....80

თავი მეთერთმეტე - რუსეთ - საქართველოს აგვისტომ
ომის სამხედრო - სტრატეგიული ანალიზი.....88

თავი მეთორმეტე - რუსეთ - საქართველოს სამხედრო
კონფლიქტის გავლენა გლობალური უსაფრთხოებაზე.....100

დასკვნა.....111

ბიბლიოგრაფია 114

გამოყენებული აბრევიატურები

NPT - Nuclear Nonproliferation Treaty -
ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება;
WMD - Weapon of mass destruction -
მასობრივი განადგურების იარაღი;
DTRA - აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტო
EU – European Union –
ევროკავშირი, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება;
ENP – European Neighbour Policy -
ევროპული სამეზობლო პოლიტიკა;
EaP- Eastern Partnership - აღმოსავლეთ პარტნიორობა;
EUMM – European Union Moritoring Mission -
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია;
GID – Geneva International Discussions -
ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები;
IPAP – Individual Partnership Action Plan -
ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა;
NS - North Stream - ჩრდილოეთი ნაკადი;
NATO - North Atlantic Treaty Organisation –
ნატო, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია;
OSCE - Organisation for Security and Co-operation in Europe -
ეუთო, ევროპაში თანამშრომლობისა და
უსაფრთხოების ორგანიზაცია;
BTC - Baku–Tbilisi–Ceyhan pipeline -
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი;
BTE - Baku – Tbilisi –Erzurum -
ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენი;
SCP - South Caucasus Pipeline - შაჰდენიზის გაზსადენი.

წინასიტყვაობა

ბირთვული უსაფრთხოების საკითხი ერთ - ერთი ყველაზე განხილვადი თემაა თანამედროვე მსოფლიოში, ის განსაკუთრებით აქტუალური გახდა უკრაინაში მიმდინარე პროცესების შემდეგ. უსაფრთხოების თემას უკავშირებენ ახალი მსოფლიო წესრიგის მოწყობასა და თანამედროვე გამოწვევებს, რომელთა წინაშე მსოფლიო აღმოჩნდა. არსებული სამხედრო კონფლიქტები, რომლებიც დღესდღეობით მიმდინარეობს დიდ გამოწვევად ითვლება თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე.

თანამედროვე მსოფლიოში განვითარებულმა პროცესებმა დაგვაფიქრა ისეთ გარემოებებზე, როგორებიცაა: გლობალიზაციური პროცესები, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა დაძაბვის მკვეთრი ზრდა, ერთეული სახელმწიფოების დომინირება მსოფლიოზე. ასეთმა ხედვამ ჩამოაყალიბა ახალი დარგი, სადაც უსაფრთხოების საკითხები გადატანილია გლობალურ სიბრტყეში. დღესდღეობით ზოგიერთი სახელმწიფო ეროვნული უსაფრთხოების საკუთარ სტრატეგიაში რთავს გლობალურ საკითხებს, როგორებიცაა: ასიმეტრიული საფრთხეები, ბირთვული უსაფთხოება, მსოფლიო უსაფრთხოების გაძლიერება ჯანდაცვის კუთხით, გლობალური ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბება, კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლა.

შესავალი

XXI საუკუნეში განვითარებული მოვლენების ფონზე, კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ რა არის უსაფრთხოება და რა წარმოადგენს მის მთავარ რეფერენტს? უფრო და უფრო რთული ხდება იმის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების გაგება მაქსიმალურად ფართოვდება და წარმოგვიდგება, უმთავრესად სადაო კონცეფტი, რომლის გააზრება განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა დისკურსით მივუდგებით საკითხს. მეორე მხრივ, ეს სირთულე ვლინდება სხვადასხვანაირი ტიპის მოთამაშეებში, რომლებიც ცდილობენ უსაფრთხოების პოლიტიკა გაატარონ და შესაბამისად ჩამოაყალიბონ უსაფრთხოების განსხვავებული მიდგომები. მსოფლიოში სამხედრო პოლიტიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს, სამხედრო კონფლიქტების არსებობა. მე-20 საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვნად შემცირდა მსხვილმასშტაბიანი მსოფლიო ომის საფრთხე მასობრივი განადგურების იარაღის მეშვეობით, მაგრამ 21-ე საუკუნის რეალობიდან გამომდინარე ეს ყველაფერი შესაძლოა გადაიზარდოს მსხვილმასშტაბიან ომში. მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება და არსებული საფრთხეები ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების მომასწავებელია. მსოფლიო ომი თავის მხრივ არის, გლობალური ხასიათისა და მასშტაბის საერთაშორისო წინააღმდეგობათა სამხედრო ძალადობის გამოყენებითი ფორმა, მისი იდეა წარმოადგენს საკითხს, მსოფლიო პოლიტიკურ - სამართლებრივ მოწყობისა და განვითარების საერთო გეზის შესახებ. საომარი შეტაკება კვალიფიცირდება, როგორც სახელმწიფოთა კოალიციების დაპირისპირება, ყველა დიდი სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობით, რომელშიც ექცევა მსოფლიო ქვე-

ყნების მნიშვნელოვანი ნაწილი. ტერმინი „საერთაშორისო უსაფრთხოება“ ხშირად განიხილება, როგორც ზოგადი სახელწოდება, რომელიც შეიძლება გავიგოთ, როგორც „არაღიარებული კონსენსუსი“. წლების მანძილზე ტერმინის შინაარსი ტრანსფორმირდა და დღეისათვის, ის მოიცავს ერთმანეთთან აკუმულირებულ მთელ რიგ საკითხებს მსოფლიოში, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანთა ერთობლივ არსებობაზე. საერთაშორისო უსაფრთხოებაში იგულისხმება ჩვეულებრივი სამხედრო ძალის რეჟიმი, სახელმწიფოებს შორის ომის მიზეზები და შედეგები, ეკონომიკური სიძლიერე, ეთნიკური, რელიგიური და იდეოლოგიური კონფლიქტები, სავაჭრო და ეკონომიკური კონფლიქტები, ენერგორესურსების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, სასურსათო და სხვა საფრთხეები ადამიანის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის, ქვეყნების გარემოს დაცვის, ინფექციური დაავადებების გაუვრცელებლობის, კლიმატის ცვლილების და არასახელმწიფო სექტორების საქმიანობა. ტერმინი „უსაფრთხოება“ ხშირად განიხილება, როგორც ზოგადი სახელწოდება, რომელიც შეიძლება გავიგოთ, როგორც „არაღიარებული კონსენსუსი“. უსაფრთხოების ტრადიციული პარადიგმა ეხება რეალისტურ კონსტრუქციას, რომელშიც უსაფრთხოების ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო. ეს თეორია ჩამოყალიბდა გასულ საუკუნეში და განვითარების პიკს მიაღწია “ცივი ომის” პერიოდში. თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მსოფლიოს უძლიერესმა სახელმწიფოებმა საკუთარი ხალხის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება ძალთა ბალანსის წყალობით შეინარჩუნეს. ტრადიციული უსაფრთხოება ეყრდნობოდა ორ ზესახელმწიფოს — საბჭოთა კავშირს და აშშ-ს შორის არსებულ სამხედრო პოტენციალს, ეროვნულ ინტერესებს და აბსოლუტურ სუვერენიტეტს. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო სტაბილურობა ეყრდნობოდა გზავნილს, რომ თუ სახელმწიფოთა შორის უშიშროება შენარჩუნებულია, მაშინ მოქალაქეების უსაფრთხოებაც დაცულია. უსაფრთხოება განიხილებოდა, როგორც ქვეყანაში შეჭრისაგან თავდაცვა.

თავი პირველი - უკრაინის პროცესები და ბირთვული უსაფრთხოების პრობლემა

დღევანდელი უკრაინის აღმოსავლეთსა და სამხრეთში სლავური მოსახლეობა მხოლოდ მე-18 საუკუნეში გაჩნდა. ამ ტერიტორიებზე სახლდებოდნენ კოლონისტები როგორც რუსებით, ისევე უკრაინელებით დასახლებული რეგიონებიდან და უმრავლესობას ამ ტერიტორიებზე დღეს სწორედ ეთნიკური უკრაინელები შეადგენენ. თუმცა, ეს კოლონიზაცია ორგანიზებული იყო რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ. ამან კი დატოვა გრძელვადიანი კულტურული და იდეური გავლენა ხსენებული ტერიტორიების მოსახლეობაზე, რაც დღემდე თავს იჩენს[1]. მე-19 საუკუნეში დაწყებული უკრაინული ეროვნული მოძრაობა ნაკლებად გავლენიანი იყო ამ „ახალ” ტერიტორიებზე. იგივე ტენდენცია გაგრძელდა მე-20 საუკუნეშიც.

მაიდნის პროცესები

მაიდანის საპროტესტო მოძრაობაში ჩართულობამ, აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინაში ნელ-ნელა გააძლიერა უკრაინული სახელმწიფოებრივი იდენტობა, რასაც ადასტურებდა იქ მცხოვრები ადამიანები. ხანგრძლივმა პროცესებმა, რომელმაც არაერთი თაობა გამოიცვალა, უკრაინულ საზოგადოებას საბოლოოდ გააერთიანა უკრაინის სახელმწიფოებრივი იდენტობის გარშემო[2].

1. *The 20th-Century History Behind Russia's Invasion of Ukraine -https://www.smithsonianmag.com/history/the-20th-century-history-behind*
2. *HOW THE US HELPED SET 'UKRAINE ON FIRE' https://therealnews.com/iiopatonok0810ukraine?*

ევრაზიული კავშირის იდეით შეპყრობილი პუტინის, ერთ-ერთი მთავარი მიზანია რუსეთის მიერ ზეგავლენის მოხდენა პოსტსაბჭოთა ქვეყნების რესურსებზე, რადგან მხოლოდ რუსეთის ფედერაციის შიდა რესურსი აშკარად არასაკმარისია, მეტიც, რუსეთი იმყოფება ღრმა სისტემურ კრიზისში, რომელიც მის ლიდერებში გარდაუვალი სამომავლო კრახის შიშებს ბადებს. რუსეთის გეოსტრატეგიული გაფართოება, კერძოდ კი, კონტროლის დამყარება მეზობელ ქვეყნებსა და მათ რესურსებზე, ამ კრახის თავიდან აცილების პრევენციად განიხილება. ამ თვალსაზრისით, უკრაინის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ რესურსს საკვანძო მნიშვნელობა აქვს.

რუსეთის მცდელობა, დაიბრუნოს კონტროლი ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებზე უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე სხვა. საქართველო მოიაზრება იმ ქვეყნებს შორის, რომლებზეც ამა თუ იმ ფორმის კონტროლის დამყარება რუსეთს ძალიან სჭირდება. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი კრემლისთვის მაინც უკრაინაა. უკრაინის მნიშვნელობის კიდევ ერთი ასპექტი გეოგრაფიული მდებარეობით განისაზღვრება, ამ ყველაფერს რამოდენიმე ფაქტორი მოწმობს, კრემლის ზოგადი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ სრულიად დაუშვებელია, ტერიტორია, რომელსაც აქვს გრძელი საზღვარი რუსეთის ცენტრალურ ნაწილთან, მას არ ექვემდებარებოდეს[3]. უკრაინის გარდა, ამ ტიპის საზღვარი რუსეთთან მხოლოდ ყაზახეთს და ბელარუსს აქვთ. ორივე ეს ქვეყანა უკვე შედის საბაჟო კავშირში და, შესაბამისად, ამ ქვეყნების ადგილი ევრაზიულ კავშირშია რომელიც წარმოადგენს საბაჟო კავშირის გრადაციის შემდგომ ეტაპს. შესაბამისად, კრემლის გადასახედიდან, პრობლემური ამ თვალსაზრისით მხოლოდ უკრაინაა.

გეოგრაფიული ასპექტის ინტერესთა სფეროა უკრაინის ფართო გასასვლელი შავ ზღვაზე, მათ შორის, სევასტოპოლის საზღვაო ბაზა, სადაც განლაგებულია ამ ზღვაზე რუსული ფლოტის მთავარი ძალები[4]. იანუკოვიჩის ხელისუფლების მიერ ხელმოწერილი შეთანხმებებით რუსეთს 65 წლით გადაეცა სევასტოპოლის ბაზის გამოყენების უფლება, მაგრამ უკრაინაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს[5].

ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის პრე ისტორიას თუ გადავავლებთ თვლას, უნდა ავღნიშნოთ, რომ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში რუსეთი ანხორციელებდა აშკარად არამეგობრულ პოლიტიკას უკრაინის მიმართ. წლების განმავლობაში ის მანიპულირებდა ბუნებრივ აირის ფასებით, ამასთან ერთად, რუსეთი ახდენდა უკრაინაზე ზეწოლას, რათა მას გადაეცა „გაზპრომისთვის" უკრაინული ნავთობისა და გაზის ეროვნული კორპორაცია „ნაფტოგაზი"[6]. 2013 წლის

3. *Standing for Democracy - https://www.faithfulcitizens4truth.org/standing-for-democracy-in-ukraine?E*

4. *Russia's Militarization of the Black Sea: Implications for the United States and NATO - https://cepa.org/comprehensive-reports/russias-militarizationite/*

5. *Russia in the Black Sea - https://www.mei.edu/publications/russia-black-sea*

6. *Remarks by Ambassador Yovanovitch at Opening of Naftogaz Oil and Gas Forum - https://ua.usembassy.gov/remarks-ambassador-yovanovitch*

აგვისტოში, უკრაინის მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დაგეგმილი ხელმოწერის მოახლოებასთან ერთად, ამას დაემატა სავაჭრო ომი სადაც უკრაინულ საქონელს ფორმალური მიზეზებით აკავებდნენ რუსეთის საზღვარზე. ეს იყო კრემლის გზავნილი უკრაინელი ოლიგარქებისთვის იმის შესახებ, რომ უკრაინის ევროინტეგრაციის შემთხვევაში, რუსეთი უზრუნველყოფდა მათი ინტერესების მნიშვნელოვან დაზარალებას. მაგრამ რუსეთი ვერ შეძლებდა ასოცირების ხელშეკრულების უკრაინის მიერ ხელმოწერის ჩაშლას, რომ არა თავად ამ ქვეყანაში არსებული შიდა პრობლემები, რამაც მაიდნის პროცესებს და უკრაინის დიდ კრიზის ჩაუყარა საფუძველი. მაიდნის საპროტესტო მუხტის პერიოდში, 2013 წლის 17 დეკემბერს, პუტინმა და იანუკოვიჩმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობით აქტს, რომლის მიხედვით, რუსეთს უკრაინისთვის უნდა გადაეცა კრედიტი 15 მილიარდი დოლარის ოდენობით და მნიშვნელოვნად უნდა შეემცირებინა ბუნებრივი აირის ფასი[7]. კაბალურმა შეთანხმებამ იანუკოვიჩის მთავრობა ფაქტობრივად კრემლის დაქვემდებარების ქვეშ მოაქცია. შედეგად, უკვე არსებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა პერმანენტული სახე მიიღო. ამან უკრაინას მიაყენა დამატებითი ეკონომიკური ზარალი და შექმნა კიდევ უფრო მასშტაბური პოლიტიკური დესტაბილიზაციის პროცესი.

იანუკოვიჩის ავტოკრატიულმა რეჟიმმა 2014 წლის 16 იანვარს უმაღლეს რადაში მიიღო კანონი. ამ კანონებმა მნიშვნელოვნად შეზღუდა საპროტესტო აქციების ჩატარების თავისუფლება. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსში დაბრუნდა სასჯელი ცილისწამებისთვის, რაც 2 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამარტივდა დეპუტატებისთვის იმუნიტეტის მოხსნა, რამაც უფრო ადვილი გახადა ოპოზიციის წევრთა პოლიტიკური დევნა. კანონების მიღების შემდეგ საპროტესტო ტალღამ მოიცვა უკრაინის ქალაქების

7. Russia reaches deal with Ukraine on $15 billion bailout - https://www.cnbc.com/2013/12/17/russia-reachesl

ქუჩები. უკრაინელებმა უბრალოდ არ მიიღეს იანუკოვიჩის კურსი ავტორიტარიზმისკენ[8], რომელიც წინააღმდეგი იყო ევროინტეგრაციის და უარყოფთა ყველაფერს დასავლურს, მხოლოდ რუსეთთან ინტეგრაცია მიაჩნდა მნიშვნელოვან მოვლენად. ამის შემდეგ უკრაინის მოვლენებმა ნამდვილად რევოლუციური სახე მიიღო.

ამ მოვლების კვალდაკვალ 2014 წლის 5 სექტემბეს უელსში ნატოს სამიტი გაიმართა, რომლის მთავარი განსახილველი თემა იყო უკრაინის კრიზისის მოგვარება. სამიტის შემდგომ ვითარება უკრაინაში დრამატულად შეიცვალა და 2014 წლის ნოემბერში კლვალ განახლდა დაპირისპირება, რომელმაც უფრო მასშტაბური სახე მიიღო. აღნიშვნულმა მოვლენებმა გარკვეულ წილად შეცვალა დამოკიდებულება უკრაინის საკითხის მიმართ, მიუხედავად იმისა 2014 წლის უელსის ნატოს სამიტზე წევრმა ქვეყნებმა უკრაინას მხარდაჭერა გამოუცხა-

უელსის ნატოს სამიტი, 2014 წელი

8. Ukraine protests after Yanukovych EU deal rejection - https://www.bbc.com/news/world-europe-25162563

დეს[9]. მოკავშირეებმა შეიმუშავეს „A Comprehensive And Tailored Package of Measures"

უკრაინის დასახმარებლად, რაც გულისხმობდა მხარდაჭერას ოთხი მიმართულებით: დაშავებული სამხედრო პირების რეაბილიტაციას, კიბერ-თავდაცვას, ლოჯისტიკას, კონტროლს, კომუნიკაციის[10]. მან ასევე მოუწოდა რუსეთს, რომ გამოეყვანა თავისი რაზმები უკრაინიდან და შეეწყვიტა ყირიმის არალეგალური ანექსია. ამ სამიტის შედეგს უკრაინისათვის წარმოადგენდა ის, რომ ნატოს წევრები მხარს უჭერდნენ უკრაინას და გამოხატავდნენ სურვილს, რომ რაც შეიძლება მალე მომხდარიყო კონფლიქტის დე-ესკალაცია.

2015 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა უკრაინაში შექმნილ ვითარებას უწოდა უკრაინულ-რუსული კონფლიქტი, ამიტომ კონფლიქტის დიპლომატიური ზომებით მოუგვარებლობა მოსალოდნელ ომს მოასწავებდა. 2014 წლის დეკემბერში აშშ-ს კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც მოხდა რუსეთისათვის ახალი ეკონომიკური სანქციების დაწესება და საჭიროების შემთხვევაში უკრაინული მხარისათვის ლეტალური იარაღის მიწოდება, თუმცა ეს საკითხი მათ ევროპელ პარტნიორებთან ერთად უნდა განეხილათ. ამასთანავე, ევროკავშირი ძალიან ფრთხილ პოზიციას იჭერს უკრაინის კრიზისთან მიმართებით, 2015 წლის 13 თებერვალს ბრიუსელში ევროპარლამენტმა რუსეთისათვის ახალი ეკონომიკური სანქციების პაკეტი არ განიხილა, რადგან 2015 წლის 12 თებერვალს მინსკში „ნორმანდიული ოთხეულის", გერმანიის, საფრანგეთის, უკრაინის, რუსეთის პირველი პირების, მიერ მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული მოვლენებიდან 7 წლის თავზე უკრაინაში პროცესები ძალიან მძიმედ განვითარდა, რუსეთმა 2022 წლის 24 თებერვლის დილით, უკრაინაში სრულმასშტაბიანი

9. NATO Wales Summit Guide - https://www.nato.int/cps/en/natohq/news_112107.htm
10. An Evaluation of the Wales Summit: NATO builds coalitions for conflict on multiple fronts - https://natowatch.org/pdf

ომი წამოიწყო. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა დონბასისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეგიონების დაცვის საბაბით უკრაინაში „სამხედრო ოპერაციის" დაწყების შესახებ განაცხადა[11]. პუტინმა სატელევიზიო მიმართვაში განაცხადა რომ, *„გარემოება გადამწყვეტ და დაუყოვნებლივ ქმედებებს საჭიროებს". „დონბასის სახალხო რესპუბლიკებმა რუსეთს დახმარების თხოვნით მიმართეს. ამასთან დაკავშირებით, გაერო-ს დადგენი-*

ლების მე-7 ნაწილის, 51-ე მუხლის შესაბამისად, ფედერალური საბჭოსა სანქციით და დონეცკსა და ლუგანსკთან ფედერალური ასამბლეის მიერ რატიფიცირებული მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებების შესაბამისად, მე მივიღე გადაწყვეტილება სპეციალური სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად",. ომის დაწყებიდან რუსეთი არაერთხელ დაემუქრა უკრაინას და მსოფლიოს ბირთვული იარაღის გამოყენებით, რითაც ხაზი გაუსვა მის სტრატეგიულ უპირატესობას უკრაინასთან წა-

11. Why did Russia invade Ukraine and has Putin's war failed? - https://www.bbc.com/news/world-europe89

რმოებულ ომში[12]. რუსეთმა ბირთვული შანტაჟით გარკვეულ წილად გააფრთხილა ევროპა, რომ არ ჩართულიყო საომარ მოქმედებებში და უკრაინისთვის არ ეკონომიკური და სამხედრო დახმარება. მუქარების ინტენსიური გაჟღერებებიდან უნდა გამოვყოთ რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევის განცხადება[13], რომელმაც დასაშვებად მიიჩნია ბირთვული ომის შესაძლებლობა, თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) გადაწყვეტს მოსკოვის დასჯას უკრაინაში სავარაუდო დანაშაულისთვის. „იდეა, დაისაჯოს ქვეყანა, რომელსაც აქვს უდიდესი ბირთვული არსენალი, თავისთავად აბსურდულია და პოტენციურად ქმნის საფრთხეს კაცობრიობისათვის" - განაცხადა მედვედევმა. დასავლეთის ექსპერტების აზრით, რუსეთის პრეზიდენტის და პირველი პირების ბირთვული მუქარა განსხვავებულ კონოტაციაში განიხილება[14].

ომის დაწყებიდან მალე, მარტის და აპრილის თვეში ის მიმართული იყო ომში აშშ-ს და ნატოს სამხედრო ინტერვენციის შესაჩერებლად, ხოლო სექტემბერში, როდესაც უკრაინის ჯარები ფლობენ ინიციატივას და უკვე დაიწყეს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება, მუქარა მიზნად ისახავს კონფლიქტში ძალთა ბალანსზე გავლენის მოხდენას რუსეთის სასარგებლოდ. აშშ-ს პრეზიდენ-

12. What we know about the strikes on air bases hundreds of miles inside Russia - https://www.cnn.com/2022/12/06/europe/ukraine-russia-drone-attacks-l/index.html
13. Medvedev raises spectre of Russian nuclear strike on Ukraine - https://www.reuters.com/world/europe/russias-medvedev-warns-west--09-27/
14. Medvedev asserts Russia's 'right' to use nukes to defend its territory - https://www.timesofisrael.com/medvedev-affirms-russias-right/

ტმა ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი "არ ხუმრობს", როდესაც საუბრობს ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებაზე უკრაინაში წარუმატებლობის შემდეგ. ჟურნალისტის კითხვას ქიმიური ან ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების საკითხზე, მან უპასუხა: "არა, არა და არა. ამით თქვენ (რუსეთი) შეუცვლით ომს სახეს ისე, როგორც არასდროს მომხდარა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ". მან დამატებით განმარტა, რომ რუსეთის მოქმედება განსაზღვრავს იმას, თუ რა რეაგირებას მოახდენს შეერთებული შტატები. ექსპერტების მოსაზრებით არ არსებობა ისეთი მტკიცებულება, სადაც რუსეთი მზადყოფნაში მოიყვანს სახმელეთო ან საჰაერო მცირე რადიუსის ბირთვულ იარაღს, მაგრამ ისინი ბირთვული მუქარა სერიოზულად აღიქვამენ.

CIA-ს დირექტორმა უილიამ ბერნსმა განაცხადა, რომ ამერიკა სერიოზულად აღიქვამდა რუსეთის მიერ გაჟღერებულ მუქარას, მან აღნიშნა, რომ ტაქტიკური ბირთვული იარაღის ან დაბალი სიმძლავრის ბირთვული იარაღის პოტენციური გამოყენების საფრთხე გლობალურად საყურადღებო საკითხი იყო[15]. ამას გარდა, დასავლეთის ექსპერტების აზრით, კრემლში წითელ ხაზად აღიქმება დასავლეთის ჩართულობა საომარ მოქმედებებში, გარდა ამისა რამდენიმე ფაქტორი მიუთითებს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების შესახებ. კერძოდ, რუსეთში გამოცხადებული ნაწილობრივი მობილიზაცია მიუთითებს, რომ რუსეთს ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ სამხედრო შეტევით მოიპოვებს უპირატესობას უკრაინაში.

დღეისათვის ცნობილია, რომ რუსეთის შეიარაღებაში არსებობს 460 საჰაერო და სახმელეთო ბირთვული ქობინი ახლო მანძილზე წვდომით, რომელთაგან უმეტესობას აქვს დაახლოებით 10 კილოტონა ეკვივალენტური ასაფეთქებელი სიმძლავრე, რომლის მსგავსმა იარაღმა მიწანსთან გაასწორა ჰიროშიმა

15. The C.I.A. director meets with his Russian counterpart to warn against the use of nuclear weapons in Ukraine. - https://www.nytimes.comcia-burns-ukraine-russia-nuclear.html

და გამოიწვია 140 000-ზე მეტი ადამიანის სიკვდილი თავდასხმიდან რამოდენიმე თვის განმავლობაში.

2022 წლის 5 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა და რატიფიცირება გაუკეთა საბოლოო დოკუმენტებს უკრაინის ოთხი რეგიონის ანექსიის შესახებ. დოკუმენტების თანახმად, ლუგანსკის, დონეცკის, ზაპორიჟიისა და ხერსონის რეგიონები "მიიღეს რუსეთის ფედერაციაში". 5 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა, ასევე, ხელი მოაწერა განკარგულებას რუსეთის მიერ ზაპორიჟიაში ატომური ელექტროსადგურის ჩამორთმევის შესახებ. რუსეთი აცხადებს, რომ ევროპაში ყველაზე დიდ ატომურ ობიექტს ახალი კომპანია აამუშავებს, მაგრამ უკრაინის ბირთვული ოპერატორი უარს ამბობს, ახალ კომპანიასთან თანამშრომლობაზე.

არსებული რეალობიდან გამომდინარე ბირთვული შეკავების პოლიტიკა დიდი რისკის წინაშეა; ბირთვული იარაღის გამოყენების და ახალი ბირთვული შეიარაღების საფრთხე იზრდება[16]. ასევე, მოსალოდნელია, რომ უახლოეს პერიოდში საუბარი შეწყდება სრულ ბირთვულ განიარაღებაზეც, რაც უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულების -Nuclear Nonproliferation Treaty (NPT)- VI მუხლის შესრულების აუცილებლობაზე უარის თქმას (ვალდებულება აღებული აქვთ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრ ბირთვულ სახელმწიფოებს - P5); და, ასევე, 2021 წელს ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების, ბირთვული იარაღის აკრძალვის ხელშეკრულების (The Treaty on the Prohibition of Nuclear Weapons) ვალდებულებების შესრულებაზე მსოფლიო მასშტაბით ჯერ მხოლოდ 86 სახელმწიფომ მოაწერა ხელო, ხოლო 66 სახელმწიფოს პარლამენტმა მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება.

16 Russia's nuclear threat in the Ukraine war and international security - https://civilcouncil.org/about-2

თავი მეორე - რუსეთიდან მომდინარე ბირთვული საფრთხე და საერთაშორისო უსაფრთხოება

დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევად ბირთვული იარაღი და მისი გარვცელებლობა ითვლება, ბირთვული იარაღი მასშტაბური ფეთქებადი მოწყობილობაა, მისი ენერგიის წყარო კი ბირთვული რეაქციიდან გამომდინარეობს. ფარდობითობის თეორიის თანახმად შესაძლებელია მასა გადავაქციოთ ენერგიად. ბირთვული იარაღის მოქმედების პრინციპი ბირთვულ რეაქციას ეფუძნება. იმისთვის, რომ ჯაჭვური რეაქცია დაიწყოს, აუცილებელია შესაბამისი "საწვავი", ურანის იზოტოპის სახით.

საინტერესოა განვიხილოთ ატომის ბირთვის გახლეჩის პროცესი, რომლის დროს მძიმე ელემენტების ბირთვის გახლეჩით მიმდინარეობს, საუბარი გვაქვს მასის დეფიციტის პრინციპზე, რომელიც ფარდობითობის თეორიაში დიდ ფიზიკოს ალბერტ აინშტაინს აქვს ახსნილი. რაც მთავარია, ასეთი იარაღი საჭიროებს სუფთა და გამდიდრებულ ურანს. ურანის გამდიდრება და შემდგე მისი მოპოვება, ძალიან რთული ტექნოლოგიური პროცესია, მისი წარმოება ძალიან ცოტა ქვეყანას შეუძლია. რაც შეეხება უშუალოდ აფეთქების პროცესს: რეაქცია ჯაჭვურია, ურანის ბირთვი დაშლისას ასხივებს ნეიტრონებს,

რომლებიც თავის მხრივ ეჯახებიან ურანის სხვა ბირთვებს და ხლეჩენ მას[17].

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოში დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები დაიწყო, ცივი ომის პერიოდიზაცია მსოფლიო ორი ზესახელმწიფოს ამერიკას და საბჭოთა კავშირის დაპირისპირების ცენტრად იქცა. მაღალ კონკურენციაში ჩართული ორი ქვეყანა ცდილობდა მეტი და ძლიერი ბირთვული იარაღის შექმნას. 1961 წლის 30 ოქტომბერს საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ბირთვული მოწყობილობა გამოცადა. „მეფე-ბომბი", როგორც მას უწოდეს, 10-ჯერ უფრო მძლავრი იყო იმ ყველა სხვა საბრძოლო შეიარაღებაზე, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენეს. საბჭოთა კავშირი თავდაპირველად მიზნად ისახავდა მსოფლიო-

სთვის და განსაკუთრებით აშშ-ისთვის იმის დამტკიცებას, რომ მასაც შეეძლო ბირთვული მოწყობილობის წარმოება, თუმცა ამ ნაბიჯმა მოულოდნელი ასახვა ჰპოვა ბირთვული იარაღის შემდგომ გამოყენებაზე. „მეფე-ბომბი" საავიაციო წყალბადის ბომბთა კატეგორიას მიეკუთვნება[18]. იგი ცნობილია ასევე, რო-

17. *Atoms and Nuclear Reactions - https://kids.frontiersin.org/articles/.*
18. *Appliance of science: What happens when you split an atom? - https://www.*

გორც თერმობირთვული იარაღი, რომელსაც ჩვეულებისამებრ ატომური ბომბის სრულყოფილ და უფრო ძლიერ ვარიაციას უწოდებენ. იმ დროს, როდესაც ატომურ ბომბებში უმრავლეს შემთხვევაში ან ურანი გამოიყენება, ან პლუტონიუმი, წყალბადის ბომბიც ასევე საჭიროებს წყალბადის დამატებით იზოტოპებს - დეიტერიუმსა და ტრიტიუმს[19].

ბირთვული იარაღი შეიქმნის დღიდან, რუსეთი პირველი სახელმწიფო აღმოჩნდა, რომელმაც გამოიყენა პირდაპირი ბირთვული მუქარა უკრაინის მიმართ, მუქარა გარკვეულ წილად გამოწვეული იყო მისი პოზიციების დაკარგვით სამხედრო დაპირისპირებაში. რუსეთის მუქარის ფონზე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბირთვული ომის რისკი. ომის დაწყების დღიდან, 24 თებერვალიდან ის არაერთხელ დაემუქრა უკრაინას და მსოფლიოს ბირთვული იარაღის გამოყენებით, რითაც ხაზი გაუსვა მის სტრატეგიულ უპირატესობას უკრაინასთან წარმოებულ ომში. მუქარის საფუძველზე რუსეთის მიზანი გარკვეულ წილად იყო დასავლეთის და ნატოს წევრი ქვეყნების იძულებითი შეკავება, რადგან მათ უარი უნდა ეთქვათ, ჩართულიყვნენ სამხედრო კონფლიქტში. მას ასევე ძალიან აღიზიანებს დღესაც უკრაინისათვის გაწეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დახმარება.

2022 წლის მოვლენებმა მსოფლიოში შექმნა კრიზისული ვითარება რასაც მოჰყვა ევროპაში უდიდესი დევნილთა კრიზისი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 6 მილიონზე მეტმა უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და ქვეყნის მოსახლეობის მესამედი იძულებით გადაადგილებული პირი გახდა. შეჭრამ ასევე გამოიწვია გლობალური საკვების ნაკლებობა. გავიხსენოთ რვა წლის წინ დაწყებული პროცესები, 2014 წელს რუსეთი შეიჭრა ყირიმში და მოახდინა მისი ოკუპაცია, რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა

irishexaminer.com/lifestyle/arid-30901957.html

19. ბოლო ჟამის იარაღი: როგორ გამოიგონა და გამოცადა საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ბომბი - https://www.radiotavisupleba.ge/a/31537084.html

სეპარატისტებმა დაიკავეს დონბასის ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში, კერძოდ ლუგანსკისა და დონეცკის ოლქები, რამაც ადგილობრივ რეგიონში სამხედრო კონფლიქტს ჩაუყარა საფუძველი. 2021 წელს რუსეთმა დაიწყო ფართო სამხედრო ძალის თავმოყრა უკრაინის საზღვართან, თავი მოიყარა 190 000-ზე მეტმა სამხედრომ და მათმა აღჭურვილობამ. სატელევიზიო მიმართვაში ვლადიმერ პუტინმა როგორც ყოველთვის ალტერნატიული ისტორია უამბო მსოფლიოს და განაცხადა, რომ უკრაინას მართავდნენ ნეონაცისტები, რომლებიც ეთნიკური ნიშნით ავიწროებდნენ და სჯიდნენ რუსებს[20]. როდესაც პუტინმა გამოაცხადა „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ უკრაინის „დემილიტარიზაციასა და დენაციფიკაციისთვის“. რამდენიმე წუთში საჰაერო და სარაკეტო იერიშები დაიწყო უკრაინის ყველა რეგიონში, მათ შორის დედაქალაქ კიევშიც. ამას მოჰყვა სახმელეთო შეჭრა რამდენიმე მიმართულებით. უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკიმ გამოაცხადა საომარი მდგომარეობა და საყოველთაო მობილიზაცია 18-იდან 60-მდე ასაკის ყველა მამაკაცისთვის, რომლებსაც აეკრძალათ ქვეყნის დატოვება. რუსეთის შეტევა თავდაპირველად დაიწყო ჩრდილოეთის ფრონტზე ბელარუსიდან კიევის მიმართულებით, სამხრეთის ფრონტზე ყირიმიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტსა და აღმოსავლეთის ფრონტზე დონეცკისა და ლუგანსკიდან[21]. სუვერენულ სახელმწიფოზე თავდასხმა ფართომაშტაბიანად დაგმეს საერთაშორისო დონეზე[22]. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობდა შეჭრას და რუსეთისგან ითხოვდა ჯარების სრულიად გაყვანას უკრაინის ტერიტორიიდან. საერთაშორისო სასამართლომ უბრძანა რუ-

20. Russia-Ukraine war live: UN chief believes war in Ukraine 'will go on'; Putin in Belarus for talks with Lukashenko – as it happened - https://www.theguardian.com/world/live/2022/dec/19/russia-ukraine-war

21. Putin calls his actions in Ukraine 'correct and timely' - https://apnews.com/article/russia-ukraine-kyiv-moscow

22. The Impact of Sanctions and Export Controls on the Russian Federation - https://www.state.gov/the-impact-of-sanctions-and-export-controls

სეთს შეეჩერებინა სამხედრო ოპერაციები და ევროპის საბჭომ გააძევა რუსეთი წევრობიდან[23]. ბევრმა ქვეყანამ დააწესა სანქციები რუსეთზე, რომლებმაც სრულ იზოლაციაში მოაქცია ის. უსამართლობის განცდით გამსჭვალული ხალხის პროტესტები დაიწყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. საპროტესტო ტალღამ რუსეთში გადაინაცვლა, წარმოებულ აქციების ფონზე, მათ გააძლიერეს ტოტალური კონტროლი სოციუმზე, რუსეთში დემონსტრანტები გაზარდეს ცენზურა, აიკრძალა სიტყვები: „ომი“ და „შეჭრა“. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო გამოძიება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ უკრაინაში, 2013 წლიდან მოყოლებული, და ასევე იძიებენ 2022 წლის შეჭრისას ჩადენილ ომის დანაშაულებს.

2014 წლის თებერვალში პრორუსულმა უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა და უკრაინის საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა ხელი მოაწერეს მორიგების შეთანხმებას ევრომაიდნის მოძრაობის ფარგლებში, მეორე დღეს მას ქვეყნიდან გაძევების აქტი გამოუტანეს იმპიჩმენტის სახით, რადროსაც პრეზიდენტის უფლებამოსილება ჩამოერთვა[24]. მიუხედავად მისი გაქცევისა, რუსულენოვანი აღმოსავლეთ უკრაინის რეგიონების ლიდერებმა ერთგულება გამოუცხადეს იანუკოვიჩს, რამაც გამოიწვია პრორუსული არეულობა უკრაინაში. არეულობას მოჰყვა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია 2014 წლის მარტში და ომი დონბასში.

23. *Will International Sanctions Stop Russia in Ukraine? - https://www.cfr.org/in-brief/will-international-sanctions-stop-russia-ukraine?*
24. *Putin: Russia helped Yanukovych to flee Ukraine - https://www.bbc.com/news/world-europe-29761799*

2021 წლის ივლისში პუტინმა გამოაქვეყნა ესე, სახელწოდებით: რუსებისა და უკრაინელების ისტორიული ერთიანობის შესახებ, რომელშიც მან კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი სუბიექტური შეხედულება, რომ რუსები და უკრაინელები „ერთი ხალხია“[25]. ასევე მან განაცხადა, რომ უკრაინის შესაძლო გაწევრიანება ნატოში და ზოგადად ნატოს გაფართოება საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უსაფრთხოებას. მან უამრავ ტყუილთან ერთად ასევე თქვა: *„უნდა ვთქვა, რომ რუსოფობია პირველი ნაბიჯია გენოციდისკენ. მე და შენ ვიცით რა ხდება დონბასში. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ჰგავს გენოციდს.“* რუსეთმა ასევე დაგმო უკრაინული ენის კანონი. 2022 წლის 15 თებერვალს პუტინმა პრესას განუცხადა: „ის, რაც დონბასში ხდება, ზუსტად გენოციდია“. პუტინის ეს განცხადებები რა თქმა უნდა დიდი საფრთხის შემცველი იყო. გარკვეულ წილად გამაფრხილებელ ნიშნებს მოიცავდა ნატო - უკრაინის ურთიერთობების მიმართ[26]. სწორედ ბოლოდროინდელი მოვლების ფონზე პუტინს ყველაზე მეტად აღიზიანებდა ნატოს გაფართოება აღმოსავლეთ ევროპაში, პოლონეთში განლაგებულ ნატოს ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის განლაგებამ მასში დანერგა სამუდამო შიში თავდასმის კუთხით.

რუსეთ - უკრაინის სამხედრო კონფლიქტის მსვლელობისას, პუტინმა გასცა ბირთვული ძალების მაღალ მზადყოფნაზე დაყენების ბრძანება, NATO-ს წევრების „აგრესიული განცხადებების“ საპასუხოდ. ამ ბრძანებას მოჰყვა მძიმე კრიტიკა NATO-ს, ევროკავშირისა და გაეროს მხრიდან. იენს სტოლტენბერგმა ამას „საშიში და უპასუხისმგებლო უწოდა“, ხოლო სტეფან დუიარიკმა განაცხადა, რომ ბირთვული ომი „წარმოუდგენელია“[27]. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორმა უილიამ ბარნსმა, 14 აპრილს გააკეთა განცხადება, რომ იყო

25. *How to think about war in Ukraine - https://snyder.substack.com/p/how-to-think-about-war-in-ukraine*
26. *Ukraine's star author Kurkov says his native Russian should be curbed - https://www.france24.com/en/live-news*
27. *UN spokesman says idea of nuclear conflict 'inconceivable' https://www.timesofisrael.com/liveblog_entry/un-spokesman-says-idea-of-nuclear*

საფუძვლიანი ეჭვები იმის თაობაზე, პუტინი გამოიყენებდა ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს უკრაინის წინააღმდეგ. რუსეთის ბირთვული აგრესიის შემთხვევაში ნატოს ჩართულობა გარდაუვალი იქნებოდა პროცესებში, იენს სტოლტენბერგის განცხადებით ნატოს წევრი სახელმწიფოები არ დაუშვებდა რუსეთის ბირთვულ შანტაჟს ცენტრალურ ევროპის ქვეყნების მიმართ. ბოლო მუქარა გაჟღერებულ იქნა რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის მხრიდა 2022 წლის 6 ივლისს, მან არ გამორიცხა რუსეთის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენება და დასაშვებად მიიჩნია ბირთვული ომის შესაძლებლობა, მან ასევე ხაზი გაუსვა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელიც იკვლევდა მოსკოვის დასჯას უკრაინაში ჩადენილი დანაშაულისთვის. მედვედევმა თქვა, რომ *„იდეა, დაისაჯოს ქვეყანა, რომელსაც აქვს უდიდესი ბირთვული არსენალი, თავისთავად აბსურდულია და პოტენციურად ქმნის საფრთხეს კაცობრიობისათვის"* [28]. აშშ-ს სამხედრო ექსპერტები არ გამორიცხავენ ბირთვული იარაღის გამოყენებას არაბირთვული საფრთხეების წინააღმდეგ. ამიტომ, რუსეთის ომში უკრაინის წინააღმდეგ იზრდება რისკი, რომ ომი შეიძლება ძალიან მალე გადაიზარდოს ბირთვულ კონფლიქტში, თუნდაც ახლო-მანძილიანი „ტაქტიკური" იარაღის გამოყენებით. ნატოს ექსპერტების ვარაუდით ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში, არ არსებობს გარანტია, რომ ბირთვული ცეცხლი არ გავრცელდეს სხვა გეოგრაფიულ არეალშიც და მთელ დედამიწაზე[29]. როგორც კი ბირთვული იარაღი იქნება გამოყენებული, შეუძლებელი იქნება მისი გამოყენების შეზღუდვა კონფლიქტის მონაწილე ან სხვა მხარეებისთვის, რის შედეგადაც კონფლიქტი „გლობალურ ბირთვულ ომში" გადაიზრდება. საერთაშორისო კვლევების თანახმად დაახლოებით 13,000 ბირთვული ქობინი ჯერ კიდევ

28. Medvedev raises spectre of Russian nuclear strike on Ukraine - https://www.reuters.com/world/europe/russias-medvedev-warns-west-that-nuclear-threat
29. NATO's Nuclear Weapons: The Rationale for 'No First Use' - https://www.arms-control.org/act/1999-07

არსებობს და მათი უმეტესი ხვედრითი წილი რუსეთზე მოდის, ასევე საშიშ ტენდენციად მიიჩნევა ირანის ბირთვული გაძლიერება, საინტერესოა ჩინეთის ფაქტორი, რომელსაც აქვს პოლიტიკა "ბირთვული იარაღი პირველი გამოყენების გარეშე", და ამასთან, როგორც ჩანს, ზრდის თავის ბირთვულ არსენალს. მომატებული საფრთხეების ფონზე, გაერთიანებულმა სამეფომ საჯაროდ გამოაცხადა თავისი განზრახვა გაზარდოს ბირთვული ქობინების რიცხვი. 2022 წლის 17 ოქტომბერს, ნატომ აწარმოა ორკვირიანი წვრთნები ევროპაში, წვრთნები, ცნობილი იყო როგორც Steadfast Noon, რომელიც ორიენტირებული იყო ბელგიაში მდებარე კლეინ ბროგელის საავიაციო ბაზაზე, ევროპაში ექვსი საჰაერო ბაზიდან ერთ-ერთში, სადაც ინახება აშშ-ს ბირთვული არსენალი. წვრთნები ევროპის მასშტაბით ბირთვული ბაზების მნიშვნელოვანი მოდერნიზაციის კუთხით ჩატარდა[30]. Steadfast Noon წვრთნები ძირითადად ტარდება წელიწადში ერთხელ, მაგრამ 2022 წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან წრთვნების მასშტაბურობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ყველაზე დიდი აღმოჩნდა. მზარდი დაძაბულობისა და ბირთვული ომის უპრეცედენტო შიშიდან გამომდინარე Steadfast Noon-ში ჩართული იყო 14 ქვეყანა (ნატოს 30 მოკავშირის ნახევარზე ნაკლები) და 60-მდე თვითმფრინავი. მასში შედიოდა მეოთხე თაობის F-16 და F-15E, ასევე მეხუთე თაობის F-35A და F-22 გამანადგურებლები.

დღევანდელი ვითარებით ბირთვული შეკავების პოლიტიკა დიდი რისკის მატარებელია, ბირთვული იარაღის გამოყენების და ახალი ბირთვული გამალებული შეიარაღების საფრთხე იზრდება. ასევე, მოსალოდნელია, რომ უახლოეს პერიოდში შეიცვალოს პოლიტიკა სრულ ბირთვულ განიარაღებაზე, რაც უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულების -Nuclear Nonproliferation Treaty (NPT)- VI მუხლის შესრულების აუცილებლობაზე უარის თქმას.

30. NATO Steadfast Noon Exercise And Nuclear Modernization in Europe - https://fas.org/blogs/security/2022/10/steadfast-noon-exercise-and-nuclear

თავი მესამე - კონფლიქტების კლასიფიკაცია სამხედრო უსაფრთხოების კონტექსტში

,,ცივი ომის“ გადალახვამ, რომელიც გამოწვეული იყო ორი სოციალურ - ეკონომიკური სისტემის იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირების ნიადაგზე, მნიშვნელოვან წილად შეამცირა მსოფლიო ომის ბირთვული საფრთხე. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ომის წარმოების სხვადასხვა ფორმები, რომელიც მოიცვას: რეგიონულ, ლოკალურ და კოალიციურ სამხედრო წარმოებებს.

ლოკალური ომის ფორმა, რომელიც შეზღუდულია პოლიტიკური მიზნების და საომარი მოქმედებების თვალსაზრისით. კონკრეტული ლოკალური ომის მასშტაბებიდან გამომდინარე ზოგიერთი მათგანი ხასიათდება შეიარაღებული წინააღმდეგობის დაბალი ინტენსივობით, რომელსაც ,,მცირე ომი“ ეწოდება. არსებობდა ისეთი გარემოებებიც, რომლებიც ლოკალურ ომი შეიარაღებულ ფართო დაპირისპირებაში გადასულა. ეს 21-ე საუკუნის ძირითადად გამოწვევად ითვლება.

ასევე საინტერესოა კოალიციური ომის განხილვა, რომლის დროსაც საომარო მოქმედებები ხდება სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ცალკეული სახელმწიფოების ან მეორე სამხედრო - პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგ. კოალიციური ომის წარმოება ხდება უძველესი დროიდან, მის მთავარ იდეას წარმოადგენს, შეიარაღებული ბრძოლის ერთობლივი წარმოება მტრული კოალიციების და ძალების წინააღმდეგ.

კოალიციური ომის თვალსაჩინო მაგალითი იყო გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში წარმოებული სამხედრო ოპერაციები: ***,,უდაბნოს ფარი“ და ,,უდაბნოს ქარიშხალი“,*** რომლებიც განხორციელებულ იქნა ამერიკისა და მისი მოკავშირეების მიერ სპარსეთის ყურეში 1990 წლის 9 აგვისტოდან 1991 წლის 28 თებერვლამდე.

Gulf War Air Campaign (Operation Desert Storm)

გამწვავებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ომი სპარსეთის ყურეში აღმოჩნდა ყველაზე მსხვილი სამხედრო კონფლიქტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მასში ორივე მხრიდან მონაწილეობდა 35 ქვეყანა, მაგრამ ძირითადი დატვირთვა, დაახლოებით 80% კოალიციური ჯარებისა, მოდიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებზე. სპარსეთის ყურეში წარმოებული სამხედრო კონფლიქტის მასშტაბებმა 1,5 მილიონი სამხედრო მოსამსახურის ჩართვა გარდაუვალი გახადა[31]. 1990 წლის პირველი ნოემბრისათვის ამერიკელებს სპარსეთის ყურეში საჰაერო და საზღვაო გზით გადაყვანილი ჰყავდათ 500 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. ასევე აღსანიშნავია ერაყის ჩართულობა ომში, რომელმაც დიდ ძალებს მოუყარა თავი სამხრეთ ქუვეითში, რომლის სამხედრო რაოდენობა 800 ათას კაცს აღწევდა. საომარი მოქმედებები, რომლებიც ინტენსიურად მიმდინარეობდა, ფინანსური თვალსაზრისით ამერიკას ყველაზე ძვირი უჯდებოდა ვიდრე მთელ კოალიციურ ქვეყნებს

31 Persian Gulf War / HISTORY.COM EDITORSUPDATED:NOV 1, 2022ORIGINAL:NOV 9, 2009 - https://www.history.com/topics/middle-east/

ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს სამხედრო ოპერაციები იყო ერთგვარი დასკვნითი, შემაჯამებელი ეტაპი იმ დიდი რეფორმებისა რომლებიც მიმდინარეობდა თითქმის 20 წლის განმავლობაში, დაწყებული 1973 წლიდან და რომლის წარმატებით განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა პრეზიდენტ რონალდ რეიგანის პოლიტიკამ[32]. სპარსეთის ყურის ომი, აშშ-ს და კოალიციის ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ ქუვეითში შეჭრილი სადამ ჰუსეინის ძალების

Operation Desert Storm - War on the Rocks

წინააღმდეგ ითვლება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სამხედრო კამპანიად, სადაც ტაქტიკური სტრატეგიული ჩანაფიქრი სამხედრო და პოლიტიკურ კომპონენტებით იყო შესრულებული.

ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ საჰაერო ძალების ოპერატიული გამოყენების ჩანაფიქრით და მისი სამხედრო კამპანიაში მნიშვნელობის კუთხითაც გამორჩეული სამხედრო

32 U.S. Army Center of Military History / Operation DESERT SHIELD - https://history.army.mil/

კამპანიად ითვლებოდა. საჰაერო უპირატესობა, რომელიც აშშ-ს და მის მოკავშირეებს ომის მიმდინარეობის დროს გააჩნდათ, გასული საუკუნის ომების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი სამხედრო გამარჯვების დასრულდა. ოპერაციის სახმელეთო ფაზის დაწყებიდან, რომელი დაახლოებით 100 საათს გაგრძელდა და მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის ჯარებთან შედარებით მოწინააღმდეგეს ორმაგი უპირატესობა ჰქონდა ცოცხალ ძალასა და აღჭურვილობაში, კოალიციის დანაკარგები მთლიანად მხოლოდ 300 ადამიანს შეადგენდა. მოკლე სახმელეთო კამპანიის დროს კოალიციის ჯარები ერაყის ტერიტორიაზე დაახლოებით 240 კილომეტრზე შეიჭრნენ.



ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუში ესალმება ამერიკელ სამხედროებს

როგორცზემოთაღვნიშნეთროგორპრეზიდენტბუშს,ასევე კოალიციური ჯარების მეთაურს გენერალ ნორმან შვარცკოფს პირველი რიგში აღელვებდა ერაყის მრავალრიცხოვანი არმია

და სახმელეთო კამპანიის შესაძლო შედეგები33. როგორც იმ დროინდელი მოვლენების მონაწილეები ამბობენ, აღარავის სურდა ვიეტნამის ომის არსებული სისხლიანი გამოცდილების გამეორება და ძველი ჭრილობების ხელახალი გახსნა. 1988 წლის ბოლოს, ირან-ერაყის ომის დასრულების შემდგომ, ერაყის არმია მოცულობით მეოთხე ადგილზე იყო მსოფლიოში და 955 000 აქტიურ სამხედროს, 4500 ტანკსა და 500-მდე საბრძოლო თვითმფრინავს მოიცავდა. გაეროს უშიშროების საბჭოს 687-ე რეზოლუციის საფუძველზე მოხდა ცეცხლის შეწყვეტა[34]. ამ ყველაფერს მოჰყვა ქუვეიტის ტერიტორიის დეოკუპაცია, დაწესდა გაეროს სანქციები ერაყის მიმართ, პრევენცია მოხდა ხანგრძლივი და სისხლიანი სამხედრო კამპანიის. გეოპოლიტიკურ ჭრილში, მოხდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის შესუსტება, რაც საშუალებას იძლეოდა ძალთა ბალანსი რეგიონში დაცულიყო და ერაყის ჩამოშლის შედეგად არ მომხდარიყო ახალი აქტორების აღზევება.

33 გიორგი ანთიძე/ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ – 30 წელი გამორჩეული სამხედრო კამპანიიდან - https://geocase.ge/ka/publications
34 U.S. Army Center of Military History / OPERATION DESERT STORM: 17 JANUARY to 28 FEBRUARY 1991 - https://history.army.mil/html/bookshelves

თავი მეოთხე - სამხედრო კონფლიქტები და მათი ტრანსფორმაციის საკითხები „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში



მეორე მსოფლიო ომის პოსტერი

,,ცივი ომის'' თემა აქტუალურია დღესაც თანამედროვე მსოფლიოში, რადგან არ დამთავრებულა გეოპოლიტიკურ სივრცეში სახელმწიფოთა მიერ ტერიტორიის განაწილების საკითხი. თავდაპირველად ცივი ომი წარმოიშვა ომის შემდგომი მსოფლიო მოწყობის შესახებ განსხვავებული შეხედულებების შედეგად, რომელმაც გააჩინა ეჭვი და უნდობლობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, პირველი ასეთი კონფლიქტი მოხდა პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ამერიკა და დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს უმთავრეს მოწინააღმდეგედ მიიჩნევდნენ, მაგრამ გერმანიის აგრესიულმა ქმედებებმა, ვაშინგტონი და ლონდონი დააფიქრა უსაფრთხოების ახალი ზომების მიღებაზე. უსაფრთხოების ახალი კონცეფცია, საბჭოთა კავშირთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობით დამყარდა, წამყვანი ქვეყნის ლიდერების: ფრანკლინ რუზველტის, იოსებ სტალინის და იუნსტონ ჩერჩილის მთავარ სტრატეგიულ ამოცანად ფაშიზმის

დამარცხება იქცა. მათ იდეას ფრთები შეესხა, 1945 წელს სადაც უდიდესი მსხვერპლის ფასად მოხდა ფაშიზმის დამარცხება[35].

პოტსდამის კონფერენცია, 1945 წელი

ამავე წელს 1945 წლის ივლის - აგვისტოში გერმანიის ქალაქ პოტსდამში გაიმართა ,,დიდი სამეულის“ შეხვედრა. შეხვედრის მიზანი ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მთავარ იდეას ეფუძნებოდა. საერთო თანხმობისა და ნდობის ნაცვლად კონფერენციაზე თავი იჩინა ფუნდამენტურმა აზრთა სხვადასხვაობამ, რადგან სტალინს, როგორც დიდ ბელადს სურდა საბჭოთა კავშირის გავლენა აღმოსავლეთ ევროპაზეც გავრცელებულიყო. სტალინის იდეები მზარდი და დინამიური იყო, რადგან ფაშიზმის ერთადერთ დამმარცხებელს სურდა გაეძლიერებინა კომუნისტური პარტიების ჩართულობა მთლიანად ევროპის ქვეყნებში. ,,ცივი ომის“ პერიოდი ხანგრძლივი აღმოჩნდა მსოფლიოსთვის, წამყვან სახელმწიფოთა მწვავე დაპირისპირებამ და რადიკალურად განსხვავებული იდეურმა შეუთავსებლობამ, ეს პროცესები გასული საუკუნის 90-იან წლებამდე მიიყვანა[36]. ამ პერიოდმა გარკვეული ზეგავლენა იქონია კაცობრიობაზე, საბჭოთა კავშირმა გარკვეულწილად გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მაგრამ ამის შემდეგ თვითონვე მოახდინა მათი ოკუპაცია, სწორედ ეს იყო სტალინის გეგმა ფაშიზმის დამარცხება და კომუნიზმის გავრცელება, ამერიკის პოლიტიკა

35 The Cold War (1945–1989) - „Towards a bipolar world (1945–1953)“ – 2016. pp 3-5
36 Abashidze. Z. - "Cold War" past or present? - Tbilisi, 2009. p. 178-179

დასავლეთ ევროპის გათავისუფლების საქმეში განსხვავებული და სტრატეგიული იყო. მან დაინახა კომუნიზმის ექსპანსიის რეალური საფრთხე და ჩამოაყალიბა ,,საბჭოთა კავშირის აგრესიის შეკავების პოლიტიკა“. ცივი ომის მსვლელობისას ამერიკა გახდა კაპიტალისტური სამყაროს ლიდერი, ის ასევე ცდილობდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჰეგემონიის დამყარებას კომუნისტურ სამყაროზე.

პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი, გენერალი ჯორჯ მარშალი, პოლ ჰოფმანი და ავერელ ჰარიმანი

კომუნიზმის შეჩერების იდეით, ამერიკამ განახორციელა ეკონომიკური დახმარება ე.წ ,,მარშალის გეგმა“ ის ატარებდა ,,ევროპის აღდგენის პროგრამის“ არსს, იგი ითვალისწინებდა ამერიკის მიერ ევროპისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევას, გეგმის წევრი იყო ყველა ევროპული სახელმწიფო, საბჭოთა ბლოკის სახელმწიფოების გარდა, დახმარებაზე უარი ეთქვა ესპანეთს, ფრანკოს ავტოკრატიული რეჟიმის გამო, და დასავლეთ გერმანიას[37]. მარშალის გეგმის მიზანი იყო არ დაბრუნებულიყო ამერიკაში 30-ანი წლების კრიზისი, ხოლო

37 Marshall Plan / HISTORY.COM EDITORSUPDATED:NOV 1, 2022ORIGINAL:-DEC 16, 2009 - https://www.history.com/topics/world-war-ii/marshall

მაღალი ეკონომიკური ინდექსის შენარჩუნება პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლებოდა. ცივი ომის მსვლელობისას უამრავი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი მოხდა: ეს იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პოსტსაბჭოთა კომუნისტური რეჟიმების დამკვიდრება ბერლინის კრიზისი (1948-49), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა (1949), კომუნისტური რეჟიმის დამყარება ჩინეთში (1949), კორეის ომი (1950-53), სსრ კავშირის მიერ უნგრეთის სამხედრო ოკუპაცია (1956), ბერლინის კედლის მშენებლობა (1961), კარიბის კრიზისი (1962), ვიეტნამის ომი (1965-72), ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია (1968) . ამ დაძაბულმა მოვლენებმა მსოფლიო რამდენჯერმე დააყენეს ბირთვული ომის საფრთხის წინაშე[38].

საბჭოთა ჯარი ავღანეთში, 1980 წელი

,,ცივი ომის“ პერიოდიზაცია ასევე უკავშირდება საბჭოთა კავშირის ინტერვენციას ავღანეთში, ამ ფაქტმა ამერიკას სამხედრო მიმართულებით გაძლიერებისკენ უბიძგა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ტრანსფორმაციის ხანად 1985 წელი მიიჩნევა, ,,პერესტროიკის კურსმა“ გარდამტეხი ცვლილებები შეიტანა ცივი ომისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კონცეფციის ჩამოყალიბებაში. მოხდა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა ამ ყველაფერთან ერთად საბჭოთა ჯარები გამოვიდა ავღანეთიდან, ხოლო ბერლინის კედლის დანგრევა, კომუნისტური რეჟიმის დამხობა აღმოსავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირის დაშლა

38 Soviet invasion of Afghanistan - https://www.britannica.com/event/Soviet-invasion

მომასწავებელი გახდა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულისა[39]. 1992 წლის დამდეგისათვის, საბჭოთა კავშირი პრაქტიკულად აღარ არსებობდა, ამ ყველაფერმა კი კომუნისტური რეჟიმის დამხობაც გამოიწვია.

ცივი ომის შემდგომი მდგომარეობა მსოფლიოში მშვიდობის დამყარების, მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების დამკვიდრების, სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილების, ახალ მიდგომათა თავისებურებებით გამოირჩევა. ,,ცივი ომის“ დასრულებამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვითარება და ახალი გამოწვევების გზაზე დააყენა მსოფლიო[40]. მსოფლიო ომებით დატვირთული მე-20 საუკუნის მთავარ იდეად იქცა, რათა საზოგადოება კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო კაცობრიობის მომავალზე, მსოფლიო წესრიგის მდგრადობასა და მის პერსპექტივაზე. ,,ცივი ომის“ დასრულებამ გარკვეული კორექტირება შეიტანა საერთაშორისო ვითარების კუთხით. ახალი რეალობის წინ მდგარ მსოფლიოს, დარჩა ის, რომ უზარმაზარი გაერთიანება, რომელსაც ევრაზიის კონტინენტზე ყველაზე მეტი ფართობს ფლობდა, აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის და მცირე აზიის ჩათვლით, უკვე აღარ არსებობდა. დაინგრა ქვეყანა, რომელიც მუდმივად ებრძოდა პროგრესს[41]. ,,ცივი ომის“ დასასრული, როგორც ფრენსის ფუკუიამა აღწერდა, დასრულდა კაცობრიობის რაღაც ეტაპი, ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვების შედეგად, მსოფლიო მიხვდა მთავარს, რომ მშვიდობას მომავალ თანაცხოვრებაში არ ჰქონდა ალტერნატივა.

39 The Soviet Invasion of Afghanistan and the U.S. Response, 1978–1980 - https://history.state.gov/milestones/1977-1980/

40 What was the Cold War—and are we headed to another one? - https://www.nationalgeographic.com/

41 Carol. K. Fink - ,,Cold War" – 2014, pp 87-94

თავის მეხუთე -
რუსული ჰიბრიდული ომის ანატომია

თანამედროვე მსოფლიოს მზარდ და დინამიკურ განვითარებასთან ერთად გამოჩნდა ისეთი საფრთხე, რომელსაც ,,ჰიბრიდული ომი“ ეწოდება. კონფლიქტების თანამედროვე განხილვის ანალიზში ჰიბრიდული საფრთხეები შემდეგნაირად არის განსაზღვრული: სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დიპლომატიური, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებების ტერორიზმის, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდებით გამოყენებული ქმედებები, საკუთარი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად[42].

ახალ სამხედრო პრაქტიკაში შემოიღეს ტერმინი ,,ჰიბრიდული საფრთხეები“, რომელიც ომის თანამედროვე ფორმაა, უმთავრესად ფოკუსირებულია, სტრატეგიული ამოცანების მიღწევაზე ფიზიკური დაპირისპირების გარეშე, განსაკუთრებით, კონფლიქტის საწყის ეტაპზე[43]. დღესდღეობით ომის მთავარ შემადგენელ კომპონენტად ,,ინფორმაციულ ომს“ მიიჩნევენ, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შეღწევის გზით მასაზე ზეგავლენის მოხდენით ხორციელდება, პროპაგანდისტული ეს მეთოდი, გარკვეულწილად ადამიანთა დარწმუნებას ემსახურება. ინფორმაციული ომის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა, აშშ-ს არჩევნებში რუსული ჩარევა იყო, სადაც ყალბი სიახლეებისა და ტროლების ფართო

42 Treverton.G, Thvedt.A - ,,Addressing Hybrid Threats“ – 2018, pp 9-10
43 Hybrid Warfare – New Threats, Complexity, and 'Trust' as the Antidote - https://www.nato.int/docu/review/articles/2021/11/30/hybrid-warfarce

ჩართულობით, ამერიკელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შეცდომაში შეყვანაც კი გამოიწვია.

რუსეთი დეზინფორმაციის დიდი ისტორიული წარსულით გამოირჩევა, თანამედროვე რუსული პროპაგანდა რა თქმა უნდა არ არის სიმართლეზე ორიენტირებული, რუსულ პროპაგანდისტულ ინფორმაციებში სიმართლე გამოგონილი მცნებაა, ის ძირითადად შერეული ტყუილის მატარებელია, რუსული პროპაგანდისტული მანქანა, ხშირად ინფორმაციის გაყალბებასთან ერთად, წყაროების გაყალბებასაც მიმართავს, ეს ყველაფერი დასავლური დემოკრატიის ძირის გამოსათხრელად გამოიყენება[44]. ჰიბრიდული ომის, ეს არის ომი მართვადი ქაოსის მეშვეობით, მიზანში ამოღებულ სახელმწიფოში ,,დასაყრდენი ჯგუფების“ შერჩევა და მათი გამოყენება პროვოკაციული ქმედებებისთვის, რომელიც ემსახურება ქვეყნის მიზნობრივი დეგრადაციას და გაღატაკებას[45].

საქართველოსთვის ერთ-ერთ გამოწვევად რუსული პროპაგანდა რჩება, მისი ეს მეთოდი გვაჩვენებს, რომ საქართველოსათვის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ერთადერთი გზა რუსეთია, ეს ყველაფერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის არჩეული დასავლური

44 The Evolution of Russian Hybrid Warfare: Executive Summary - https://cepa.org/comprehensive-reports/the-evolution-of-russian
45 RUSSIAN HYBRID WARFARE - https://www.understandingwar.org/report/russian-hybrid-warfare

კურსი არაფრის მომცემია. ბოლო პერიოდში ქვეყანაში მომრავლებული პრორუსული ძალები დიდი ძალისხმევით მუშაობენ საქართველოს რუსეთთან ინტეგრაციის საკითხზე. რუსეთის გააქტიურება განსაკუთრებით იკვეთება მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური მოვლენების დროს, ამ დროს რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა სოციალურ ქსელსა და მედიაში აქტიურდება და მოსახლეობის წინააღმდეგ საინფორმაციო ომს იწყებს. მათი პოლიტიკა გარკვეულწილად პრაგმატულია, რადგან ის ძირითადად საქართველოში ბევრი ანტიდასავლური მესიჯის გავრცელებით შემოიფარგლება, ამ პოლიტიკით რუსეთს გავლენის სფეროების გაფართოება სურს, ასევე უნდა საერთაშორისო პოლიტიკაში თანაბარ მოთამაშედ აღიქმებოდეს. პოსტსაბჭოთა სივრცე კი მისი ინტერესთა არეალია, მისი აზრით, ერთპოლუსიანი სამყარო მთავარი კონკურენტია, რომელიც არ უნდა არსებობდეს, რა თქმა უნდა ამ ყველაფერში დასავლეთი და ნატო იგულისხმება[46]. მას უნდა გავლენის სხვადასხვა პოლუსი სადაც კონკურენციას ვერ შეეგუება, კავკასია კი მის მთავარ სტრატეგიულ ინტერესადაა ქცეული. რუსეთი იბრძვის საკუთარი იდეების და შეხედულებების გავრცელებისათვის, ამ ფორმით ის ახდენს დასავლური ღირებულებების დაკნინებას, ასევე კარგად იცის, რომ თუ დასავლური ფასეულობები მარცხს განიცდის საქართველოში, ეს მისი იდეური გამარჯვება იქნება. საქართველოში რუსეთის ჰიბრიდული ომის პროცესი ადრეული პერიოდიდან მიმდინარეობდა, ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური გახდა, რაც საქართველომ ევროატლანტიკური მიმართულებით დაიწყო სწრაფვა[47]. რუსული აგრესია დღესდღეობით ძირითადად მიმართულია საქართველოს და უკრაინის მიმართ, 2014 წელს, ყირიმის ანექსიისა და უკრაინის ცნობილი მოვლენების შემდგომ, ბევრი მკვლევარი

46 *Russia's "Hybrid Aggression" against Georgia: The Use of Local and External Tools* - https://www.csis.org/analysis/russias-hybrid-aggression-against-georgia

47 *The 2008 Russo-Georgian War: Putin's green light* - https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/the-2008-russo-georgian-war-putins

დააფიქრა რუსეთის „ახალი" სტრატეგიისა თუ ტაქტიკის ჩამოყალიბებაში[48].

თანამედროვე ჰიბრიდული ომის თანაავტორად რუსეთის გენერალური შტაბის მეთაური, ვალერი გერასიმოვი მიიჩნევა. გერასიმოვის მიერ დაწერილ სტატიაში ძირითადი აქცენტები კეთდება არასამხედრო საშუალებების მნიშვნელობაზე, ასევე ის საუბრობს საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების როლზე, მისი აზრით თანამედროვე ომის მთავარ სამიზნეს გონება წარმოადგენს, ხოლო ფსიქოლოგიური ომი კი ერთ-ერთი გარდამტეხი ფაქტორია სამხედრო კონფლიქტის მსვლელობისას.

ჰიბრიდული ომის კონცეფცია

გერასიმოვის დოქტრინაში აღწერილია ახალი თაობის ომის ისეთი მახასიათებლები, რომელიც შემდგომში, რუსეთმა

48 *Georgia: First Victim of Russia's War on Democracy* - https://cepa.org/article/georgia-first-victim-of-russias-war

გამოიყენა უკრაინაში (ყირიმის ანექსიის და დონბასში დესტაბილიზაციის კერების შექმნის დროს). დოქტრინის თანახმად, ახალი თაობის ომი გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით:

- სამხედრო მოქმედებები იწყება მშვიდობიან პერიოდში, ანუ ოფიციალურად ომი გამოცხადებული არ არის; ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების ნაცვლად, კონფლიქტი ხასიათდება მცირე მასშტაბის, ლოკალური შეტაკებებით;
- ადგილი აქვს საბრძოლო მოქმედებებში სპეცდანიშნულების რაზმების და შეიარაღებული სამოქალაქოების გამოყენებას;
- ბრძოლა მიმდინარეობს 4 სხვადასხვა სივრცეში: ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაში და საინფორმაციო ველზე, აქედან გამომდინარე ,,ჰიბრიდული ომის" რუსულ თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აქტივობას საინფორმაციო სივრცეში, რომელიც ახალი თაობის ომის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია.
- რუსეთმა დღეს წარმოებული სამხედრო კონფლიქტების დამსახურებით, რომელსაც სირიაში ანხორციელებს, დიდი გამოცდილება შეიძინა პოლიტიკური და სამხედრო ამოცანების მისაღწევად, იგი ჰიბრიდული მეთოდების გამოყენების ყველაზე დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას ფლობს და ამ გამოცდილებას ის საქართველოს წინააღმდეგაც საკმაოდ აგრესიულად იყენებს.

,,ცივი ომის" შემდგომი პერიოდი ასევე იქცა ეთნო კონფლიქტების გაღვივების ახალ ხანად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა ტრაგიკული ბედი გაიზიარა ეთნოკონფლიქტების მხრივ. ეთნოპოლიტიკური



დაპირისპირებახასიათდებართული და კომპლექსური მიდგომებით, ის ძირითადად ღრმა ისტორიული ფესვებიდან მომდინარეობს. ეთნიკური ინტერესების დაცვის წარმოებულ კონფლიქტებს თან სდევს ქრონიკული ხასიათი, რადგან მისი საბოლოო გადაჭრა თითქმის შეუძლებელია, რადგან თაობათა ცვლასთან ერთად, კონფლიქტის განახლების საფრთხე ყოველთვის აქტუალურია. ამის ნათელი მაგალითია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები[49]. რუსეთის ჩართულობით, რომელიც ღიად უწევდა კონფლიქტის პროვოცირებას, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ასევე მხარს უჭერდა სეპარატისტულ მოძრაობებს, ხელი შეუწყო და გააღრმავა ეთნო დაპირისპირებები.ეთნოკონფლიქტებისესკალაციამგამოიწვია სისხლისმღვრელი ომი, რომელსაც დამანგრეველი შედეგები მოყვა საქართველოსათვის. კრემლის იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგს, რამაც გამოიწვია ეთნოსშორისი შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც გამოირჩეოდა ეთნონაციოლაციზმის ნიშნით, უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 300 ათასი ადამიანი მუდმივ დევნილობაში აღმოჩნდა. სამხრეთკავკასიაში არსებული სამხედრო კონფლიქტების პრევენცია შესაძლებელი იყო, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს მიერ, პოლიტიკური სეპარატიზმის მხარდაჭერის ტრადიციამ, ეს ყველაფერი ურთულეს შედეგამდე მიიყვანა[50]. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი წელი, რუსების წაქეზებითა და

49 *Georgia: A Place of Ethnic Unrest and Civil Strife - https://adst.org/2013/11/georgia-no-peace-i-find/*
50 *Georgia: Abkhazia and South Ossetia - https://pesd.princeton.edu/node/706*



მხარდაჭერით, ცხინვალის რეგიონში კონფლიქტი არ მომხდარიყო[51]. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მთავარი პრობლემა ,,ერთა გამოკვლევას“ უკავშირდება, მაგრამ არსებობს ერთა თვითგამორკვევის პრინციპის არასწორი გაგება და გააზრება, რაც თავის მხრივ მრავალი ახალი სუვერენული სახელმწიფოს წარმოქმნას გულისხმობს, ხოლო ამ მომვლენის თანმხლები პროცესი იქნება მუდმივი დაპირისპირებები. საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპზე დაყრდნობით, მსოფლიო საზოგადოება, (რუსეთისგან განსხვავებით) აღიარებს სახელმწიფოების ტერიტორიული ერთიანობის პატივისცემას და საერთაშორისო აღიარებული საზღვრების ურღვეობის პრინციპს. ამ ყველა პრინციპის უხეში დარღვევით, რუსეთი დღესაც აგრძელებს საქართველოს სუვერენული უფლების შელახვას, საქართველოს არ აძლევს განვითარების და პროგრესის საშუალებას, მუდმივად ხელს უშლის იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყანამ თავის ეთნიკურ უმცირესობებთან ერთად ააშენოს ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული და ევროპული ტიპის სახელმწიფო.

რა არის ომის გამომწვევი მიზეზი სახელმწიფოთა შორის? ამ მრავალსაუკუნოვან კითხვას ამერიკელმა მეცნიერმა ,,კენეთ უოლცმა“ გასცა პასუხი[52], თავის წიგნში ,,ადამიანი, სახელმწიფო და ომი“ მან გამოყო საერთაშორისო კონფლიქტების სამი დონე: ინდივიდის დონე, სახელმწიფოს დონე, საერთაშორისო სისტემის დონე. ეთნიკური კონფლიქტის დროს, ხდება ,,ინდივიდის დონის“ შესწავლა, რომელიც ასოცირდება: მასის,

51 Never-Ending Ethnic Conflicts in Georgia - https://moderndiplomacy.eu/2021/08/20/never-ending-ethnic
52 Kenneth N. Waltz - Man, the State, and War – 1965, pp 117-139

ელიტის ქცევაზე. უოლცი აღნიშნავდა, რომ რომ ეთნიკური ჯგუფები ძალადობრივ კონფლიქტში მოქმედებდნენ ისევე, როგორც ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში. ეთნიკურ ომს მოაქვს ფართო მასების მტრობა, ის გამოწვეულია ელიტების ძალადობრივი ქმედებით, რომელთაც ეს ყველაფერი საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზების გამო მოახდინეს[53]. უოლცის თეორიის საერთაშორისო სისტემის შესახებ, ეფუძნება ერთ პრინციპს, რომელშიც სახელმწიფო უსაფრთხოების გაზრდით მეორე სახელმწიფოსათვის საფრთხის შემცველია, ხოლო მეორე სახელმწიფო თავის მხრივ ცდილობს საკუთარი ძლიერების გაზრდას და ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი უმეტეს შემთხვევაში ომით სრულდება[54]. ამ თეორემის ნათელი მაგალითი საქართველო - რუსეთის ურთიერთობებია, როდესაც საქართველო დაადგა გზას დასავლური ფასეულობების მიმართულებით და მოახდინა ჯარის სრული მოდერნიზება ამერიკის დახმარებით, ეს ფაქტი რუსეთმა მტრულად აღიქვა, რადგან მას ხელს არ აძლევდა საქართველოს სამხედრო გაძლიერება ამერიკის ჩართულობით. სწორედ ეს იყო წინაპირობა 2008 წლის სამხედრო დაპირისპირების, ამერიკა-რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკის მცდელობა ცივი ომის დასრულების შემდეგ შეერთებული შტატების ყველა პრეზიდენტს ჰქონდა ეს პროცესები, ზოგჯერ დინამიკურადაც კი ვითარდებოდა, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი ამ ორი ქვეყნისთვის ,,ინტერესთა კონფლიქტის“ ხანად იქცა. 2008 წლის საქართველოში განვითარებული მოვლენები, ისტორიული მნიშვნელობის თარიღად ითვლება, რადგან კიდევ ერთხელ მოხდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დაძაბვა. ამ ომით რუსეთმა დასავლეთს მკაფიო გზავნილი გადასცა, რომ საკუთარი ეროვნულ ინტერესებს ნებისმიერი, თუნდაც ძალადობრივი გზითაც კი დაიცავდა. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო რუსეთისთვის ძალიან

53 ETHNIC RELATIONS AND CONFLICTS IN CENTRAL EUROPE - https://fountainmagazine.com/1999/issue-26-april
54 Kenneth N. Waltz - The Origins of War in Neorealist Theory – 1998, pp 617 - 630

მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს, რასაც საქართველოს ინტერესები ეწირება, 2008 წლის სამხედრო კონფლიქტით, რუსეთმა რამდენიმე წლით მიზანმიმართულად შეაფერხა ნატოში, საქართველოს ინტეგრაცია. მან აგრესიული სამხედრო პოლიტიკის შედეგად, კავკასიის რეგიონში პოზიციები თითქმის სამუდამოდ გაიმყარა. სწორედ აქ იკვეთება პოლიტიკური რეალიზმის სკოლის პოსტულატები, რომელიც განსაზღვრავს ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ინტერესების რეალიზაციას, მისთვის გართულებულ გეოსტრატეგიულ ვითარებაში[55].

55 Thomas S. Szayna - „ Ethnic Conflict in Central Europe and the Balkans" – pp 15-43

თავი მეექვსე - 21- ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა

უსაფრთხოების თემა ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის საგანს. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ახლებურად ტრანსფორმაციის პირობებში, კიდევ უფრო მზარდი გახდა უსაფრთხოების როლი. საერთაშორისო უსაფრთხოებამ ბიძგი მისცა ისეთ კონცეფციას, რომელსაც ურთიერთდამოკიდებულების თეორია ეწოდება. ეს თეორია უშუალო კავშირშია უსაფრთხოებასთან, რადგან სახელმწიფოები სწორედ ამ პრინციპით ახდენენ თავიანთი ტერიტორიების დაცვას, ამ პრინციპიდან გამომდინარე ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება სხვა სახელმწიფოს ქცევაზეა დამოკიდებული. პირველი მსოფლიო ომის დასრულებამ სათავე დაუდო შექმნილიყო კოლექტიური უსაფრთხოების ფორმატი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო სისტემის ძირეული ცვლით დასრულდა. საერთაშორისო უსაფრთხოება, როგორც თანამედროვე მშვიდობის დამამკვიდრებელი ფორმატი მუდმივ ცვლილებას განიცდიდა. 21-ე საუკუნეში, ტერორიზმი, ბირთვული იარაღის გავრცელება და სამხედრო კონფლიქტები, დღემდე რჩება უსაფრთხოების გამოწვევად, ამ სამი ფაქტორიდან, განხილვის საგნად შეიძლება მივიჩნიოთ ბირთვული ტექნოლოგიების გავრცელება. სამყაროში სადაც გლობალიზაცია დინამიკურად მიმდინარებს, სულ უფრო მეტია იმის შანსი, რომ ბირთვული იარაღის გამოყენებამ შესაძლო გეოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვიოს. ბირთვული იარაღის შეკავების პოლიტიკის მიუხედავად, ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობს გააძლიეროს მისი როლი[56]. კაცობრიობის, ფაქტობრივად მთელი ისტორიის მანძილზე შეიარაღებული კონფლიქტები წარმოადგენდნენ საერთაშორისო ურთიერთობათა ჯაჭვის ცენტრალურ რგოლს.

56 Von Clausewitz on War: Six Lessons for the Modern Strategist. P.1. https://www8

ომი იყო მთავარი აქტორი გადაეწყვიტა სახელმწიფოთა შორის დაგროვილი პრობლემები, სამხედრო ძალა კი წარმოადგენდა სახელმწიფო ძლიერებას. ***კარლ ფონ კლაუზევიცის დოქტრინაში „სამხედრო ძალა“*** იყო მთავარი აქტორი ეფექტური, კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. სწორედ სამხედრო ძალის მეშვეობით მიმდინარეობდა გავლენის სფეროების დანაწილება, სტრატეგიული ტერიტორიების დაკავება, რომელთაც ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნდათ, ასევე ხდებოდა უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციების კონტროლი[57]. შეიარაღების მზარდი გაძლიერება და მისი არაკონტროლირებადი ხასიათი სულ უფრო დიდი შეშფოთების საგანი იყო დაპირისპირებული სახელმწიფოების ლიდერებს შორის.

სოკოს ფორმის ატომური ღრუბელი

გასულ საუკუნეში ორი მსოფლიო ომით გადაღლილმა სამყარომ, დაიწყო ფიქრი მშვიდობიანი თანაცხოვრების, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ ბირთვული შეიარაღების საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. პირველი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება შეიარაღებაზე კონტროლის

57 *Clausewitz and the politics of war: A contemporary theory.* https://www.tandfonline.com

დაწესების შესახებ, რომელიც ასევე ითვალისწინებდა ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვას დაიდო 1963 წელს საბჭოთა კავშირს, ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს შორის. ეს ხელშეკრულებაკრძალავდაბირთვულაფეთქებასატმოსფეროში და ასევე წყლის ქვეშ, ეს შეზღუდვები აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა, რადგან ამ ყველაფერს მძიმე ეკონომიკური და სამედიცინო შედეგები მოჰქონდა. უსაფრთხოების ცნება ყოველთვის განიცდიდა ცვლილებებს, არც ოცდამეერთე საუკუნე ყოფილა გამონაკლისი ამ მხრივ. სწორედ ოცდამეერთე საუკუნემ დაუდო სათავე ტერმინს ასიმეტრიულობა, მისი ცნება უსაფრთხოების თეორიის ფარგლებში დაკავშირებულია ისეთ კონცეფციასთან, როგორიც წარმოადგენს ,,ასიმეტრიულ საფრთხეს“. ახალი ტერმინი ანუ ასიმეტრიულ საფრთხე შეიცავს: ტერორიზმის, ბუნებრივი კატაკლიზმების და ჰიბრიდული ომის ნიშნებს, ის ასევე არის სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მატარებელი. ასიმეტრიული ომის ფორმა ეწოდება ისეთ ომს, როდესაც, მეომარი მხარეების სამხედრო ძალა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ძირითადად ტერმინი ასიმეტრიული ომი ხშირად გამოიყენება ისეთი სამხედრო მოქმედებების აღსაწერად, როგორიცაა პარტიზანული ბრძოლა, ტერორიზმი და ამბოხება[58]. გასულ საუკუნის სამოცდაათიან წლებში ამერიკელმა მკვლევარმა ,,ენდრიუ მაკმა“ გამოსცა სტატია ,,რატომ აგებენ დიდი სახელმწიფოები მცირე ომებს“ სადაც მან პირველად ისაუბრა ასიმეტრიული ძალის გამოყენებაზე, ასევე მან განმარტა, რომ ,,ასიმეტრიული ომის“ მსვლელობისას კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის ხდებოდა ძალთა ბალანსის მნიშვნელოვანი დარღვევა. ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება ასიმეტრიული ომის ნათელი მაგალითია, ბრძოლები, რომლებიც მიმდინარეობს ისრაელსა და პალესტინას შორის.

უნდა გამოვყოთ ***„ვისონისეული იდეალიზმის“*** არსი და მისი შემადგენელი ნაწილები. ამერიკელებისათვის,

58 *„Asymmetric Warfare: Definition, Tactics & Examples“. P.1.* https://study.com/

ფილოსოფიასა და ევროპულ აზროვნებას შორის ხაზს უსვამდა მათი რწმენის ღირებულება. მსოფლიო წესრიგის ვილსონისეული იდეა აღმოცენდა ამერიკელების რწმენიდან - ადამიანის მშვიდობიანი ბუნებისა და სამყაროს საფუძველმდებარე ჰარმონიის შესახებ. დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობის იდეა ეფუძნებოდა, მშვიდობას, ადამიანებს ჰქონდათ თვითგამორკვევის უფლება, რაც გამორიცხავდა შიდა დაპირისპირების, მშვიდობიანობის და დემოკრატიის დარღვევის მიზეზი.



ვუდრო უილსონი, აშშ-ის 28-ე პრეზიდენტი

ვილსონის დოქტრინებმა თვითგამორკვევასა და კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ, მთავარ იდეად იქცა ერთა თვითგამორკვევის კუთხით, ამერიკის აზრით, ომს იწვევდა არა თვითგამორკვევა, არამედ მისი ნაკლებობა, არა ძალთა ბალანსის არარსებულობა, არამედ მისზე დაქვემდებარებულობა[59]. ვილსონი აპირებდა მშვიდობის დამყარებას კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპზე დაყრდნობით, მისი აზრით, მსოფლიო უსაფრთხოება იყო არა ეროვნული ინტერესების დაცვა, არამედ მშვიდობის, როგორც

59 Kissinger. H. - „Diplomacy" – pp. 220-223 – 1994

გლობალური მცნების დაცვა[60]. საჭირო იყო საერთაშორისო ინსტიტუტის არსებობა, ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა პირველად აღმოცენდა ლონდონში, ამის მოტივი იყო არა მსოფლიოს ახალი წესრიგის შექმნის მცდელობა, არამედ ინგლისის მიერ იმ მიზეზის ძებნა, რის გამოც ამერიკა უნდა ჩართულიყო ომში[61]. საინტერესოდ განსახილველია ,,ერთა ლიგის" ჩამოყალიბების არსი და მისი იდეა, მისი არსებობა ამერიკული იდეის და ცნების გამტარი იყო, მიუხედავად ამისსა ვილსონმა გაითვალისწინა ,,სახელმწიფოების უნივერსალური კავშირი" იმისთვის, რომ ხელი შეეშალა ნებისმიერი ომისთვის და თავიდან აეცილებინა ქვეყნებს სამხედრო დაპირისპირება. ვილსონმა თავისი პრეზენტაცია დაასრულა გერმანიისადმი მიმართვით, სადაც საუბრობდა ამერიკის როლზე, უალტერნატიულ მშვიდობის დამყარების პოლიტიკაზე, მის მიმართვაში ხაზგასმით საუბარი იყო, ამერიკისა და მსოფლიოს სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების, ახალი მიდგომის ჩამოყალიბებაზე, რომელიც კანონსა და სამართლიანობას ემყარებოდა.

ვილსონისეული ხედვით მსოფლიო, დამყარებული იქნებოდა პრინციპზე და არა ძალადობაზე; კანონზე და არა ინტერესზე, ეს ჩაუყრიდა საფუძველს დიდი სახელმწიფოების ისტორიული განვითარებას არაძალადობრივი კუთხით. ის ვარაუდობდა მსოფლიო წესრიგს, რომელშიც აგრესიისადმი წინააღმდეგობა დამყარებული იქნებოდა არა გეოპოლიტიკურ, არამედ მორალურ მსჯელობებზე. კოლექტიური უსაფრთხოების ვილსონისეული ვერსია ვარაუდობდა, რომ მსოფლიო სახელმწიფოებს გააერთიანებდა აგრესიის, არასამართლიანობის და მოჭარბებული ეგოიზმის წინააღმდეგ. ის ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოებს შორის თანაბარი უფლებების შექმნა, წინაპირობა უნდა გამხდარიყო მომავალი მშვიდობის შენარჩუნების კუთხით.

60 D. F. Fleming - „ Woodrow Wilson and Collective Security Today" – pp 611-623
61 Kennedy. R - „ The Will to Believe: Woodrow Wilson, World War I, and America's Strategy for Peace and Security" – pp 75-103, 2009

ვილსონმა ზუსტად მოახდინა მეოცე საუკუნის რამდენიმე ძირითადი პრობლემის იდენტიფიცირება, განსაკუთრებით იმ მიმართულებით, თუ როგორ შეეცვალა გზა ძალაუფლების, რომელიც უნდა ტრანსფორმირებულიყო მშვიდობად. საყურადსაღებია ის, რომ ვილსონისეული ,,იდეალიზმი", ანუ მსოფლიოსთვის დემოკრატიული ფასეულობების ამერიკული ფორმით შეთავაზება, უპირველეს ყოვლისა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვას გულისხმობდა. კერძოდ, 1919 წლის 24 თებერვალს, ამერიკის პრეზიდენტი საჯარო გამოსვლისას აცხადებდა: ***"ჩვენ, ადამიანთა თავისუფლებისათვის შევქმენით, ეს ნაცია, ყველა ადამიანს თავისუფალს გახდის. ხოლო თუ ეს ყველაფერი არ მოვიმოქმედეთ, ამერიკის დიდება გაუჩინარდება, მისი ძლიერება კი გაქრება"***

თავი მეშვიდე - ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი

უსაფრთხოების ფორმატის ჭრილში საინტერესოა განვიხილოთ ისრაელ - პალესტინის მრავალწლიანი სამხედრო კონფლიქტი. ისრაელ - პალესტინის კონფლიქტი ნახევარსაუკუნეზე მეტია მიმდინარეობს, ყველაფერი 1948 წლის 14 მაისს ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის დღიდან დაიწყო, ამასთანავე აზრი ორად იყოფოდა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნილის შესახებ. ბევრი დისკუსიის მიუხედავად ებრაელები პალესტნის გაყოფის გეგმას დათანხმდნენ, ტერიტორიის განაწილებამ პალესტინელების განაწყენება გამოიწვია, რადგან ისინი რაოდენობით ებრაელებს აღემატებოდნენ და ნაკლებ მიწას ფლობდნენ[62].

ინტერესთა კონფლიქტი საომარ მოქმედებებში გადაიზარდა, მეორე დღეს არაბული ქვეყნების კოალიციამ ისრაელზე იერიში მიიტანა, დაიწყო ისრაელისა და არაბული გაერთიანების პირველი ომი, რომელსაც „ომი დამოუკიდებლობისათვის", ეწოდა. გაერო-ს უშიშროების საბჭომ, რომელიც ცდილობდა შეეჩერებინა საომარი მოქმედებები, მიიღო რეზოლუცია სადაც მოითხოვა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას დაპირისპირებული მხარეებისაგან. 1949 წლის პირველ ნახევარში ისრაელმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე[63].

62 *Jerusalem violence: The Israeli-Palestinian situation explained. P.1.* https://www.bbc.com

63 *Evictions in Jerusalem Become Focus of Israeli-Palestinian Conflict. P.1.* https://www.nytimes.com

სამშვიდობო სიტუაციამ დიდხანს არ გასტანა 1967 წლის გაზაფხულზე ისრაელსა და მის არაბ მეზობლებს შორის განახლდა ახალი დაპირისპირება, ეგვიპტემ სამხედრო პაქტი გააფორმა იორდანიასა და სირიასთან, მთავარ იდეას ისრაელის სახელმწიფოს განადგურება წარმოადგენდა, მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა, რადგან იმ დროისათვის ისრაელის არმია უკვე საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა[64]. ამ მწვავე დაპირისპირების ფონზე ამერიკის შეერთებული შტატები ერთვება, სამშვიდობო ხელშეკრულებით ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. სამშვიდობო ხელშეკრულება შედგა ისრაელის ინიციატივით, მაგრამ ამ ყველაფერმა სამ წელზე მეტს ვერ გასტანა, 1973 წლის ოქტომბერში ეგვიპტემ და სირიამ ისრაელის წინააღმდეგ მოაწყვეს ორი ფრონტი, ომი ინტენსიურად მიმდინარეობდა სამი კვირის განმავლობაში, ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა შეტევის მოგერიება შეძლეს, ეგვიპტის ფრონტზე გადაკვეთეს სუეცის არხი და თითქმის სირიის შუაგულამდე შევიდნენ. წარმოებული ომის პერიოდში ისრაელი მუდმივად განიცდიდა სამხედრო პროგერსს, ის იყენებდა იმ დროისათვის თანამედროვე შეიარაღებას და ყოველ წელს ტაქტიკურად ხვეწდა ჯარს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე პალესტინა მიმართავდა სწორედ **,,ასიმეტრიული ომის“** ხერხს, სპეციალური ტაქტიკის გამოყენებით ის მუდმივად ესხმოდა თავს ისრაელს.

ისრაელის ტექნოლოგიური უპირატესობის მიუხედავად პალესტინელები უკან არ იხევდნენ და აწარმოებდნენ პარტიზანულ ბრძოლებს. უამრავი საომარი ქმედების შემდგომ, 1993 წლიდან საომარი არეალი იცვლება და ჩნდებიან, პალესტინური რადიკალური ორგანიზაციები, რომლებიც ისრაელთან ბრძოლის მთავარ საშუალებად ,,ტერორიზმს“ განიხილავენ. რადიკალურად განწყობილი ორგანიზაციები

64 The Israeli-Palestinian Conflict - ,,Historical and Prospective Intervention Analyses“ – 2003, pp. 10-11

პალესტინის ტერიტორიაზე, ღაზასა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მოქმედებდნენ.

უნდა ითქვას, რომ ისრაელ - პალესტინას შორის ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა ისრაელის სათავეში რადიკალი პოლიტიკოსის ბენიამინ ნეთანიაჰუს მოსვლამ, რომელიც 1996 წელს პირველი ვადით იქნა არჩეული ისრაელის პრემიერად, თავის წინასაარჩევნო კამპანია აგრესიულ განცხადებებს შეიცავდა[65]. ნეთანიანჰუ პირდაპირ აცხადებდა, რომ პალესტინელები წარმოადგენდნენ ტერორისტულ ერთეულებს, რომლის შესაჩერებელი მექანიზმი სამხედრო ძალა იყო. აგრესიული კამპანიის ფონზე ნეთანიაჰუმ ისრაელის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა ქნესეთში და იგი აირჩიეს ქვეყნის პრემიერად მისი მოსვლით, ისრაელ-პალესტინის ურთიერთობები ახალი ეპოქალური დაპირისპირების ცენტად იქცა. წარმოქმნილი რადიკალური ორგანიზაციებიდან ერთ - ერთ ანტაგონისტურად განწყობილ ორგანიზაციას ,,ჰამასიც“ წარმოადგენდა. ის ტერორისტულ ორგანიზაციად იყო გამოცხადებული: ისრაელში, ამერიკასა და ევროკავშირის ქვეყნებში.[66] ჰამასის რადიკალური ანტაგონიზმი კიდევ უფრო გამძაფრდა მის შემდეგ, რაც თავიანთი ლიდერის ,,შაიხ აჰმადის“ მკვლელობა მოხდა ისრაელის ავია იერიშების შედეგად. 2007 წელს ,,ჰამასმა“ სარაკეტო დარტყმები მიიტანა ღაზას სექტორზე, ის თითქმის მუდმივად ბომბავდა ისრაელის ტერიტორიას. 2009 წელს მოხდა ოცდამეერთე საუკუნეში ყველაზე მასშტაბული დაპირისპირება ისრაელ - პალესტინას შორის, სადაც 1300 მშვიდობიანი პალესტინელის სიცოცხლე ემსხვერპლა. არაკონკურენტ უნარიანობა სამხედრო შეიარაღების თვალსაზრისით ,,ჰამასს“ და რადიკალურად განწყობილ ძალებს სულაც არ აშინებს. მომდინარე საფრთხეებიდან, ისრაელის უსაფრთხოება მუდმივ განვითარებას განიცდის,

65 Benjamin Netanyahu elected prime minister of Israel. P.1. https://www.history.com/
66 Israel's Benjamin Netanyahu: Commando turned PM. P.1. https://www.bbc.com

რადგან, მის მიმართ აგრესია არაბულ ქვეყნებში დღითიდღე იზრდება.

ბენიამინ ნეთანიაჰუ, ჰილარი კლინტონი და მაჰმუდ აბასი

ამის შემდეგ განახლდა მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესი, 2010 წლის შემოდგომაზე ობამას ადმინისტრაცია ჩაერთო, სამშვიდობო მოლაპარაკებების კუთხით. სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მხარეების პირისპირ შეხვედრას გეგმავდა, რათა საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ ორი-სახელმწიფოს იდეაზე და მისი აღსრულება დაეწყოთ. მოლაპარაკების ჩაშლის პროცესში დიდი როლი ითამაშა „ჰამასისა“ და ლიბანური „ჰეზბოლას“ მუქარებმა, ისინი ძალადობრივ პოლიტიკას გააქტიურებდნენ, თუკი მხარეებს შორის რაიმე ტიპის შეთანხმება მიიღწეოდა. რადიკალურად განწყობილი ორგანიზაციები წინააღმდეგნი იყვნენ ყოველგვარი შეთანხმების და ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ მოლაპარაკებების ეტაპი არ დაწყებული. ასევე კონფლიქტის დეესკალაციის პროცესში არაბული სახელმწიფოთა მხრიდანაც იყო მცდელობები, მათ შორის ეგვიპტის მიერ, რომელმაც სცადა პალესტინის პოლიტიკურ ძალებს შორის შერიგებას მიეღწია.

2012 წელს სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ღაზას სექტორში შუალედური არჩევნები უნდა გამართულიყო, რადგან რეგიონი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ჯგუფებს უნდა ემართა. მაგრამ ამ იდეასაც მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ ,,ჰამაისის“ მხრიდან და მოლაპარაკებები ჩაიშალა.

ჯონ კერი და ბენიამინ ნეთანიაჰუ

სამშვიდობო მოლაპარაკებების კიდევ ერთი ეტაპი 2013 წელს სახელმწიფო მდივნის **ჯონ კერის** ინიცირებით განახლდა. ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე მხარეებს მიეცათ ვადა, სადაც უნდა წარმოედგინათ სამშვიდობო გეგმა და ერთმანეთთან კოორდინაციის საფუძველზე შეეჯერებინათ საკუთარი პოზიცია ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენა. მოლაპარაკებებმა კონკრეტულ შემთხვევაშიც ვერ ჰპოვა საერთო მიზანი. აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა[67] **მარტინ ინდიკმა** განაცხადა, რომ პროცესის ჩაშლის მთავარი მოქმედ მხარეს ისრაელის სახელმწიფო წარმოადგენდა, მისი თქმით ისრაელმა არ გამოავლინა საკმარისი ნება მშვიდობის დამყარების კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო დრო გადიოდა, არც ერთი

67 Martin Indyk: 'Change of leadership on both sides' needed. P.1. https://www.dw.com/

მხარე არ გამოთქვამდა მზაობას მშვიდობიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისკენ.

უნდა აღინიშნოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ბოლო პერიოდის მანძილზე 2017 წელს აშშ პრეზიდენტმა **დონლად ტრამპმა** იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა. ***„ისრაელი სუვერენული სახელმწიფოა და როგორც ყველა დამოუკიდებელ ქვეყანას მასაც აქვს უფლება ჰქონდეს დედაქალაქი“*** განაცხადა მან. რა თქმა უნდა, ამ განცხადებას უკმაყოფილებით შეხვდა პალესტინის მხარე, ვინაიდან ეს ერთ - ერთი სადავო საკითხი იყო ისრაელის სახელმწიფოსთან. ამ ყველაფერს მოყვა აშშ პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადება სადაც ნათქვამი იყო, რომ აღიარების აქტი ხელს არ შეუშლიდა ისრაელი-პალესტინის შორის კონფლიქტის მოგვარების საკითხს.

ბოლოდროინდელი დაპირისპირების ფონზე უნდა გამოვყოთ 2021 წლის მაისში განხორციელებული ქმედებები, რომელმაც ორი ქვეყანა თავიდან ჩართო დაპირისპირების ქარ ცეცხლში. ყველაფერი უკავშირდება ისრაელის ნახევარ საუკუნოვანსამხედროოკუპაციას,ამასთანავეპალესტინელების აგრესია გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მუსლიმთა წმინდა თვე რამადანზე ისრაელის პოლიცია „უსარგებლოდ მკაცრ შეზღუდვებს“ უწესებდა მათ და „ძველი ქალაქის“ კიბეებზე შეკრების უფლებას არ აძლევდა. დაძაბულობის ზრდის პარალელურად, გახშირდა დაპირისპირებები ებრაელ და პალესტინელ მოქალაქეებს შორის. ებრაელების მხრიდან მოხდა პროვოცირება და მარში ლოზუნგით ,,სიკვდილი არაბებს“ სწორედ ამ ფაქტმა მოახდინა სიტუაციის ესკალაცია. ათობით ათასი მუსლიმი მრევლი შეიკრიბა ალ-აქსის მეჩეთის მიმდებარედ - რომელიც მესამე უწმინდესი ადგილია მუსლიმთათვის - რამადანის ბოლო პარასკევის ლოცვისთვის. ბევრი მათგანი გამოსახლებებთან დაკავშირებულ საპროტესტო აქციაზე დარჩა. ისრაელის პოლიციამ გამოიყენა

რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი, დემონსტრანტებმა კი პოლიციას ქვები დაუშინეს. აგრესიულ დაპირისპირების ფონზე, დაიჭრა 300-მდე პალესტინელი და 20 ისრაელელი პოლიციელი. არსებული ქაოტური მდგომარეობით ისარგებლა ,,ჰამასმა“ – (რომელიც მიიჩნევა ექტრემისტულმა ჯგუფად) ულტიმატუმი მისცა ისრაელს, დაეტოვებინა სამართალდამცველებს კომპლექსი და შეიხ ჯარას უბანი. ისრაელმა ულტიმატუმი უგულებელყო, სწორედ რამდენიმე წუთში, ღაზიდან ისრაელის მიმართულებით რაკეტები გაუშვეს.

ისრაელსა და პალესტინამ მშვიდობიანი თანაცხოვრება ვერ შეძლო 70 წლის მანძილზე, დაძაბულობის კერა ყოველთვის შეინიშნებოდა ორ ქვეყანას შორის, ბოლოდ პერიოდში განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს იმას, რომ ორ ქვეყანას ხშირად რელიგიური ფაქტორის გამო უწევდა დაპირისპირება, სწორედ მსგავსი სიტუაცია წარმოიშვა 2017 წელს, როცა ისრაელმა მეტალო-დეტექტორები დააყენა **ალ-აქსის** მეჩეთთან. ეს იყო ყველაზე ინტენსიური დაპირისპირების კვირა, 2014 წლის ომის შემდეგ ისრაელსა და ჰამასს შორის.

ოცდამეერთე საუკუნეში უსაფრთხოების სისტემის ძირითადი მიზანია, მსოფლიოში უზრუნველყოს სტაბილური გარემო. [68]ის ერთგვარად წარმოადგენს საინტერესო ფენომენს, მისი შინაარსი კი ასოცირდება ადამიანთა ჯგუფის ბედთან, სადაც განისაზღვრება ინდივიდუალურ დონეზე პიროვნების უსაფრთხოება. თანამედროვე დონეზე ის განისაზღვრება ქვეყნის ტერიტორიული სუვერენიტეტის დაცვით. საერთაშორისო სისტემის კონტექსტში უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნების და სოციუმების უნარს, სადაც ინარჩუნებენ თავიანთ იდენტურობას და დამოუკიდებლობას. [69]უსაფრთხოების კლასიფიკაციის მოდელი ასვე ეფუძნება

68 Maisaiah. V, Maghradze. G - International politics of the 21st century and the theory of "cooperative security": myth and reality - regional and global aspects - Tbilisi 2017. p. 39-40
69 Waltz. K. - ,,Man, the State, and War" – 1959. Pp. 239-240

ნეორეალიზმის მკვლევარ „კენეთ უოლცის“ კონცეფციას: ადამიანი, საზოგადოება და სახელმწიფო. მან განმარტა, *რომ სახელმწიფოთა შორის წარმოებული კონკურენცია, არა ადამიანის ბუნებიდან არამედ საერთაშორისო ანარქიული სისტემიდან ისაზღვრებოდა.* მან ასევე ისაუბრა ძალის ფაქტორზე, სადაც ძალა სახელმწიფოს საგარეო მიზნის მიღწევის საშუალებად მიიჩნია.

თავი მერვე - სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და მისი რეგიონული უსაფრთხოება

სამხედრო კონფლიქტებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კაცობრიობის არსებობის მანძილზე, დღესდღეობითაც მსოფლიო მდიდარია ფართომასშტაბიანი დაპირისპირებით, რომელიც გამოწვეულია სოციალური და ეთნიკური მიზეზებით. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი განისაზღვრება სხვადასხვა გარემოებებით. გერმანელი სოციოლოგის **გუსტავ დარენდოფის** აზრით, სამხედრო კონფლიქტი იწვევს დიდ სოციალურ ცვლილებებს, ხოლო ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად „სოციალური კონფლიქტი“ მოიაზრება. მკვლევართა მოსაზრებით კონფლიქტის წარმოშობის ერთ - ერთი წინაპირობას მხარეებს შორის ქმედებათა შეუთავსებლობა წარმოადგენს, ბევრი თეორია სამხედრო კონფლიქტს განიხილავს, როგორც ცალკეული სოციალური ინტერესების დაპირისპირებას სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის[70].

სამხრეთ კავკასიაში შემავალი ქვეყნები მეზობელ

70 *Dahrendorf.R - Class and class conflict in industrial society, 1959, PP. 239-250*

ქვეყნებთან ერთად

კონფლიქტის გამოვლენის ორი ფორმა არსებობს: საბრძოლო მოქმედებების დროს შეიარაღებული საშუალებების გამოყენება და ამ საშუალებების გამოუყენებლობა. ზემოთ ხსენებული ფორმებიდან კონკრეტული შემთხვევების გამოყენება დამოკიდებულია საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ დონეზე.

სამხრეთ კავკასია ეთნო კონფლიქტების ქვაკუთხედს წარმოადგენს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში შექ*იჩიენს*მნილმა არასტაბილურმა ვითარებამ დაღი დაასვა არამარტო რეგიონს, არამედ ამ სახელმწიფოებში მცხოვრებ ხალხს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სამხრეთ კავკასია სტრატეგიულად მიმზიდველი რეგიონია, რადგან ის მდებარეობს ისტორიულ სავაჭრო გზაზე, რომელიც ადრეული დროიდან აკავშირებს ევროპასა და აზიას. კავკასია ყოველთვის ექცეოდა სხვადასხვა სახელმწიფოების ინტერესების ქვეშ, თანამედროვე პოლიტიკური თვალსაზრისით: რუსეთის და ამერიკის მთავარ მეტოქეობის ასპარეზს წარმოადგენს. კავკასიის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე კონფლიქტების მოგვარება უაღრესად რთულ ხასიათს იღებს, ასევე რეგიონის მიმართ ინტერესს იჩინეს ისეთი აქტორი, როგორიც ჩინეთია[71]. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, კავკასიის ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები წარმოადგენს დიდ პრობლემას, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია რეგიონში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად ერთვება კავკასიის კონფლიქტების დარეგულირების პროცესში, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ინტერესების შემცირებას შეუწყოს ხელი, ამ ქმედებებიდან

71 Papava. V - About the geopolitical role of the "Central Caucasus", 2010, p. 557 - 560

გამომდინარე კავკასიის კონფლიქტები იქცა ერთგვარად რუსეთ - ამერიკის გეოპოლიტიკური დაპირისპირების მთავარ მიზეზად[72].

ამერიკის როლი მკვეთრად მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების პროცესში, ის დაინტერესებულია არამარტო რეგიონის სტრატეგიული ლოკაციით არამედ, აღკვეთოს რუსეთის ინტერესები და ხისტი ჩარევა მის გეოპოლიტიკურ სივრცეში. ინტერესთა შენელება მოხდა 2001 წელს სადაც ამერიკას უფრო მნიშვნელოვანი საგარეო გამოწვევები გააჩნდა, ერაყში სამხედრო ოპერაციის შემდეგ სამხრეთ კავკასიის პრობლემატიკა გარკვეულწილად სამართლიანად პრიორიტეტული მიმართულებების მიღმა აღმოჩნდა. ამის შემდგომ საქართველო გახდა ანტიტერორისტული კოალიციის წევრი, 2002 წლის სექტემბერში ამერიკული მხარის დახმარებით საქართველომ ჩაატარა ანტიტერორისტული ოპერაციები პანკისის ხეობაში[73]. ამ ინიციატივებმა განაპირობა გეოპოლიტიკური ორიენტაციის შემდგომი ცვლილება ამერიკასა და დასავლეთ ევროპასთან სტრატეგიული თანამშრომლობის მიმართულებით, ამ მოვლენებმა კიდევ უფრო დაძაბა საქართველო - რუსეთის ურთიერთობები, ამავე წლის პირველ ნახევარში გავრცელდა ცნობები პანკისის ხეობაში არსებული კრიმინოგენული ვითარების შესახებ, რასაც დაემატა ინფორმაცია, რომ ჩეჩნეთიდან პანკისის ხეობაში ხდებოდა იარაღის უკანონო ვაჭრობა, სწორედ ამ ზემოთხსენებულმა მძიმე ვითარებამ, განაპირობა ამერიკის სამხედრო დახმარებით განეხორციელებინა ქართულ მხარეს, ტერორისტული ჯგუფების განეიტრალება. სწორედ 2002 წელი ითვლება ახალი გამოწვევების წლად, რადგან ამ წელს რუსეთ - ამერიკის ინტერესების კვეთა მოხდა, შავი ზღვა - კასპიისპირეთის რეგიონში. ამ ორი ქვეყნის ფუნდამენტალური

72 "Russia's policy in the North Caucasus": fear and hatred. - https://www.radiotavisupleba.ge

73 Yalovitsi: Shevardnadze told me that the Russians will not forget this for a long time – https://www.amerikiskhma.com

შეუთავსებლობის მიუხედავად ისინი, თანხმდებოდნენ ერთ საკითხზე, რომელსაც საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენდა[74].

სამხრეთ კავკასიამ ჯერ კიდევ ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდიდან მოახდინა დაინტერესება, როგორც სტრატეგიულმა რეგიონმა, 1997 წელს აშშ-ის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, სტროუბ ტალბოტმა, სამხრეთ კავკასიიდან შუა აზიისკენ მიმავალ სარტყელს ,,სტრატეგიულად სასიცოცხლო ინტერესის" უწოდა[75]. ამერიკა განსაკუთრებულ ყურადღებას კასპიის ზღვის აუზის, მისი ნავთობისა და გაზის საბადოების მიმართ იჩენდა, ამ საბადოებს ვაშინგტონში, ხშირად სპარსეთის ყურის რესურსების ალტერნატიულ ვარიანტად განიხილავდნენ. ასევე არსებობდა ამერიკის ინტერესი აზერბაიჯანის და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების მიმართ, რადგან ყველა ეს ქვეყანა აღმოსავლური რესურსების დასავლური ბაზრებისკენ მიმავალ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო კორიდორს წარმოადგენდა[76].

ეს ყველაფერი რამდენიმე ფაქტორით აღიქმებოდა, რადგან აზერბაიჯანის რესურსებს ამერიკა, მის მიერ რუსეთის მიმართ წარმოებული პოლიტიკის ერთ-ერთ ფაქტორადაც მიიჩნევდა, რუსეთი საკუთარი რესურსებით საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩენილი სატრანსპორტო ქსელების გამო დღემდე დომინირებს ენერგოსექტორზე. მისი ენერგოპოლიტიკა ძირითადად დივერსიული ქმედებებით შემოიფარგლებოდა მეზობელი ქვეყნების მიმართ, ხოლო აზერბაიჯანის რესურსების ფაქტორი ირანისა და თურქეთის მიმართ წარმოებულ პოლიტიკაშიც გარდამტეხ როლს თამაშობს.

74 "Human Rights Watch" report on human rights in Georgia. p. 1 https://old.civil.ge/
75 Central Asia: U.S. Says Resolving Conflicts A Top Priority. P.1. https://www.rferl.org
76 On Piping Out Caspian Oil, U.S. Insists the Cheaper, Shorter Way Isn't Better. P.1. https://www.nytimes.com/

ამერიკის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ მხოლოდ ზემოთ ხსენებული ფაქტებით არ შემოიფარგლება, საქართველოსთან მიმართებაში, ის ჩართულია სხვადასხვა ინსტიტუციის განვითარების პროცესში, ხელს უწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესებას. საინტერესოა ის გარემოებაც, რომელიც სომხეთის საკითხს უკავშირდება, აქ ამერიკის პოზიცია ძირითადად მიზანმიმართულია ანკარასა და ერევნის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესისაკენ[77]. ამერიკა

Noble Partner 2016 ერთობლივი სამხედრო წვრთნების დროს ვაზიანის საწვრთნელ ბაზაზე.

საქართველოს დიდ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან 2008 წლის აგვისტოში რუსეთს - საქართველოს შორის მომხდარი სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, საქართველომ ხუთი წლის განმავლობაში დამატებით კიდევ ერთ მილიარდ დოლარზე მეტის დახმარება მიიღო. ამერიკის მხარდაჭერა საქართველოსთან მიმართებაში დინამიურ ხასიათს იღებს, ის

77 Simakovsky: In 2008, we failed to calculate Russia's geopolitical goals. p. 1. https://www.amerikishkhma.com

მზად არის ქვეყანას დაეხმაროს სწორი არჩევანის გაკეთებაში, ასევე მუდმივად ცდილობს დაიხსნას რუსული მარწუხებისაგან.

გამოსაყოფიაევროკავშირისროლისამხრეთკავკასიასთან მიმართებაში, ევროკავშირის მიდგომა სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვნად შეიცვალა 2008 წლის ზაფხულის შემდეგ, როდესაცსაფრანგეთისიმდროინდელმაპრეზიდენტმანიკოლა სარკოზიმ მედიატორის როლი შეასრულა საქართველოსა და რუსეთს შორის ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ევროკავშირი გახდა რუსეთთან და შეერთებულ შტატებთან ერთად ახალი მოქმედი აქტორი რეგიონში, სადაც ის წარმოდგენილია თავისი სადამკვირვებლო მისიით (EUMM). ბრიუსელის გაზრდილი ვალდებულება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, დადებითად აისახა არა მარტო საქართველოზე, არამედ სომხეთსა და აზერბაიჯანზეც. თუმცა, ცხადია, რომ ევროკავშირის საერთო სტრატეგია სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია.



უკვე მრავალი წელია, რაც ევროპასთან ინტეგრირება საქართველოს პოლიტიკური არჩევანია[78]. ევროკავშირი მნიშვნელოვანძალისხმევასდარესურსებსდებსსაქართველოში

78 EU relations with Georgia. P.1. https://www.consilium.europa.eu/

და ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორს ეხმარება დემოკრატიული პროცესებს და ეკონომიკის განვითარებაში. ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში ახალი ეტაპის დაიწყო, სავარაუდოდ, ეს ყველაფერი მიზანმიმართულია იმისკენ, რომ გააღრმავოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის.

ევროკავშირი ხელს უწყობს სტაბილური დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, რომლის საშუალებით ქვეყანაში მოხდება ისეთ საერთო ინტერესებზე კონცენტრირება, როგორიცაა ენერგო უსაფრთხოება და მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ეს რეგიონს დამატებით საშუალებას მიცემს სხვადასხვა მიმართულებით განვითარდეს. ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოების მჭიდრო თანამშრომლობის მიზნის მისაღწევად ექსპერტებმა და მხარეების გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა უფრო ახლო პარტნიორობისათვის სტრატეგიული და რეალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების განსავითარებლად.

საინტერესოა ამერიკა - რუსეთის ურთიერთობების განხილვა ბოლო ათწლეულის ფონზე. ამერიკას და რუსეთს შორის ურთიერთობა ბოლო პერიოდში გაუარესდა, რადგან რუსული მხარის ჩარევამ ამერიკის საარჩევნო სისტემაში, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა[79]. რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტი ამერიკას აღიქვამს, როგორც ანტაგონისტურად განწყობილ სახელმწიფოს, ისინი პირდაპირ საფრთხედ აღიქვამენ საქართველოსთან ამერიკის ურთიერთობებს, რადგან პოსტ საბჭოთა სივრცის კონტროლი მათთვის მთავარ ინტერესთა სფეროს წარმოადგენს.

79 Gegeshidze. A. - "Opening the European perspective of Georgia" - 2018. p. 10-12

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომელიც დღევანდელი რუსეთისათვის პირად ტრაგედიად აღიქმება, ბევრი რამ შეიცვალა პოსტ საბჭოთა ქვეყნების ცხოვრებაში. პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე წარმოებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა უამრავი მსხვერპლი მოიტანა, წარმოებულ კონფლიქტებში რუსეთი გვევლინება მთავარ წყაროდ, განსაკუთრებით მას ქაოტური მდგომარეობა სურდა სამხრეთ კავკასიაში, რადგან ამერიკასა და ევროკავშირისათვის დამატებითი პრობლემები შეექმნა[80]. რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონული კონტროლის კუთხით, რადგან ჩრდილოეთ კავკასია გამოირჩევა თავისი არასტაბილურობით, ეს ყველაფერი რუსეთისათვის ხელსაყრელ ფაქტად იქცევა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე საქართველოს კონტროლის გარეშე რუსეთი ვერ შეძლებს გავლენის გავრცელებას სამხრეთ კავკასიაში. ამ ქმედებით რუსეთი აკონტროლებს აღმოსავლეთ - დასავლეთ ენერგო დერეფანს, რადგან მას სურს რეგიონში შეასუსტოს თურქული და დასავლური ინტერესები[81]. ზემოთ ნახსენები ყველა ფაქტების კონსტატაციას, უნდა დავამატოთ ისიც, რომ სომხეთთან მჭიდრო კავშირისათვის რუსეთი ასევე იყენებს ქართულ სატრანზიტო ხაზს, ამასთანავე ის სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს საქართველოს დამოუკიდებლობას და მიზანმიმართულად აფერხებს მის განვითარებას პრო-დასავლური და პროევროპული მიმართულებით.

ჩრდილოელი მეზობლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქართული საზოგადოების პოლარიზაცია, ასევე მას სურს რეგიონში შექმნას დაუსრულებელი კონფლიქტური სიტუაცია, ამის ფონზე ის აგრძელებს ქვეყნის ბორდერიზაციის პროცესს.

80 Asmus. R. - "A Little War That Shook the World" - 2010. pp 58-62
81 Cem. I - Turkish Foreign Policy: Opening New Horizons for Turkey at The Beginning Of a New Millennium -5. 2002, pp. 3-5



რონალდ ასმუსის წიგნი
"მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა"

რუსეთი სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონს, პერმანენტულად უწევდა ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას, **რონალდ ასმუსის** ვარაუდით ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე ხდებოდა სამხრეთ ოსეთში სამხედრო ძალის მობილიზება. ავტორის წიგნი, რომელიც უამრავ ინტერვიუს ეფუძნება, განიხილავს რუსეთის როლს წარმოებულ სამხედრო კონფლიქტში, რუსეთი წლების მანძილზე მიზანმიმართულად აფერხებდა აფხაზეთისა და ოსეთის გაყინული კონფლიქტების მოგვარებას. ვლადიმერ პუტინი გარკვეულწილად გაღიზიანებული იყო, ფიქრობდა, რომ დასავლეთმა რუსეთის სისუსტით ისარგებლა და ამ ქვეყნის ხარჯზე საკუთარი ინტერესები გააძლიერა სამხრეთ კავკასიაში[82]. ის გამოსავლის ძიებაში იყო, რადგან საკადრისი პასუხი გაეცა დასავლეთისათვის, ასევე მას სურდა რუსეთისათვის ძლიერი სახემწიფოს სტატუსი დაებრუნებინა მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე.

82 THE AUGUST WAR, TEN YEARS ON: A RETROSPECTIVE ON THE RUSSO-GEORGIAN WAR -https://warontherocks.com

თავი მეცხრე - სამხრეთ კავკასია და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი

სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური სტაბილურობა დამოკიდებულია, არამარტო რეგიონში შემავალი სამივე სახელმწიფოს ჩართულობაზე, არამედ თუ, როგორი იქნება: რუსეთის, ევროკავშირის, ირანისა და ჩინეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და ენერგო ინტერესები. რეგიონის ღრმა ისტორიული წარსულიდან, ხასიათდება სუსტი სახელმწიფოებრიობით და გადაუწყვეტელი კონფლიქტებით. სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევებს შორის წამყვანი ადგილი სეპარატისტულ კონფლიქტებს უჭირავს, რომლებიც გარე ძალების ჩართულობით, გადაუჭრელ კონფლიქტთა რიცხვს მიეკუთვნება. კონფლიქტების მთავარ აქტორად რა თქმა უნდა რუსეთი გვევლინება, მათ შორის თურქეთსაც გააჩნია თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები. მზარდი სამხრედო კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში, რომელმაც პერმანენტული ხასიათი მიიღო, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის სრულად ჩამოყალიბება და შესრულება, ნებისმიერ ხელისუფლებისთვის რთულია. ეს საქმე განსაკუთრებით ძნელია საქართველოსთვის, მისი არსებობა, როგორც პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი ქვეყნისა, რადგან მას რთული სამეზობლო ჰყავს. ერთიანობის შენარჩუნების და კონსოლიდაციის კუთხით საქართველოს სერიოზული შიდა გამოწვევა აქვს.

ეროვნული უსაფრთხოება წარმოადგეს საერთო ეროვნულ ფასეულობათა სისტემას, ასევე ის მოიცავს კულტურულ-პოლიტიკური ერთობის, ყველა იმ სასიცოცხლო პირობას, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრად არსებობასა და განვითარებას. ტრადიციულად, ეროვნული უსაფრთხოება გულისხმობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და მისი

შინაგანი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას. იმ ისტორიული რეალობის კონტექსტში, რის დროსაც მოხდა ეროვნული უსაფრთხოების, როგორც პოლიტიკური ლექსიკონის ტერმინის ჩამოყალიბება, მისი დამკვიდრებული გაგება ასახავდა მსოფლიოს ერების წინაშე იმ პერიოდში მდგარი უსაფრთხოების პრობლემის ძირითად შინარსს. ისტორიულად, ქვეყნის უსაფრთხოება გულისხმობდა მისი მოსახლეობისა და საარსებო სივრცის დაცვას. ტერმინი ,,ეროვნული უსაფრთხოება" აშშ-ის 1901-1909 წლებში პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის დამსახურებით აღმოჩნდა. მან 1904 წ. აშშ-ს კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც პანამის იმ ტერიტორიების ოკუპირებას, სადაც მომავალში არხი უნდა აშენებულიყო, ასაბუთებდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით. თ. რუზველტის დამსახურებაა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აშშ-ის საგარეო პოლიტიკამ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო და ამ ქვეყნის გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები პრიორიტეტული გახდა. მას შემდეგ ,,ეროვნული უსაფრთხოების" ცნება უფრო დაიხვეწა და გაფართოვდა. მაგალითად, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა **ჰანს მორგენტაუმ** ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებში ჩართო არა მარტო სამხედრო, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ყველა საკითხი. აშშ-ი მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად მიიღო შესაბამისი კანონი (1947 წ.) და იმავე წელს შექმნა სპეციალური სტრუქტურა - ,,ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო". შემდგომ პერიოდში აღნიშნული პრობლემების მეცნიერული კვლევა მსოფლიოში კიდევ უფრო გაფართოვდა, თუმცა აშშ-ი ამ მხრივაც ლიდერად რჩებოდა. გამოქვეყნდა მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები (უ. ლიპმანის, ჯ. რენერის რ. კენანის და სხვ.), სადაც განხილული იყო ეროვნული უსაფრთხოების საკითხები. აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი აღნიშნავდა, რომ ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს ყველა სფეროს სადაც

საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის საკითხები წყდება. ის მიიჩნევს, რომ თ. რუზველტი იყო პირველი ამერიკელი პრეზიდენტი, რომელიც ასაბუთებდა, რომ აშშ-ს ვალია გაავრცელოს საკუთარი გავლენა მთელს დედამიწაზე და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობები ააგოს ეროვნული ინტერესების კონცეფციის საფუძველზე. ასევე ცნობილი პოლონელი მეცნიერის და პოლიტიკური მოღვაწის **ზბიგნევ ბჟეზინსკის** აზრით კი, ქვეყნის უსაფრთხოება დამოკიდებულია, არა მარტო სამხედრო ძლიერებაზე არამედ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, მორალურ და სხვა სფეროებში სიძლიერეზე.

ეროვნული უსაფრთხოების ფორმატს გააჩნია სამი კონცეფტუალური კომპონენტი:

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (ლოკალური დონე)
- ეროვნული უსაფრთხოების დილემა (რეგიონული დონე)
- ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი (ტრანსრეგიონული დონე)

ზემოხსენებული კომპონენტებიდან გამოსაყოფია თუ რას წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი?

ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური მართვის ისეთ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც ნებისმიერი სახის მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელსაც ღებულობს ქვეყნის ხელმ-ძღვანელობა, საფრთხეების მაშსტაბების გასაზრდელად, როგორც ქვეყნის შიგნით ისევე ქვეყნის გარეთ. ასეთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს წინაშე არსებული ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე, ე.წ. ,,მცოცავი ოკუპაციის" სახით, რომელიც პირდაპირ ლახავს ქვეყნის სუვერენიტეტს და ვერ ხორციელდება მისი შეჩერება.

საქართველოში უმცირესობებთან ურთიერთობის და-დებით კონტექსტში ტრანსფორმაცია განსაკუთრებით რთულია ბოლო წლებში მომხდარი შიდაეთნიკური ძალადობის გამო,

რომელიც ოს და აფხაზ უმცირესობებს ეხება. საქართველოს დამოუკიდებლობას თან ახლდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო გამოყოფა 1990 წლებში, ძალადობამ საფუძველი დაუდო ფართომასშტაბიან და გახანგრძლივებულ ინტერვენციას რუსეთის მხრიდან. წარმოებულმა კონფლიქტმა წარმოშვა მუდმივი იძულებითი გადაადგილების პრობლემა ასევე კონფლიქტს სერიოზული გავლენა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, მრავალწლიან მოლაპარაკებებს შედეგი არ ჰქონდა კონფლიქტების გადა-წყვეტის საკითხში. ფართომასშტაბიანი საომარი ქმედებები 2008 წელს განახლდა, რასაც საქართველოში რუსეთის შეჭრა მოჰყვა.

სამხრეთ კავკასიის განვითარება პირდაპირ კავშირშია, [83]ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების საკითხთან, გამოსაყოფია **მთიანი ყარაბაღის სამხედრო კონფლიქტი.** არსებული კონფლიქტის წინა პირობა იმაში მდგომარეობს,

83 Kakachia. K, Meister. S, Fricke. B. - Geopolitics and Security: A New Strategy for the South Caucasus – 2018. Pp. 6-10

რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარეობს დავა რომელიც დღესაც მოუგვარებლად ითვლება. სამხედრო დაპირისპირების მიზეზად ტერიტორია იქცა, რომელსაც სომხეთი ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მთიანი ყარაბაღი ნაწილია ისტორიული ყარაბაღისა ის სხვადასხვა დროს აერთიანებდა სრულად მთიან ყარაბაღს და მათი დიდი ნაწილი შედიოდა აზერბაიჯანის ჯერ კიდევ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ასევე სადაოა ის ფაქტი, რომ ისტორიული ყარაბაღის ზუსტი ტერიტორიული აღწერა არ არსებობს.

სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მრავალწლიანი ტერიტორიული დავის ბედი, გადაწყვიტა იოსებ სტალინმა 1921 წელს, მან მთიანი ყარაბაღი სადაო ტერიტორია გამოაცხადა საბჭოთა აზერბაიჯანის დაქვემდებარების ქვეშ. [84]ამ გადაწყვეტილებით მან საძირკველი ჩაუყარა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მარადიული სამ-ხედრო კონფლიქტების წარმოებას. 1980 - იანი წლებიდან მთიანი ყარაბაღის მთელი მოსახლეობის 80% შედგებოდა ეთნიკური სომხებისაგან, ამ ვითარებიდან გამომდინარე მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ერთეულის გამოყოფა აზერბაიჯანისგან სულ უფრო აქტუალური გახდა. [85]წარმოებულ კონფლიქტში რა თქმა უნდა სულ მინიმუმ ჩართული იყო ,,მშვიდობის მყოფელი" რუსეთი, მიხეილ გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის 1988 წელს დაიწყო სამხედრო დაპირისპირება ამ ყველაფერს მოყვა 300 ათასი სომეხი იძულებითი დევნილობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ორ ქვეყანას შორის წარმოებულ კონფლიქტი ითვლებოდა პირველ სამხედრო დაპირისპირებად იმდროინდელი საბჭოთა

84 Digging out of Deadlock in Nagorno-Karabakh. P.1. https://www.crisisgroup.org/
85 The Nagorno-Karabakh Conflict: A Visual Explainer. P.1. https://www.crisis-group.org/

კავშირის ტერიტორიაზე, [86]მაგრამ სომხეთის და აზერბაიჯანის ურთიერთობები სამხედრო დაპირისპირებამდეც კრიტიკულ ზღვარზე იყო. წარმოებული სამხედრო დაპირისპირების მიზეზი გახლდა, მთიანი ყარაბაღის სომხურენოვანი მოსახლეობის სურვილი, რომ მომხდარიყო მათი ინტეგრაცია საბჭოთა სომხეთის რესპუბლიკასთან, ამ აქტს საბჭოთა აზერბაიჯანის გაღიზიანება მოჰყვა, რამაც ეს ყველაფერი სამხედრო დაპირისპირებაში გადაზარდა. 1991 წელს სომხეთმა თავისი ინიციატივით გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სტატუსი, ამ ყველაფერმა ორივე ქვეყანა თავიდან ჩართო საომარ დაპირისპირებაში, წარმოებული კონფლიქტი სომხეთის ეკონომიკისათვის დამანგრეველი აღმოჩნდა, რადგან აზერბაიჯანის და თურქეთის მხრიდან ის ეკონომიკურ ბლოკადაში მოექცა. [87]პოლიტიკური ვითარების ცვლილებებთან ერთად, აზერბაიჯანული მხარე მიზნად ისახავდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ის მჭიდროდ თანამშრომლობდა თურქეთის ხელისუფლებასთან, უკვე დანგრეულ საბჭოთა კავშირთან და ახლად აღმოცენებულ რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობას თავს არიდებდა, რადგან რუსეთი იყო ყველა ეთნო პოლიტიკური კონფლიქტის წამახალისებელი ყოფილი საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების დაპირისპირებაში[88]. 1992 წელს სამხრეთ კავკასიაში შემავალი ქვეყნები ეუთოს (OSCE) წევრები გახლდნენ, ეუთომ გარკვეული ღონისძიებები გაატარა კონფლიქტის მოგვარების კუთხით. ამ პროცესებმა დიდად ვერ შეაჩერა ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება, 1994 წლის საომარ მოქმედებებში სომხეთმა დაამყარა კონტროლი მთლიან ყარაბაღზე, ამასთანავე მათ მოახდინეს სხვა აზერბაიჯანული ტერიტორიების ოკუპაცია, ვითარების დეესკალაციის მიზნით მოხდა სომხური და

86 Kakachia. K, Meister. S, Fricke. B. - Geopolitics and Security: A New Strategy for the South Caucasus - 2018, pp. 37-42
87 Mapping the Nagorno-Karabakh Conflict. P.1.
88 Why the Long Conflict Over Nagorno-Karabakh Could Heat Up Again – P.1. https://www.worldpoliticsreview.com/

აზერბაიჯანული მხარეთა შეხვედრა, რომელიც შეთანხმებით ,,ბიშკეკის ოქმით“ დასრულდა[89].

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, თუ როგორ მოახერხა სომხურმა მხარემ სამხედრო რესურსის მობილიზება? ამ ვითარებაში იკვეთება სხვადასხვა გარემოებები, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს რუსული ფაქტორი და მათი სამხედრო დახმარება სომხეთისათვის. ასევე აზერბაიჯანის სუსტი პოზიცია ავტონომიურ ერთეულთა მიმართებაში, ამ ყველაფერში ის იგულისხმება, რომ აზებაიჯანი იმ პოერიოდში ვერ ტრანსფორმირდა ძლიერ სახელმწიფოდ გარკვეული მიზეზების და გამო, ამასთანავე ისინი ღიად ადანაშაულებენ რუსებს სამხედრო დახმარების გაწევაში, რომელმაც სომხების გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ეუთოს მინსკის ჯგუფის ფორმატი, რომელიც ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას და მხარეებს მოუწოდებდა მოლაპარაკებებისაკენ, მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებდა წარმოებულ პროცესში, რადგან მისი სამშვიდობო ფორმატი არ ითვალისწინებდა მხარეებს შორის იძულების წესით მოლაპარაკებას[90]. 1993 წლიდან ეუთო აქტიურად იყო ჩართული სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესში, მან მხარეებს შესთავაზა ახალი ფორმატი სადაც მთიანი ყარაბაღი პირველად ფიგურირებდა, როგორც მხარე კონფლიქტში[91]. რეზოლუციის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭო (UN) ჩაერთო პროცესში და მხარეებს მოუწოდა შეესრულებინათ ყველა ვალდებულება, რისი ინიციატორიც ეუთო იყო. წარსულის ფაქტებზე დაყრდნობით, დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტის დარეგულირება ვერ მოხერხდა. ეუთოს მინსკის ჯგუფის ჩართულობა კონფლიქტურ ვითარებაში, უკვე

89 Organization for Security and Co-operation in Europe - Nagorno Karabakh (OSCE - NK). P.1. https://www.canada.ca/en.html
90 On the OSCE Minsk Group, CiO Personal Representative, and High-Level Planning Group - https://osce.usmission.gov/on-the-report-on-the-osce-minsk-conference/
91 Nagorno-Karabakh profile – https://www.bbc.com/news/world-europe-18270325

რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს, ფორმატის სახე და იდეა კონსტრუქციულია და კონფლიქტის ესკალაციის ხელის შემშლელი, მაგრამ არსებობს სხვა გარემოებები, რომლებმაც კონფლიქტი დაუსრულებელ საომარ მოქმედებებში გადაზარდა[92]. მინსკის ჯგუფში შემავალი ქვეყნებს (ამერიკა, რუსეთს) დიდად არ აინტერესებდათ სომხეთისა და აზერბაიჯანის ბედი, ისინი ძირითადად დაკავებულები იყვნენ რეგიონში თავიანთი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებით, აქაც რა თქმა უნდა რუსეთის, ამერიკის და ნატოს (NATO) გეოპოლიტიკური მანიპულაცია ნათლად ჩანდა. უნდა გამოვყოთ რუსეთის როლი კონფლიქტში, ის მუდმივად ,,მშვიდობის მანტიით“ მოსხმული, კონკრეტულად ამ კონფლიქტურ ვითარებაში მას მშვიდობაზე მეტად დაძაბულობა სურდა სამხრეთ კავკასიაში, სომხეთის ღია მხარდაჭერა იმაზე მიუთითებდა, რომ ის სტრატეგიულ

პარტნიორად გაიხდიდა მას[93]. ჩრდილოელ მეზობელს არ აინტერესებდა კონფლიქტის სამართლებრივი მხარე, მას სურდა მხოლოდ ერთი, ტოტალური კონტროლი სამხრეთ კავკასიაზე. წარმოებული სამხედრო კონფლიქტის რეგალია სხვადასხვა ფორმით განისაზღვრება, რადგან ის მოიხსენიება,

92 Geukjian. O. - Ethnicity, Nationalism and Conflict in the South Caucasus – 2012. pp 185-190
93 Krüger. H - The Nagorno-Karabakh Conflict: A Legal Analysis – 2010. pp 50-55

როგორც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და სომხურ - აზერბაიჯანული კონფლიქტი.

მსოფლიოში წარმოებული სამხედრო კონფლიქტებს ახასიათებს სამართლებრივი ფორმები, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტსაც გააჩნია სამართებლივი სარჩული, მაგრამ ჩართულ მხარეებს ეს ნაკლებად აინტერესებთ, თუ წარმოებულ პროცესში არ იქნება საერთაშორისო სამართებლივი არსებობა, იქ ნაკლებ სავარაუდოა კონსენსუსის მიღწევა[94]. აზერბაიჯანის პოზიცია ემყარებოდა იმას, რომ სომხეთის მიერ განხორციელებული ქმედებები აღიქმებოდა, როგორც აზერბაიჯანული ტერიტორიების ოკუპაციად, აი სწორედ აქ იკვეთება სამართლებივი ფაქტორი, რადგან აზერბაიჯანს არ გააჩნდა დოკუმენტური მტკიცებულება რაც სომხეთის არმიის შეყვანის ფაქტებს გაამყარებს. ის ვერ აკონტროლებს მთიანი ყარაბაღის ტერიტორიების დიდ ნაწილს, რომლებიც სომხეთს ესაზღვრება, ხოლო იმ ტერიტორიაზე მყოფი ხალხი არ ადასტურებს სომხეთის არმიის რეგულარულ მიმოსვლას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1993 წლიდან გაერო ღიად მოუწოდებდა კონფლიქტში ჩართულ მხარეებს სამშვიდობო მოლაპარაკებისაკენ, მან დაგმო საბძოლო მოქმედებების წარმოება მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, ახალი რეზოლუცია, რომელიც 1993 წლის 14 ოქტომბერს შედგა, ითვალისწინებდა ოკუპირებული ტერიტორიების დე ოკუპაციას, ადგილობრივი მოსახლეობისათვის მშვიდობიანი გარემოს შექმნას და ამასთანავე რეგიონალური მშვიდობისათვის და უსაფრთხოებისათვის კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს უნდა ეზრუნა. გაეროს რეზოლუცია ასევე ეხებოდა ერევნის სამხედრო ქმედებებს, რომელსაც გარეო არაკანონიერად მიიჩნევდა, ხოლო სომხური პოზიცია იმით აიხსნებოდა, რომ ისინი საკუთარი ისტორიულ მიწას იცავდნენ, რადგან საქმე ეხებოდა ეთნიკურად სომხური მოსახლეობის ინტერესებს.

94 What does the equal rights principle in OSCE Minsk Group Statement mean for Nagorno-Karabakh? - http://www.virtualkarabakh.az/en/post-item/

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის განხილვისას, უნდა გავითვალისწინოთ არსებული გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც სამხრეთ კავკასიაშია შექმნილი. კონფლიქტში მონაწილე მხარეების მანიპულაციით ხდება, ორ სახელმწიფოს შორის საომარი მოქმედებების წახალისება[95]. განსაკუთრებით გამოსაყოფია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რუსული ფაქტორი, ის ბოლომდე არ ინტერესდებოდა, კონფლიქტში ჩართული მხარეების პოზიციებით და სიმბოლურად მოუწოდებდა მათ მშვიდობიანად გადაეწყვიტათ თავიანთი ტერიტორიული დავა. კონფლიქტური ვითარების დარეგულირებასთან დაკავშირებით შემუშავებული მიდგომები, მოიცავდა სხვადასხვა ,,საპაკეტო ვარიანტს“ სადაც დაინტერესებულ მხარეებს გადაეცათ კონფლიქტის დარეგულირების და მათი გადაჭრის ვარიანტები, ამ პროცესებში ძირითადად ეუთოს როლი უფრო ღრმად ჩანდა ვიდრე სხვა ორგანიზაციის თუ სახელმწიფოების.

95 Russia and the Nagorno-Karabakh Conflict: A Careful Balancing - https://www.ispionline.it/it/pubblicazione

თავი მეათე - რუსეთ - საქართველოს სამხედრო კონფლიქტის ანალიზი

რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს საქართველოსთან მიმართებაში წარმოადგენს, შეაცვლევინოს ქვეყანას დასავლური კურსი, გააღვივოს პრორუსული განწყობები და შეაფერხოს ქვეყნის განვითარება ევროატლანტიკური მიმართულებით. საქართველოს სუვერენიტეტის სხვადასხვა სახით ხელყოფის მიუხედავად რუსეთმა ვერ მოახერხა, ქართული ვექტორის შეცვლა. საქართველოსთვის ერთ - ერთ მთავარ გამოწვევად რჩება რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკის აგრესიული ფაქტორი. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია, არღვევს ქვეყნის სუვერენიტეტს და იგი მთავარი წყაროა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დესტაბილიზაციის ქვეყანაში. საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელება მისთვის ჩვეული მოვლენაა, მაგრამ დასავლეთის ზეწოლით ის ვერ ახერხებს ღია სამხედრო აგრესიის განხორციელებას.

თუ რუსეთმა კავკასიის რეგიონში საკუთარი გავლენის დაკარგვის საფრთხე დაინახა ამ შემთხვევაში უნდა ველოდოთ ფართომასშტაბიან სამხედრო აგრესიას მისი მხრიდან, რუსეთი საქართველოში იყენებს ,,რბილი ძალის" ელემენტებს, რომელიც ძირითადად აძლიერებს პრო - რუსულ განწყობებს ქვეყანაში.

ამერიკელი პოლიტოლოგი **ჯოზეფ ნაი**, რომელიც ადრეული პერიოდიდან გვაფრთხილებდა, რომ ამერიკას და დანარჩენ მსოფლიოს რუსეთთან უფრო სერიოზული დამოკიდებულება უნდა გამოეჩინა. ნაიმ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცივი ომის ბოლო პერიოდში დასავლური აზროვნების მოდელის შექმნაში, ციტირებს, *რომ გადაჭარბებულია მოსაზრება, თითქოს ევროპას შეიძლება სურდეს, ტრანსატლანტიკური ურთიერთობების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაამყაროს კავშირები რუსეთთან ან ჩინეთთან.* ასევე მან რადიო თავისუფლების ბალკანურ სამსახურთან მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა, იმ ფაქტზე, რომ ევროპელებს დიდად არ აინტერესებდა ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობები, რადგან მათ ჯერ კიდევ ეშინოდათ რუსეთის.

პრო - რუსული პროპაგანდის და რუსული „რბილი ძალის" გამოყენებით და საკუთარი სამხედრო ძალის მუდმივი დემონსტრირებით, რუსეთი ცდილობს ქართულ საზოგადოებაში დაამკვიდროს შეხედულება, რომ მისი ფაქტორის გათვალისწინების გარეშე ქვეყნის უშიშროება და ტერიტორიული მთლიანობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი. რუსეთის წახალისებით საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივ - პოლიტიკური ჯგუფები მიზანმიმართულად ცდილობენ ქართულ საზოგადოებას შეაცვლევინონ კურსი რუსეთის სასიკეთოდ. ასევე გარკვეულ წილად მოხდა ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნება, სავიზო რეჟიმის გამარტივება, სწორედ ამ პოლიტიკით რუსეთი ცდილობს პროდასავლური განწყობების შესუსტებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთი ამ ყველაფრისათვის გაცილებით ადრე ემზადება[96], 2012 წელს ვლადიმირ პუტინმა

96 *THE AUGUST WAR, TEN YEARS ON: A RETROSPECTIVE ON THE RUSSO-GEORGIAN WAR., 17.2018. p.1.* https://warontherocks.com

განაცხადა, საქართველოსთან ომის გეგმა რუსულმა გენშტაბმა მოამზადა 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში, ამ გეგმის რეალიზება რუსეთმა 2008 წელს გადაწყვიტა.

ყველა ის პრიორიტეტული მიმართულება რაც ომის შემდგომ საქართველომ დანერგა, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან სრული მხარდაჭერით გამოიკვეთა, ეს მოიცავდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიების აღდგენას, სწორედ დასავლეთის ზეწოლით, რუსეთმა ვერ გამოავლინა სრულად მისი აგრესიული სახე. გეოპოლიტიკა იმ სახელმწიფოსი, რომელიც საბჭოთა კავშირის შემდეგ გახდა კონტინენტური სახელმწიფო, რომელსაც გარკვეული ინტერესები გააჩნია შავ და ბალტიის ზღვებზე, მაგრამ არ გააჩნია კონტაქტი ცენტრალურ ევროპასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი, რომელიც განაგებდა საბჭოთა კავშირს და იყო სუპერ სახელმწიფო, ტრანსფორმირდა რეგიონულ სახელმწიფოდ, მძიმე ეკონომიკური რეალობით და რთული სოციალურ - დემოგრაფიული ვითარებით.

რუსეთის წინაშე არსებული მიზნები და ამოცანები შემდეგში მდგომარეობს:

- გახდეს ევროპის სრულუფლებიანი ნაწილი;
- კვლავ დაიბრუნოს ძველი დიდება და მიაღწიოს ,,ზესახელმწიფოს“ დონეს (დღევანდელი მოცემულობიდან ეს შეუძლებელია);
- მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე ყველაფრის ფასად შეინარჩუნოს თავისი პოზიციები.

რუსეთს იმპერიალისტური მიდრეკილების დიდი ისტორია გააჩნია, ის აწარმოებს თანამედროვე შეიარაღების უახლესს მოდელებს, სამხედრო პოლიტიკა კი მიმართულია ერთისკენ - გახდეს სრულად მილიტარისტული სახელმწიფო, სამხედრო მიმართულებით გაძლიერება განპირობებულია

დასავლეთის საპასუხოდ[97], ასევე მეზობელ სახელმწიფოებზე დომინირების კუთხით, განსაკუთრებით საქართველოს და უკრაინის მიმართებაში, რაც ბოლო ათწლეულმა ნათლად დაადასტურა.

Railroad
Airport
Road
Georgian offensive (August 7-10)
Russian counteroffensive (August 8-16)
Area shelled by the Georgian artillery
Russian air attacks
Russian naval movements
Georgian naval movements
Russian airborne forces
Naval engagement
Territory controlled by the breakaway republics of Abkhazia and South Ossetia prior to the war
Abkazian and South Ossetian territory loyal to the Georgian government that was lost to the separatists and Russian forces
Georgian territory (outside Abkhazia and South Ossetia) occupied by the Russian army
Georgian defensive position after August 11

რუსული სცენარი საქართველოს მიმართ, განპირობებულია საერთაშორისო პროცესებით, რომელიც ნატოს და ამერიკას უკავშირდება, ის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დიდწილად დაკარგული გლობალური აქტორის როლის დაბრუნებას ცდილობს და ფაქტობრივად ღიად უპირისპირდება დასავლეთს, რომ გავლენის ზონების გადანაწილებაში წამყვანი ძალა გახდეს.

2008 წლის აგვისტოს შეზღუდული სამხედრო კონფლიქტი, რომელიც 7 დღეს გრძელდებოდა, რუსეთი, როგორც ,,ლოკალური ომის“ კუთხით იხსენიებს მას, თავის საგარეო პოლიტიკურ გზავნილებში ის განმარტავდა, რომ ამერიკის მიერ ინსპირირებულმა ფერადმა რევოლუციებმა და დასავლური დემოკრატიის გავრცელებამ ყოფილ პოსტ - საბჭოთა ქვეყნებში, ინტერესთა კონფლიქტად აღიქმებოდა, რადგან რუსეთი საკუთარი გავლენის სფეროდ განიხილავს

97 Russia's 'Neo-Imperialism' Is a Product of Complex Factors . 10.2020. p.1.

სამხრეთ კავკასიის რეგიონს და დასავლეთის ინტერესების გატარებას იქ ვერ დაუშვებს.

საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესიის გამართლების მიზნით, რუსეთი ამტკიცებდა, რომ მისი ძალები საქართველოს ტერიტორიაზე ,,იძულებით" ცხინვალზე მოულოდნელი ქართული თავდასხმის შემდეგ შეიჭრნენ[98]. გადმოცემული ცნობების თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალები ცხინვალის რეგიონისკენ დაიძრნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სეპარატისტების მიერ ქართული სოფლების ინტენსიური საარტილერიო დაბომბვას შეეწირა მშვიდობიანი მოქალაქეები. რუსეთი საომარ მოქმედებებში 8 აგვისტოს ოფიციალურად ჩაერთო, რომელმაც რეგიონში საკუთარი ჯარების ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა შეიყვანა.

მხოლოდ ზემოხსენებული არ იკმარა და საქართველოს სხვა რეგიონების საჰაერო დაბომბვაც დაიწყო, წარმოებული სამხედრო დაპირისპირებისთვის რუსეთი თვეების განმავლობაში ემზადებოდა, დეტალურ გეგმას მიჰყვებოდა და სწრაფად ახორციელებდა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას, ამ აგრესიულ საქციელს ,,საკუთარი მოქალაქეების" დაცვის მიზნით ამართლებდა ცხინვალის რეგიონში.

შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში, რომელიც შემდგომ ,,ხუთდღიანი ომის" სახელწოდებით გახდა ცნობილი შექმნილ ვითარებას, რუსული მხარე ამართლებდა საკუთარ სამხედრო ინტერვენციას, გამოგონილი ტყუილებით, ოსური მოსახლეობის გენოციდის შესახებ[99]. რუსეთმა, როგორც ,,მშვიდობის მყოფელის" სტატუსით შენიღბულმა აგრესორმა, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განალაგა რუსული სამშვიდობო ჯარები, რომლებიც იქ 1992 წელს ქალაქ სოჭში დადებული ხელშეკრულების თანახმად იმყოფებოდნენ. მისმა

98 Cohen. A. Hamilton. R - ,,The Russian Military and the Georgia War", 2011. pp.10-12.
99 Lessons from the Russo-Georgian War: Seven Years Later, 08.08.2015 p.1. https://www.bbc.com

დეზინფორმაციულმა კამპანიამ, ქართულ მხარეს დააბრალა რუსულ სამშვიდობო ძალების შენობის აფეთქება სადაც ორი სამხედრო პირი დაჭრილად და ხუთი დაღუპულად გამოაცხადა.



უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროინდელ მოვლენებს არ გააჩნდა ფაქტების გამომკვლევი კომისია, ამ კომისიას უნდა გამოეკვლია მხარეებს შორის კონფლიქტის დაწყების მიზეზები და ასევე უნდა შეექმნა ანგარიში, რომელიც მხარეების ბრალდებების საფუძვლიანად დასაბუთებას ან უარყოფას შეძლებდა[100].

რაც შეეხება რუსებისა და სამხრეთ ოსების არალეგიტიმურ ბრალდებას გენოციდთან დაკავშირებით, ამ განზრახვაში დადანაშაულებული ქართველების ბრალეულობა ვერ მტკიცდება. რუსეთის მხრიდან წარმოდგენილი ერთ - ერთი ყველაზე სერიოზულ ბრალდებაზე აუცილებელი იყო აღნიშნული მტკიცებულების ანალიზი, იმ მძიმე უარყოფითი კონოტაციის გამო, რომელიც თვითონ ტერმინ ,,გენოციდის" გამოყენებამ განაპირობა, საბოლოო დასკვნის მიხედვით, რომელიც ემყარებოდა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს ნათქვამია, რომ [101]*გენოციდის შედე-*

100 Georgia v. Russia: Strasbourg court rules in 2008 war case. P.1. https://www.bbc.com

101 "Independent International Fact-Finding Commission on the Conflict in Georgia", Tbilisi - 2009. https://smr.gov.ge/uploads/prev/11415b.pdf

გის მისაღებად საჭიროა მტკიცებულებების არსებობა, რომელიც ადასტურებს გენოციდის დანაშაულებრივი ქმედების მიზანმიმართულ განზრახვის არსებობას. აქედან გამომდინარე არსებობს მხოლოდ ერთი დასკვნა, რომ რუსეთის სამხედრო ოპერაცია სამხრეთ ოსეთში უხეშად, საერთაშორისო სამართლის დარღვევით განხორციელდა.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო საქმეთა ასოცირებული ვიცე -კანცლერი, **ჯეიმს ვერჩი** ერთმანეთისაგან განასხვავებს „სპეციფიკურ ნარატივებს", რომლებიც იქმნება კონკრეტულ მოვლენებთან (მაგალითად, აგვისტოს ომთან) დაკავშირებით. ვერჩის მიხედვით, რუსული „ნარატივის ნიმუში" ვარიაციულად გამოიყურება, ოფიციალურ წარმომადგენელთა დამოკიდებულება პირდაპირ ასახავდა რუსული ნარატივის ნიმუშს. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი მოქალაქეები (ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას რამდენიმე თვით ადრე რუსული პასპორტები დაურიგდა) შეტევის მსხვერპლი გახდნენ. ამას ყველაფერს მოწმობს, გაეროში რუსეთის ფედერაციის ელჩის ვიტალი ჩურკინის სიტყვით, *„რა თქმა უნდა, რუსეთი მსხვერპლი იყო"* ასევე ის ხაზს უსვამს ომამდე რუსეთის მშვიდობიან ცხოვრებას, რომელსაც სხვის ტერიტორიაზე შეჭრის არავითარი სურვილიც არ გააჩნდა, ის მხოლოდ ქართულ პროვოკაციის მოპასუხედ იქცა.

სწორედ ზემოთ ხსენებული მოვლენები იქცა რუსულ ნარატივის მთავარ იდეად, ამ ნარატივის მნიშვნელოვან ნაწილს ვლადიმერ პუტინის განცხადებაც მოწმობს, (შეგახსენებთ, რომ ეს განცხადება 12 აგვისტოს, კონფლიქტის ყველაზე აქტიურ პერიოდში გაკეთდა).[102] *„ახლა აგიხსნით, რა მოხდა იქ. მოდით, გავიხსენოთ, როგორ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 1939 წლის 1 სექტემბერს, ნაცისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. შემდეგ ისინი თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყო რუსეთის არმია? გერმანიის*

102 Commentary: How Putin defeated Saakashvili but lost to Georgia.

საზღვართან უნდა შეჩერებულიყო?" ეს ნარატივი სრულიად გასაგები და მისაღები იყო რუსული პოლიტიკური ელიტისთვის, მაგრამ გაუგებარი იყო ცივილიზირებული სამყაროსთვის.

ასევე გამოსაყოფია ვლადიმერ პუტინის მეორე განცხადება[103] *„ამერიკელი პარტნიორები წვრთნიდნენ ქართველ სამხედროებს. დიდი ფინანსური ხარჯი გაწიეს, გზავნიდნენ მრავალ სამხედრო ინსტრუქტორს ქართული ჯარის გასაწვრთნელად. იმის ნაცვლად, რომ ეზრუნათ ეთნიკური დაპირისპირებებისა და კონფლიქტების მოგვარებაზე, ისინი ახალისებდნენ ქართული მხარის სამხედრო ოპერაციებს. ბუნებრივია, აქედან გამომდინარე ჩვენ პასუხი უნდა გაგვეცა."* ამ განცხადებებიდან ნათლად ჩანს რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსთან მიმართებაში, მისი აგრესიული გეგმები ჯერ კიდევ 2008 წლამდე ყალიბდებოდა, ხოლო საქართველოსთან დაპირისპირებით მას სურდა ნატოს ინტერესების დაკნინება სამხრეთ კავკასიის რეგიონზე.

აქვე უნდა განისაზღვროს ის გარემოებაც, რომ დღევანდელი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის პირობებში, როდესაც კვლავ შემოვიდა ძალთა ბალანსის თეორიის თანახმად შექმნილი საერთაშორისო წესრიგის ფორმატი, ახალი განზომილება მიიღო სამხედრო კონფლიქტის არსმაც. ჩვენის აზრით, ასეთ პირობებში შეიძლება განისაზღვროს სამხედრო კონფლიქტი, როგორც აქტორებს შორის დაწყებული და განვითარებული დაპირისპირება, რომელიც გამოირჩევა სამხედრო პოტენციალის სრულად გამოყენებით და სადაც მიმდინარეობს გარკვეული შეზღუდული სახის გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევა, თუმცა მას შეიძლება არ ჰქონდეს სრულმასშტაბიანი ომის სახე.

103 August 2008 Planned War?, 9.2012. p.1

თავი მეთერთმეტე - რუსეთ - საქართველოს აგვისტომ ომის სამხედრო - სტრატეგიული ანალიზი

რუსეთ-საქართველოს ომის სპეციფიკა გამოიხატება კავკასიონის ქედის მახლობლად საბრძოლო მოქმედებათა თეატრი (საოპერაციო თეატრი), რომელიც მოიცავდა ცხინვალის რეგიონს, გამოირჩეოდა საინტერესო გეოგრაფიულ და ოპერატიული დაგეგმარების თავისებურებებით. პირობითად, ე.წ. „ცხინვალის რეგიონის“ თეატრის უპირველესი ფუნქციონალური მახასიათებელი მის უწყვეტობაშია დასავლეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით, ხოლო მერიდიანულად კი ჩრდილოეთ-სამხრეთით გამოირჩევა რთული მთაგორიანი

რელიეფით, რაც თავის მხრივ ზღუდავდა საბრძოლო ტექნიკის, პირველ რიგში ჯავშანტექნიკის და სატანკო დანაყოფების ინტენსიურ გამოყენებას. აღნიშნული თეატრი წარმოადგენდა უწყვეტ არეალის, რომელიც არსად არ შემოისაზღვრება მნიშვნელოვანი შიდა ჰიდროლოგიური წინააღმდეგობებით, მაგრამ პირიქით შემოიფარგლება მთაგორიანი რელიეფით, რომელშიც გამოიყოფა სტრატეგიული სიმაღლეების სახით -

მაგალითად, იგივე წვარიახოს მთა და ძარის გზა, რომლებიც მაღალმთიან სივრცეზე მდებარეობენ). თეატრის ერთგვარ უწყვეტობის გამოვლენას წარმოადგენდა ისიც, რომ მისი შემადგენელი ქვეთეატრების (ოპერაციების რაიონები) ერთმანეთში უშუალოდ გადადიოდნენ. ორივე ქვეთეატრი (ჯავისა და ქალაქ ცხინვალის) უშუალოდ ესაზღვრებიან ერთმანეთს (აქ ძირითადად თავმოყრილი იყო ცხინვალელი სეპარატისტების და რუსული სამხედრო დანაყოფების ტაქტიკური ჯგუფები და მართვის ცენტრები), სამხრეთით კი ლიახვის ხეობა-ახალგორი, უკვე იკვეთებოდა ქართული სამხედრო-პოლიტიკური მართვის ცენტრები, ლოკალურ-ტაქტიკურ დონეზე - აქვე იყო ქართული სამშვიდობო ძალების მართვის შტაბიც და ადგილობრივი პრო-ქართული სამხრეთ

ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელისუფლების სტრუქტურები.

თვით ცხინვალის რეგიონის საბრძოლო მოქმედებათა თეატრის ფუნქციონალური ნიშანი იყო ის, რომ თეატრის სიღრმე და სიგრძე მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო, სადაც თეატრის ზომა პარალელის მიმართულებით ბევრად მეტი იყო, ვიდრე მერიდიანის ზომა მიმართულებით. აღნიშნული

გარემოებაკი მკვეთრად ზღუდავდა სამხედრო პოტენციალის და საბრძოლო ტექნიკის დიდი რაოდენობით გამოყენებას, ორივე მხრიდან, რაც შემდგომში, უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში დადასტურდა და რომელიც, თავის მხრივ, განპირობებული იყო გეოგრაფიული განზომილებებით და ოპერატიული მოცულობით. ზოგად კონტექსტში (იგულისხმება გეოსტრატეგიული კონტექსტი) რომ შევადაროთ, ცხინვალის რეგიონის საბრძოლო მოქმედებათა თეატრი, პირობითად და ზოგად კუთხით, უფრო წააგავდა ცენტრალური ევროპის თეატრის ტიპოლოგიას „ცივი ომის“ პერიოდში - ნატოსა და ვარშავის პაქტის სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში[104]. სახმელეთო და მთიანი მასივის, როგორც თეატრის ერთიანობაში შემკრავი, წარმოადგენს ცხინვალის რეგიონის თეატრის ერთ-ერთ არსებით ფუნქციონალურ მახასიათებელს. ამიტომაც შესაძლებელია თეატრი დახასიათდეს შემდეგი სამხედრო-სტრატეგიული თავისებურებებით:

- *სამთო-სახმელეთო კომუნიკაციების კრიტიკული როლი თეატრის მდგრადობისთვის;*
- *ამ კომუნიკაციების მიმდებარე საჰაერო და სახმელეთო სივრცეზე კონტროლის აუცილებლობა;*
- *მეორე ეშელონებისა და რეზერვების უდიდესი მნიშვნელობა;*
- *თეატრის სიმეტრიულობა, რაც ნიშნავს იმას, რომ თეატრის ნებისმიერ ქვეთეატრზე წარმატება კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებს მთელი თეატრისთვის (ჯავას რაიონის და როკის გვირაბის არ თუ ვერ დაკავებამ გამოიწვია საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მარცხი მოწინააღმდეგესთან).*

104 Katsitadze.k - "Fundamentals of Strategy", "Rainbow" publishing house, editor - Vakhtang Kapanadze, Tbilisi, 2007, p. 110-113

ამავე დროს, სიმეტრიულობა გამორიცხავდა თეატრზე იზოლირებული ოპერაციების ჩატარებას. ყოველი ცალკე ოპერაცია წარმატებული იქნებოდა მხოლოდ მთელი თეატრის მომცველი სტრატეგიული მოქმედებების კონტექსტში. ამავე დროს, ამ თეატრის ერთ-ერთ საინტერესო სპეციფიკურ მახასიათებლის წარმოადგენდა მისი ურბანიზებული ხასიათი, უშუალოდ ქალაქ ცხინვალში. აქ მცირე დასახლებული პუნქტები ერწყმოდნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით აღმოსავლეთიდან დასავლეთ მომართულებით. დასახლებული პუნქტების ამგვარი მეტ-ნაკლები სიუხვე, ბუნებრივია, ზეგავლენას მოახდენდა საბრძოლო მოქმედებათა ხასიათზე. ოსური სეპარატისტების სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და ასევე, მათმა კურატორებმა რუსეთის ფედერაციიდან, კარგად გაითვალისწინეს საკუთარი სამხედრო პოტენციალი და ცხინვალის თავდაცვის ორგანიზაცია იმდენად ჭკვიანურად დაგეგმეს, რომ აშკარა გახდა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა რფ-ის სპეცსამსახურების გენერლების დანიშვნა სხვადასხვა თანამდებობაზე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტული მთავრობაში[105]. წინასწარ იყო შერჩეული ყველა შენობა-ნაგებობა, რომელშიც თავდაცვითი პოზიცია იყო მომზადებული - ძირითადად, წინააღმდეგობის კერები ცხინვალის ცენტრალურ რაიონებში იყო ორგანიზებული. ამავე დროს, ოსურ მხარეს მოწინავე სათვალთვალო პუნქტები ჰქონდათ განთავსებული ტბეთისა და ცხინვალის შესასვლელ გადაკვეთაზე, ასეთივე სათვალთვალო და წინააღმდეგობის კერები ჰქოდათ მომზადებული რფ-ის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სადაზვერვო ჯგუფებსაც. ზოგადი კუთხით, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ცხინვალის თავდაცვის გეგმა რუსული სახმელეთო ჯარების საბრძოლო წესდების თანახმად იყო მომზადებული. ამიტომაც საომარი მოქმედებების დაწყების ეტაპზე, ოსური სეპარატისტების საბრძოლო ქვედანაყოფებმა ქართულ შძ-ის შენაერთებს ცხინვალის ცენტრამდე შეღწევის საშუალება მისცეს და

105 Karkarashvili. G. - "This is our homeland is burning", Tbilisi, 2009, p. 66

ძირითადი ყურადღება ქალაქის ცენტრალური საკვანძო შენობების დაცვაზე გადაიტანეს, რითაც ფაქტიურად ქართული დანაყოფები მოაქციეს ე.წ. „ცეცხლის ტომარაში“[106].

ამავე დროს ცხინვალის საბრძოლო მოქმედების თეატრის მნიშვნელოვან გეოსტრატეგიული თავისებურებას წარმოადგენდა, საბრძოლო მოქმედების პერიოდში მეომარ მხარეების სამხედრო-ოპერატიული გრავიტაციული ცენ-ტრების განსაზღვრა, რომელიც შეიძლება გამოიყოს გეო-გრაფიული საოპერაციო ხაზების არსებობითაც. როგორც ცნობილია, გრავიტაციის ცენტრები განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებით. ერთის შეხედვით, გრავიტაციული ცენტრი განისაზღვრება გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, და შეიძლება განიხილებოდეს როგორც გეოგრაფიაზე ბაზირებული გრავიტაციის პირობები.



სამხედრო მოქმედებების რუკა. ლურჯად მონიშნულია ქართული ჯარების მიმართულება, წითლად — რუსების.

106 *Ibid., p. 67*

მეორეს მხრივ კი, გრავიტაციის ცენტრი წარმოადგენს წერტილებს, რომელთა დაკავება შლის ბმულობას. ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც ისეთი, რომლის მწყობრიდან გამოსვლა ან დაკარგვა შლის შეიარაღებული ძალების მდგრადობას. ამასთან ცენტრი შეიძლება არ იყოს მაინცდამაინც დასახლებული პუნქტი (თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ეს მართლაც ასეა). ეს წერტილი შეიძლება იყოს აეროპორტი, ლოგისტიკური საწყობი, კომუნიკაცია, კავშირგაბმულობის კვანძი ან ოპერაციის ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელობა. ზოგიერთ შემთხვევაში, გრავიტაციის ცენტრს წარმოადგენს ისიც, რომელიც ზურგისა და ფრონტის ხაზზე მყოფი ძალების ბმულობას მოშლის[107]. არსებობს ასევე ოფიციალური განმარტება, თუ რას წარმოადგენს გრავიტაციის ცენტრი, რომელიც შემუშავებული იქნა აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის-პენტაგონის მიერ. ამ განმარტების მიხედვით, „გრავიტაციის ცენტრი - არის ძალის წყარო, რომელიც უზრუნველყოფს მორალურ ან ფიზიკურ ძლიერებას, მოქმედებების თავისუფლებას ან ნებას მოქმედებისკენ“[108].

ამიტომაც საინტერესოა თუ როგორ განისაზღვრებოდა რუსულ-ქართული აგვისტოს ომის პირობებში, მეომარ მხარეების გრავიტაციული ცენტრები (ამ შემთხვევაში იგულისხმება გეოგრაფიული საოპერაციო ხაზები ან პოზიციის ცენტრები). ამ შემთხვევაში, ოსურ-რუსული გაერთიანებული სამხედრო შენაერთების გრავიტაციულ ცენტრად ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს დასახლებული პუნქტი ჯავა. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ 2007 წლიდან მოყოლებული ჯავაში დახურული რუსული სამხედრო ქალაქის მშენებლობის შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია. აქვე ფაქტიურად გადმოვიდა, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტული ხელისუფლება, ე.წ. „პრეზიდენტის“ ედუარდ კოკოითის მეთაურობით საომარი

107 *Katsitadze.k - "Fundamentals of Strategy", "Rainbow" publishing house, editor - Vakhtang Kapanadze, Tbilisi, 2007, p. 210-211*

108

მოქმედებების დაწყებამდე სულ რაღაც ორი დღით ადრე. ფაქტობრივად, სამხედრო ბაზას წარმოადგენდა და შესაბამისი ინფრაქსტრუქტურა გააჩნდა. ჯავაში დასაწყობებული იყო ჯავშანტექნიკა, საბრძოლო მასალებისა და საწვავის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც რუსეთის ფედერაციის არმიას საბრძოლო მოქმედებათა დაწყების შემთხვევაში აუცილებლად დასჭირდებოდა (და ასეც მოხდა 2008 წლის აგვისტოში). გარედან ყოველგვარ მონიტორინგის მექანიზმს მოკლებულ ბაზაზე, ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, რუსეთმა განათავსა როგორც არტილერია, ასევე სატანკო დანაყოფები[109]. მოგვიანებით, როგორც ინტერნეტსაიტებით გახდა ცნობილი, ჯავაში რათქმაუნდა, რუსული გაძლიერებული სამხედრო კონტიგენტი წინასწარ შეიყვანეს. საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა:

ა) 135-ე მოტომსროლელი პოლკის ერთი მოტომსროლელი ბატალიონი

ბ) დაზვერვის ოცეული

გ) დაუზუსტებელი რაოდენობის სატანკო და მექანიზებული დანაყოფი ასევე სადაზვერვო კომპონენტები

დ) დაუზუსტებელი მონაცემებით, ცხინვალში წინასწარ იყვნენ განთავსებული რფ-ის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეცდანიშნულების მე-10 და 22-ე ბრიგადის ქვედანაყოფები[110].

რაც შეეხება საქართველოს შეიარაღებული ძალების გრავიტაციულ ცენტრს, ის შეიძლება ყოფილიყო და სავარაუდოდ იყო ქალაქი ახალგორი და მისი მიმდებარე ტერიტორია ქართული დასახლებებით. სწორედ ამ ტერიტორიაზე იყო განთავსებული ძირითადი ტაქტიკური დონის ლოჯისტიკური და მართვის კომუნიკაციური ხაზები და ახალგორი განიხილებოდა ერთ-ერთ მთავარი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ბმულობის ცენტრი[111].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკვე გასაგებია რომ საბრძოლო მოქმედებების პირობებში ორივე მხარე იყენებდა შედარებით შეზღუდული რაოდენობის ცოცხალ ძალასა და საბრძოლო ტექნიკას ამ თეატრზე. ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ სამხედრო კონფლიქტის დაწყებისთანავე, ორივე მხარეს გააჩნდა შემდეგის სახის სამხედრო პოტენციალი:

2008 წლის აგვისტოსთვის, საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთო შემადგენლობა შეადგენდა 29 ათასს სამხედრო მოსამსახურეს, პლიუს 60-100 ათასს შეადგენდა სარეზერვო რესურსი. შეიარაღებაზე აღირიცხებოდა 200 საბრძოლო ტანკი (ტ-55 – 40 ერთეული, ტ-72 – 165 ერთეული), 80 ჯავშანმანქანა, სადაზვერვო მანქანა 11 ერთეული, 150-მდე ერთეული საარტილერიო სისტემა, 40 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, 180 ნაღმრტყორცნი, 25 მოიერიშე თვითმფრინავი სუ-25, 15 საბრძოლო-საწვრთნელი თვითმფრინავი L-39 („ალბატროსი“), 28 ვერტმფრენი, საზენტო-სარაკეტო კომპლექსები, მათ შორის, საშუალო სიშორის, „ბუკის“ სისტემა და ა.შ.

ამავე პერიოდისთვის, კი რფ-ის ოპერატიულ-სტრატეგიულ გაერთიანება - ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში, რომელიც ემიჯნებოდა ცხინვალის საბრძოლო მოქმედებათა თეატრს, შედიოდა 58-ე არმია, მე-20 მოტომსტროლელი დივიზია და მე-7 საჰაერო-სადესანტო დივიზია. მათი საერთო რაოდენობა შეადგენდა 100 ათასს სამხედრო მოსამსახურეს. მათ შეიარაღებაში შედიოდა 620 საბრძოლო ტანკი, 200 ჯავშანმანქანა, 875 საარტილერიო სისტემა. მათ მხარდასაჭერად არსებობდა 60 ერთეული სუ-24 საფრონტო

109 "Report of the international fact-finding mission related to the conflict in Georgia", first, second and third volumes, Tbilisi, September, 2009, pp. 70-71

110 Karkarashvili. G. - "This is our homeland is burning", Tbilisi, 2009, p. 38-39

111 Telephone interview-consultation with Doctor of Military Sciences, former Chief of the General Staff, retired Major General Vakhtang Kapanadze, Head of Military Research of the "Geokas" Center, Tbilisi, August 8, 2022, at 19:00 in the evening.

მოიერიშე, 100 თვითმფრინავი მიგ-29, 60 თვითმფრინავი სუ-25, 75 დამრტყმელი ვერტმფრენი მი-24[112].

აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ორივე მხარემ სრულად გამოიყენა მის ხელთ არსებული სამხედრო არსენალი და ცოცხალი ძალა ამ თეატრზე საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე. საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ რეალურ პირობებში, საომარი მოქმედებების დაწყების და მიმდინარეობის პერიოდში 2008 წლის 7-12 აგვისტომდე, ორივე მხარე იყენებდა შეზღუდული სახის სამხედრო კონტიგენტი, რომელიც განპირობებული იყო ზუსტად ცხინვალის რეგიონის საბრძოლო მოქმედებათა თეატრის სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორებით, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული. ამაზე მოწმობენ კონკრეტული ეპირიული და რაოდენობრივი მონაცემები, ორივე მხარის სამხედრო დანაყოფების მონაწილეობაზე ომის მსვლელობისას. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ფაქტიურად საქართველომ სრულად გამოიყენა მის ხელთ არსებული შეიარაღებული ძალების პოტენციალი.

კონკრეტულად, რფ-ის სამხედრო კონტინგენტი, რომელიც შემოიჭრა სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე და განახორციელა სამხედრო აგრესია და ინტერვენცია, მოიცავდა 58-ე არმიის მე-19, 42 დივიზიის, 76-ე და 98-ე სადესანტო-მოიერიშე დივიზიის ნაწილებს და რფ-ის გენშტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეცდანიშნულების მე-10, 22-ე და 45-ე ბრიგადის დანაყოფებს. საერთო ჯამში, რფ-ის სამხედრო ინტერვენციონალისტური დაჯგუფების რაოდენობა ცხინვალის საბრძოლო მოქმედებათა თეატრის ზონაში შეადგენდა 16 ათასს სამხედრო მოსამსახურეს, 130 საბრძოლო ტანკს, 105 საარტილერიო და სარაკეტო სისტემის ერთეულს, 40 ზალპური ცეცხლის საარტილერიო სისტემის ერთეულს, 400 ერთეულ ჯავშანტექნიკას, 400 ერთეულ სატრასპორტო

112 Kulikov. A. Runov. In "All Caucasian Wars of Russia", a complete encyclopedia, Yauza-Eksmo publishing house "Moscow, 2013, pp. 537-540

სამხედრო მანქანას, 60 ერთეულ საბრძოლო მანქანას (უფრო ტაქტიკური დონის, მაგალითად რუსული „ტიგრები"). ამასთან ერთად, ასეთ ოპერატიულ დაჯგუფებას ზურგს უმარგებდნენ ადგილობრივი აფხაზი და ოსური სეპარატისტული სამხედრო შენაერთები, რომელთა საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა სავარაუდოდ 6500 მებრძოლს[113].

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოტენციალი, 2008 წლის აგვისტოს ომისთვის, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ ცხინვალის საბრძოლო მოქმედებათა თეატრის მიმართულებით, სავარაუდო რფ-ის შეირაღებული ძალების მხრიდან სამხედრო პროვოკაციების აღკვეთის მიზნით, შეადგენდა 18 ათასს სამხედრო მოსამსახურეს, 120 საბრძოლო ტანკს, 30 საარტილერიო და სარაკეტო სისტემის ერთეულს, 40 ზალპური ცეცხლის საარტილერიო სისტემის ერთეულს, 80 საარტილერიო და სარაკეტო სისტემის ერთეულს, 120 ჯავშანმანქანას და საბრძოლო მანქანას (მაგალითად, თურქული წარმოების საბრძოლო მანქანა „კობრა" და „ეჯდეერი")[114]. მოცემული საბრძოლო პოტენციალით საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობას შეეძლო თავისუფლად გამოეყენებინა ე.წ. „მანევრირებადი ომის" სტრატეგია, რაც გულისხმობდა ისეთი ტაქტიკური ერთეულების ფართოდ გამოყენებას, როგორიცაა: შემორტყმა, შემოვლა, ე.წ. „მარწუხების" მანევრები და ა.შ. მაგრამ აღნიშნული ელემენტი არ იქნება გამოყენებული არცერთხელ, რამაც გარკვეულწილად იქონია საბოლოო შედეგზე გავლენა.

საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების სავარაუდო რაოდენობა, რომელიც ქვეყნის მთავარსარდლის განკარგულებაში იყო, შეადგენდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" მიმართულებაზე: თავდაცვის სამინისტროს 15 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეს, შსს-ს

113 Pukhov.R - „The Tanks of August", Centre for Analysis of Strategies and Technologies, Moscow, Russia, 2010, pp.141-142
114 Ibid., pp.143-144

5 ათასამდე პირადი შემადგენლობის მოსამსახურეს და 30 ათასამდე რეზერვისტს (მათი გათვალისწინება, როგორც საბრძოლო ოპერატიული რეზერვი, წარმოადგენს აბსოლუტურად ნაკლებად ეფექტურ კომპონენტებს, რომელმაც სამწუხაროდ სრულად გაამართლა სამხედრო მოქმედებების პერიოდში). ამავდროულად, კოდორს იცავდა შსს-ს 500-მდე და თავდაცვის სამინისტროს 2500-მდე სამხედრო მოსამსახურე[115]. ასეთი იყო სავარაუდო კუთხით საქართველოს შეიარაღებული ძალების ოპერატიული დაჯგუფება ამ თეატრის მიმართულებაზე. ამავე დროს, საქართველოს შეიარაღებული ძალების ოპერატიული დაჯგუფება, თავის მხრივ, შედგებოდა შემდეგი სახის შენაერთებისაგან: პირველი მექანიზებული ბრიგადა, მეორე ქვეითი ბრიგადა, მესამე ქვეითი ბრიგადა, მეოთხე ქვეითი ბრიგადა, მეხუთე ქვეითი ბრიგადა და პირველი საარტილერიო ბრიგადა[116].

საინტერესო იქნებოდა გაგვეხილა თუ როგორ რეალური ანუ დე-ფაქტო სამხედრო რაოდენობრივი (აღნიშნული ფაქტორი გამომდინარეობს იქიდან, რომ ორივე მხარე იყენებდა თითქმის ერთი და იმავე საბრძოლო სისტემებს, ძირითადად საბჭოთა წარმოების) თანაფარდობა არსებობდა რუსეთის ფედერაციის და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შორის ამ თეატრზე, საომარი მოქმედებების დაწყების და უშუალოდ მსვლელობის დროს, რომელიც ზოგადად შეიძლება გამოხატოს სამხედრო ძალისა და საბრძოლო ტექნიკის სახით.

საერთო ჯამში, თუკი მოვახდენთ ზოგად შეფასებას, 2008 წლის აგვისტოს ომის უფრო მეტად იხრება, რომ ის განიხილებოდეს როგორც **შეზღუდული სამხედრო კონფლიქტი** და მისი განვითარების ტემპი და ხანმოკლე დროის პერიოდი კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნული კლასიფიკატორს

115 Karkarashvili. G. - "This is our homeland is burning", Tbilisi, 2009, p. 53
116 Pukhov. R -"The Tanks of August", Centre for Analysis of Strategies and Technologies, Moscow, Russia, 2010, pp.143-144

(აღნიშნულში განიხილება რაოდენობრივი კომპონენტის ფაქტორი - იხილეთ ზემოთ - თუმცაღა საქართველომ მთლიანად გამოიყენა საკუთარი საბრძოლო პოტენციალი და მისთვის, განსაკუთრებული შემთხვევის კონტექსტში, აღნიშნული სამხედრო კონფლიქტი, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ლოკალური ომი). აღნიშნული კონცეპტუალური მიდგომის შემუშავებისას გამოყენებული იქნა ე.წ. „სექურიზაციის“ თეორია და მისი მოდელები: სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების „რგოლები“, რომლის ფარგლებში განხილული იქნა უშუალოდ ეს კონფლიქტი.

თავი მეთორმეტე - რუსეთ - საქართველოს სამხედრო კონფლიქტის გავლენა გლობალური უსაფრთხოებაზე

რუსული პოლიტიკური სისტემა დროთა განმავლობაში სულ უფრო ცვალებადი გახდა, ცვლილებებთან ერთად სახელმწიფო ტრანსფორმირდა ტოტალიტარულ ერთეულად, მისი დამახასიათებელი ერთ - ერთი თვისებას საგარეო მმართველობის აგრესიული ფორმა წარმოადგეს, რომელსაც განსაკუთრებით მეზობელი სახელმწიფოების მიმართ იყენებს. რუსეთი ძირითადად მიმართავს ხისტ სტრატეგიებს, რომლებიც გულისხმობს სამხედრო და არასამხედრო საშუალებების თანმიმდევრულ გამოყენებას, რათა შეავიწროოს ამერიკის და მისი მოკავშირეების გავლენა ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ. რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები გადართულია იმისკენ, რომ შეასუსტოს აშშ - ის ლიდერობით არსებულ საერთაშორისო სისტემა, რომელიც მოიცავს ევროპის თითქმის ყველა წამყვან სახელმწიფოს უსაფრთხოებას.

რუსეთ - საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, საომარმა მოქმედებებმა პლანეტის ყველაზე ცხელ წერტილში ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ სირიაში გადაინაცვლეს.

სირიის კონფლიქტი 2011 წლის აგვისტოში დაიწყო, შვიდი გადამდგარი გენერლის მიერ ჩამოყალიბებულმა თავისუფალმა სირიულმა არმიამ, რომელმაც ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მიერ საკუთარი მოსახლეობის მიმართ ცეცხლის გახსნას პირველად უპასუხა[117].

საომარი მოქმედებების პროცესში **გამოსაყოფია, რუსეთის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში** - რუსეთის მიერ სირიის კონფლიქტში სამხედრო ჩარევა ადასტურებს მის დიდი ხნის სურვილს, შეითავსოს გარკვეული ტიპის

117 How Russia's Putin became the go-to man on Syria. 5.2020. p.1. https://www.bbc.comn

გეოსტრატეგიული ლიდერის ფუნქცია ხმელთაშუა ზღვის რეგიონში.[118] 2015 წლის სექტემბერში სირიის კონფლიქტში რუსეთის ოფიციალურად ჩაერთო, ამ ქმედებით მან გადაარჩინა ასადის რეჟიმი ტოტალური მარცხისაგან, რუსეთმა, მისმა მოკავშირე ირანმა და ასადის რეჟიმმა ერთობლივი ძალებით, მაგრამ თანმიმდევრულად შეძლეს სირიის სხვადასხვა რეგიონში არსებული წინააღმდეგობის კერების ჩაქრობა. რუსეთი ამ დროის განმავლობაში აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას, ის თავიდანვე მხარს უჭერდა ასადის რეჟიმს, თუმცა 2015 წლის სექტემბრამდე ვლადიმერ პუტინი თავს იკავებდა სამხედრო მოქმედებში ჩარევისაგან. 2016 წელს რუსეთმა ასადის მხარდაჭერა სამხედრო მიმართულებით გააძლიერა, რამაც სამთავრობო ძალებს ალეპოს დაკავებისა და სამხედრო უპირატესობის მოპოვების საშუალება მისცა.

რუსეთის ფედერაციის ინტერესები სირიაში: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი სირიის კონფლიქტში ჩარევის ერთადერთ მიზეზად ტერორიზმთან ბრძოლას ასახელებდა, მისი მოტივები სხვადასხვა ფაქტორებით განისაზღვრებოდა :

- რუსეთს სურდა სირიის კონფლიქტი იმგვარად დასრულება, სადაც თავად წარმოჩნდებოდა მთავარ აქტორად, ასევე ცივილიზირებულ სამყაროს დაანახებდა, რომ მას შესწევდა ძალა გლობალური სახის კონფლიქტების მოგვარების.
- რუსეთს არ სურდა კონფლიქტი თურქეთთან, რომელსაც ამერიკელების წინააღმდეგ შეთქმულებაში იყენებდა, ასევე მისთვის მიუღებელი იყო ირანული სამხედრო ბაზების არსებობა სირიაში, რადგან შიშობდა, რომ ამ შემთხვევაში ირანს, რუსეთთან შედარებით, მეტი გავლენა მოხდენა შეეძლო ასადის რეჟიმზე.

118 Russia and the war in Syria: In for the long haul, 10.2020. p.1. https://www.dw.com

- ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ჩრდილოკავკასიელი მებრძოლები, რომელიც მისთვის ზედმეტ თავისტკივილს წარმოადგენდა, გრძელვადიანად სირიაშივე დაეტოვებინა.

წარმოებული კონფლიქტი, რომელიც დღესაც გრძელდება და მიიჩნევა 21-ე საუკუნის უდიდეს პოლიტიკურ შეცდომად, [119]რუსეთს ძალიან ძვირი დაუჯდა, დღევანდელი მდგომარეობით, მის ინტერესებშია, რომ რაც შეიძლება მოკლე პერიოდში დასრულდეს სირიის სამოქალაქო ომი, რადგან ამ პროცესებმა რუსეთს დიდი დრო და ფინანსები წაართვა.

ჰეგემონობისათვის მებრძოლმა რუსეთმა, რომელმაც მისი გეოპოლიტიკური ინტერესები ახლო აღმოსავლეთში გაატარა,[120] პარტნიორად გაიხადა ისეთი ძალა ბაშარ ალ-ასადი სახით, რომელმაც მშვიდობიან მოქალაქეები ქიმიური იარაღით დახოცა. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ცხადყოფს რუსეთის სახეს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე, დღესდღეობით მისი ჰეგემონური მიზნების განხორციელება ახლოს აღმოსავლეთში ნაკლებად შესაძლებელია.

ახლო აღმოსავლეთის მოვლენების პარალელულად რუსეთმა პოლიტიკური კრიზისი უკრაინაშიც შექმნა. **უკრაინის მოვლენები,** რომელიც 2014 წელს დაიწყო, [121]უკავშირდება პრო რუსული ძალების კონცენტრაციას უკრაინულ პოლიტიკაში. მაიდანზე შეკრებილ ხალხს გაუჩნდა ლეგიტიმური პროტესტის იმის გამო, რომ იმდროინდელმა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა უარი თქვა ევროკავშირსა და უკრაინას შორის ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელი მოწერა. პროტესტის ტალღამ მთელი

119 *Russia's Intervention in Syria: Historical and Geopolitical Context , 15.2020. p.1.* https://www.fpri.org

120 *Syria Used Chemical Weapons 3 Times in One Week, Watchdog Says, 3.2017. p.1.* https://www.nytimes.com

121 *Crimea crisis: What is happening between Ukraine and Russia? | Euronews Answers, 30.2018. p.1.* https://www.euronews.com

უკრაინა მოიცვა და მოვლენები რევოლუციური სცენარით განვითარდა.

გაქცეული იანუკოვიჩის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ უკრაინის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განხორციელება დაიწყო, რაც ყირიმის ოკუპაციაში გამოიხატა. რუსეთმა გადაწყვიტა უკრაინა ისევე, როგორც საქართველო, დაესაჯა არჩეული საგარეო პოლიტიკური კურსის გამო, რუსეთის ნაციონალური და ეროვნული ინტერესებში უკრაინას წამყვანი როლი ეჭირა, რუსეთის გაღიზიანებას იწვევდა, თავისუფალი ვაჭრობა უკრაინასა და ევროკავშირს შორის,[122] რადგან ის პოტენციურ საფრთხეს ხედავდა, უკრაინის ევროპასთან დაახლოების, საბოლოო ჯამში ამ დოკუმენტის რატიფიცირება ვერ მოხერხდა, რუსეთის პოლიტიკური ზეწოლის შედეგად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთმა ზეწოლა არ იკმარა და სამხედრო აგრესსიით შელახა, უკრაინის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

რუსეთის ინტერესები უკრაინაში რამდენიმე ფაქტორით არი განპირობებული:

- ეკონომიკური კავშირი - რუსეთი წარმოადგენს გარკვეული სახის უკრაინული წარმოების პროდუქციის დიდ შემსყიდველს, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს ის დიდწილად დამოკიდებულია უკრაინელი სპეციალისტების მომსახურებაზე სამხედრო სექტორის მხრივ. (კოსმოსური და სარაკეტო მშენებლობის კომპონენტში)
- რუსეთისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისაა ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებული **შავი ზღვის ფლოტი** რაც აძლევს რუსეთს შესაძლებლობას პოზი-

122 *Ukraine: Conflict at the Crossroads of Europe and Russia – 5.2020. p.1.* https://www.cfr.org

ციების გაიმყაროს, შავ ზღვაში და ასევე ყურადღებით ადევნოს თვალყური ნატოს პოზიციონირებას.

- რუსეთი დიდი ხანია, ცდილობს შეამციროს თავისი დამოკიდებულება უკრაინაზე და ევროპაში თავისი გაზი უკრაინის ტერიტორიაზე გაუტარებლად გაიტანოს. რუსული ენერგო მიმართულება, რომელიც მოიცავს ახალი ,,სამხრეთ ნაკადის" მშენებლობას, პროექტი ითვალისწინებდა რუსეთის ბუნებრივი აირის მიწოდებას შავი ზღვის სანაპიროდან ბულგარეთამდე, საიდანაც ის უნდა მიეწოდებინათ სამხრეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის, მათ შორის უნგრეთის, სერბეთისა და ავსტრიისთვის. ნახსენები პროექტი საბოლოო ჯამში ვერ განხორციელდა.

ასევე აღსანიშნავია, რუსი და უკრაინელი ხალხის თანაცხოვრების საკითხი, მოგეხსენებათ ქვეყნის აღმოსავლეთი რეგიონი დასახლებულია ეთნიკურად რუსებით, ისინი მიიჩნევენ, რომ მათი იდენტობა განუყოფელია და ასევე საერთო კულტურის მატარებელია[123]. აქედან გამომდინარე რუსეთი მტრულად უყურებს უკრაინის დასავლურ ღირებულებებთან ზიარებას, რადგან ეს ყველაფერი მათი აზრით *რუსოფობიისკენ* განაწყობს უკრაინელ ერს.

რუსეთის ქმედებები სწორედ, რომ განპირობებულია ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე მის მთავარ იდეად *საბჭოთა სახელმწიფოს რეინკარნაცია* განიხილება, სუპერსახელმწიფოს შექმნა, რომელიც იქნება მთავარი აქტორი. საქართველოსთან გამოხატული სამხედრო აგრესიის შედეგად მივიღეთ, ტერიტორიების ოცი პროცენტის ოკუპაცია და იძულებით გადაადგილებული პირთა შიდა მიგრაცია[124]. სწორედ იგივე ფორმით და შეცვლილი გეოპოლიტიკური მიზნებით

123 Pomerantsev. P - "Nothing is real and everything is possible" - pp. 21-23. Tbilisi - 2017
124 Causes and Potential Solutions to the Ukraine and Russia Conflict, 27.2020 - https://www.e-ir.info

მოახდინა ყირიმის ოკუპაცია, საერთაშორისო თანამეგობრობის უამრავი მოწოდების მოუხედავად ის ყურადაც არ იღებს, შეწყვიტოს საქართველოში ბორდერიზაციის პროცესი, ქართულ - უკრაინული პრობლემები იდენტური ხასიათის მატარებელია, რადგან ორივე ქვეყანას ჰყავს ერთი დიდი მტრული ძალა, რუსეთის სახელმწიფოს სახით.

არსებული პრობლემები, რომელიც რუსეთმა ხელოვნურად შექმნა უკრაინაში, ამ ყველაფერს დასავლეთის მხრიდან მოჰყვა მძიმე სანქციები[125], 2014 წელს ნატომ რუსეთთან ყოველგვარი სამხედრო თანამშრომლობა შეწყვიტა, ხოლო ევროკავშირმა 2017 წელს ყირიმის ანექსიის გამო რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები 2018 წლის 23 ივნისამდე გააგრძელა[126]. ამის შემდგომ მოყვა აშშ - ის მიერ 2017 წლის 2 აგვისტოს მიღებულ კანონპროექტი, რომელიც რუსეთის, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მიმართ, ითვალისწინებდა ახალ სანქციებს. სანქციების მთავარი მიზანი იყო *არასდროს ეღიარებინათ ყირიმის უკანონო ანექსია რუსეთის მხრიდან და ნებისმიერი ტერიტორიის განცალკევება უკრაინისგან სამხედრო ძალის გამოყენებით.* გამოყენებული სანქციები, ასევე რამდენიმე ნაწილად იყოფოდა: ამერიკას სურდა რუსული ენერგო რესურსის შემცირება, [127]რომელიც „ჩრდილოეთის ნაკადი 2"- ის პროექტის სახელით იყო ცნობილი, ვაშინგტონი მილსადენის პროექტის განხორციელებას ეწინააღმდეგება, რადგან იგი ევროპის რუსულ ენერგოწყაროებზე დამოკიდებულებას გაზრდის და რუსეთს აღმოსავლეთ ევროპის სატრანზიტო ქვეყნებზე გავლენის ბერკეტს მისცემს. „ჩრდილოეთის ნაკადი 2"- ის, როგორც პროექტის მნიშვნელობა

125 Russia and the United States Negotiate the Future of Ukraine, 1.2014 , https://worldview.stratfor.com/article/russia
126 Treasury Sanctions Illegitimate Russian-Backed Crimean Officials and Railroad Company Linking Crimea to Russia, 29.2020, https://home.treasury.gov/news/press-releases
127 Nord Stream 2 spells pain for Ukraine, 14.2020, https://www.gtreview.com/magazine/volume

რუსეთისთვის მართლაც სტრატეგიულია, ის საშუალებას მისცემს უკრაინაზე, როგორც სატრანზიტო ქვეყანაზე, დამოკიდებულება უახლოეს წლებში მინიმუმამდე შეამციროს და რუსული გაზის მთავარ მომხმარებელ გერმანიასთან პირდაპირი კავშირი დაამყაროს[128].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, უკრაინაში რუსული გავლენების ზრდა შეინიშნებოდა, განსაკუთრებით ეს ხდებოდა სამხრეთ უკრაინის ტერიტორიებზე. ისტორიული წარსული იმას მიუთითებს, რომ რუსეთის იმპერიამ სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისათვის უკრაინის ტერიტორიაზე ახალი ქალაქები დააარსა: სევასტოპოლი, ნიკოლაევი (ამჟამინდელი მიკოლაევი), ეკატერინოსლავი (ამჟამინდელი დნეპროპეტროვსკი), ოდესა. ცარისტული რუსეთის ძალისხმევით ცენტრალურ და აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე „ახალი რუსეთი“ შეიქმნა. ამ მოვლენებიდან გამომდინარე, რუსული პოლიტიკური ელიტა უკრაინის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებს დღესაც, განსაკუთრებით კი 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, „ახალი რუსეთის“ სახელით მოიხსენიებს, რითაც უკრაინის ამ ტერიტორიების მიმართ საკუთარი ისტორიული უფლებების არსებობას უსვამს ხაზს.

თანამედროვე უკრაინის დასავლეთ და ცენტრალურ რეგიონებში სულ უფრო მეტად საუბრობენ უკრაინულად, ამ რეგიონში მცხოვრები ხალხი მხარს უჭერენ უკრაინის ევრო - ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთსა და სამხრეთში მცხოვრები ხალხის პოზიცია რუსეთის სასარგებლოდ იხრება. ორი განსხვავებული უკრაინის არსებობა ისტორიული პროცესებით არის განპირობებული[129], ამ ყველაფრის რუსული ფაქტორიც უწყობს ხელს, რაც საუკუნეების განმავლობაში უკრაინის რეგიონების სხვადასხვა

128 Congress, Nord Stream II, and Ukraine , 12.2019, https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/d -
129 Ukrainian Extremists Will Only Triumph if Russia Invades, 17.2014, https://newrepublic.com/article/117395/historic

ისტორიულ განვითარების შედეგებზე აისახა. დღეისათვის უკრაინის ისტორიულ წარსულზე და პოლიტიკურ მომავალზე საზოგადოების განსხვავებული ხედვები კი, უკრაინის სახელმწიფოს ფორმირებისათვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.

უკრაინაში დაპირისპირების დაწყებისას, კრემლი უარყოფდა, რომ მისი სამხედროების არსებობას აღმოსავლეთ უკრაინაში იმყოფებოდნენ. ის აცხადებდა, რომ მის ტექნიკას და ჯარისკაცებს საზღვარიც კი არ გადაეკვეთათ. [130]რუსული სახელმწიფო მედია, რომელიც დეზინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენდა უკრაინის ცენტრალურ მთავრობას ,,ფაშისტთა ხუნტად“ მოიხსენიებდა. თუმცა დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიუხედავად, რუსული ვერსიის დამაჯერებლობა ცოტამ თუ ირწმუნა. ნაწილობრივ, ამის მიზეზად, 2008 წლის საქართველოს გამოცდილება მიიჩნეოდა[131].

რუსული პროპაგანდა, მსგავსად უკრაინის მოვლენებისა, საქართველოს შემთხვევაშიც აცხადებდა, რომ მისი მიზანი მხოლოდ სამშვიდობოების დაცვა და *ოსების გენოციდის თავიდან აცილებას იყო.* რუსეთის პოზიცია მხოლოდ ერთისკენ იყო მიმართული, ომის დაწყებაში დაედანაშაულებინა საქართველო და ცდილობდა საერთაშორისო არენაზე ,,თავი მშვიდობის მყოფელის სტატუსით წარმოეჩინა“.

,,კავკასიისა და ცენტრალური აზიის ინსტიტუტის“ დირექტორი, მკვლევარი სვანტე კორნელი წერდა, რომ რუსეთმა უამრავი ფინანსური დანახარჯი გაწია *რათა მსოფლიოსთვის დაეჯერებინა, რომ ომი არა რუსეთმა, არამედ საქართველომ დაიწყო.* ასევე მისი მოსაზრებით რუსეთი ბორდერიზაციის პროცესს იმიტომ აგრძელებს, რომ ქვეყანაში ესკალაციის

130 Pomerantsev. P - "Nothing is real and everything is possible" - pp. 21-23. Tbilisi - 2017
131 Russian-language media: Can Ukraine compete with the Kremlin?,15.04.2021, https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/ kremlin/

საფუძველი მომზადებული ჰქონდეს[132]. უკრაინის მოვლენებმა ნათლად დაანახა მსოფლიო საზოგადოებას რუსეთის მიზნების შესახებ და ასევე ნაწილობრივ პასუხი გასცა იმ კითხვებს, რაც 2008 წლის მოვლენების გარშემო ტრიალებდა. ბრიტანელი ჟურნალისტი პიტერ პომერანცევი, რომელიც 2013 წლიდან აქტიურად წერს და მუშაობს რუსულ პროპაგანდაზე ამბობს, რომ *„ჩვენ გვესმოდა იგივე უკრაინის შემთხვევაში, რადგან წარმოებულ კონფლიქტში ბევრი უკრაინას ადანაშაულებდა, რუსეთს ბევრი არაფრის გაკეთება არ სჭირდება, რადგან არსებობს მოსაზრება (რომელიც საინტერესო გამოსაკვლევია) ჰეგემონის თაობაზე, რაც საქართველოშიც და უკრაინაშიც გვესმის, რომ არ უნდა მივცეთ მათ პროვოცირების საშუალება, რადგან ჩვენ ვიცით რას წარმოადგენს რუსეთი და როგორია მისი საგარეო პოლიტიკა, ჩვენ ვიცით, რომ ისინი აგრესიულები არიან და ვიცით როგორ უპასუხებენ. ჩვენ ჩვენი ადგილი უნდა ვიცოდეთ“.*

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რუსეთის ერთ-ერთი მთავარი იარაღის -პროპაგანდის როლი, რუსული ტელეკომპანიების სახელმწიფო სამსახურში ჩადგომა, რაც ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იწყება[133]. მის მოსვლის შემდეგ ტოტალურად დაიწყო მედია კონტროლი და პირველად ეს მოხდა 2001 წელს „ენტევეს“ მიმართ, რომლის მიზეზიც ტელევიზიის მიერ ჩეჩნეთის მეორე ომში, რუსეთის ქმედებების კრიტიკა გახდა, ობიექტურად გაშუქებულმა მოვლენებმა მედიაგარემო რუსეთში დრამატულად შეცვალა[134]. მან კიდევ უფრო გააძლიერა მედია პროპაგანდა და „რაშა თუდეი“ და “სპუტნიკი” შექმნა. დღეს ,,სპუტნიკი“ 34 ქვეყანაში მაუწყებლობს და ინფორმაციას 30 ენაზე გადასცემენ, ეს მედიაკომპანიები

132 *Is Russia going to war with Ukraine and other questions, 13.04.2021, https://www.bbc.com/news/world*

133 *Inside a pro-Russia propaganda machine in Ukraine, 13.2017, https://www.bbc.com/news/blogs-trending*

134 *Inside Russia's state-media propaganda machine, 13.2017, https://www.politico.eu/article/russia*

იყვნენ სწორედ 2008 წლის ომში მთავარ დეზინფორმაციის მანქანად წარმოდგენილები.

კრემლის მედია პროპაგანდა აგვისტოს ომის დროს მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ტელეკომპანია НТВ და მისი სატელიტი მედია საშუალებები, ავრცელებდნენ ისეთ დეზინფორმაციას, სადაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ დაესხა თავს საქართველო ე.წ სამხრეთ ოსეთს, მიწასთან გაასწორა დასახლებული პუნქტები და ქალაქი ცხინვალი, ხოლო რუსეთის საბრძოლო თვითმფრინავები საქართველოს ტერიტორიაზე სისხლისღვრის და შემდგომი დესტაბილიზაციის შესაჩერებლად შევიდნენ.

ერთი და იმავე ინფორმაციის მასიურად გავრცელების თარიღად 8 აგვისტო, რუსულმა მედიასაშუალებებმა სპეციალურად შეარჩია. აღნიშნული თარიღი რუსულ - ქართული კონფლიქტის დაწყების რუსულ ვერსიად მიიჩნევა, რომლის მიხედვითაც, სამხედრო მოქმედებები პირველად ქართულმა მხარემ დაიწყო, რუსული ჯარები კი საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიდნენ. რუსულმა მედიამ გარკვეულწილად უარყო 9 აგვისტოს, ასევე მან The Reuters - ის მიერ გადაღებულ ფოტოებს ფალსიფიკაცია უწოდა, რომელიც რუსული ავიაციის მიერ ქალაქ გორის დაბომბვას ასახავდა. მან მიზანმიმართული დეზინფორმაციული კამპანია 10 აგვისტოს გააჩაღა, რუსული მედიასაშუალებები ავრცელებდნენ მასალებს, სადაც ამტკიცებდნენ, რომ გორის დაბომბვის კადრები დადგმული, ხოლო Reuters - ის ფოტოები ყალბი იყო. ამ ფაქტს მოწმობს, 13 აგვისტოს რუსულმა პორტალმა ,,Эхо Москвы''-ს ჟურნალისტ ალექსეი ვენედიქტოვის მიერ გაყალბებული ინტერვიუ Reuters - ის მიმართ, რომელიც ერთ - ერთ ავტორიტეტულ ინგლისის საინფორმაციო სააგენტოს, ყალბი ფოტო მასალის გავრცელებაში ადანაშაულებდა. 2017 წელს ამერიკის სადაზვერვო უწყებების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 2016 წლის ივლისში რუსეთის უმთავრესი

პროპაგანდისტული არხის (Russia Today) მთავარმა რედაქტორმა მარგარიტა სიმონიანმა გაზეთ კომერსანტთან აღნიშნა, რომ *2008 წლის აგვისტოში, მაშინ, როდესაც ,,რუსეთის თავდაცვის სამინისტრო საქართველოსთან ომობდა, Russia Today საინფორმაციო ომს მთელი დასავლური სამყაროს წინააღმდეგ აწარმოებდა“* [135].

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ბოლო წლების კვლევები ცხადყოფს, ომის შემდგომი რუსული პროპაგანდის გავრცელებას საქართველოში, რომელიც ერთი მხრივ მუდმივად თესავს ომის განახლების შიშს, მეორე მხრივ კი, მიზანმიმართულად აღვივებს უნდობლობას, საქართველოს არჩეული კურსის გამო და გარკვეულ წილად ამბობს, რომ ომის დაწყების შემთხვევაში, საქართველოს მისი სტრატეგიული პარტნიორები ვერ დაიცავენ. საქართველოს დადანაშაულებას აგრესიული ქმედებების განხორციელებაში, რუსული პროპაგანდა არა მხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ შიდა პოლიტიკურ დისკურსშიც ახდენს და წარმოებულ სამხედრო კონფლიქტის მთავარ წყაროდ ყოფილ სახელისუფლებო პარტიას და მის ლიდერს მიიჩნევს.

რუსული დეზინფორმაციის კამპანიის მიუხედავად, რომელიც ცდილობს ხალს მსოფლმხედველობა შეაცვლევინოს, სხვადასხვა კვლევების მიხედვით, დასტურდება რომ, საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სურს დასავლეთთან ინტეგრაცია, პრო - რუსული განწყობების მიუხედავად, ისინი მხარს უჭერენ ევრო - ატლანტიკურ ინსტიტუტებში საქართველოს ჩართულობას.

135 Russian propaganda after August 2008 and the war, 6.2018 - https://www.myth-detector.ge/ka/myth/rusuli

დასკვნა

მასობრივი განადგურების იარაღი (WMD) აერთიანებს სამი კლასის იარაღთა სისტემას: ატომურს (ბირთვულს), ბიოლოგიურსა და ქიმიურს. ისინი განსხვავდება ჩვეულებრივი იარაღისაგან როგორც შეუდარებლად მეტი გამანადგურებელი ძალით, ისე იმ ზიანის მასშტაბით, რაც მათი გამოყენების თანამდევ და შემდგომ მოვლენებს მოაქვს. მსოფლიოში დღეს არსებული მასობრივი განადგურების იარაღი საერთო სიმძლავრე გაცილებით მეტია, ვიდრე დედამიწაზე სიცოცხლის სრული მოსპობისათვის იქნებოდა საკმარისი. ამიტომ ცივი ომის დროიდან დღემდე დასავლეთ–აღმოსავლეთის ურთიერთობების ერთ–ერთი ძირითადი საკითხი მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების შეზღუდვა და განიარაღება იყო. მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ძალისხმევაც იქითკენაა მიმართული, რომ ეს იარაღი ავტორიტარული და უპასუხისმგებლო რეჟიმების ხელში არ აღმოჩნდეს. სწორედ ამ პროცესების ლოკალიაციის კუთხით არი ჩართული აშშ-ს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტო (DTRA).

სამხრეთ კავკასიაში შემავალ ქვეყნების სტაბილური მდგომარეობა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში, რომელთაც ამ რეგიონის მიმართ დიდი გეოპოლიტიკური ინტერესი გააჩნიათ. ამერიკის როლი, რეგიონში კონფლიქტური სიტუაციების აღმოფხვრას ემსახურება, ხოლო რუსეთის პოლიტიკა რეგიონში ორიენტირებულია იმით, რომ დაამკვიდროს არასტაბილური ვითარება და შექმნილი ვითარების ფონზე მოახდინოს დომინირება, როგორც მთავარმა აქტორმა საკუთარი ინტერესების გასატარებლად. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ - ერთ პრიორიტეტად ითვლება, მოახდინოს სამხრეთ კავკასიაში შემავალი ქვეყნების ერთმანეთისაგან გათიშვა, ეს გულისხმობს მათი ორმხრივი ურთიერთობების სამმხრივად გარდაქმნას, რა თქმა უნდა რუსეთის ჩართულობით. რუსეთი

გარკვეულწილად ჩართულია სომხურ - აზერბაიჯანულ კონფლიქტის მოგვარებაში, მაგრამ მისი ინტერესების სომხეთზე ტოტალური კონტროლით შემოიფარგლება. რაც შეეხება ქართულ - აზერბაიჯანულ ურთიერთობებს, რომელიც სტრატეგიული პარტნიორობით შემოიფარგლება, რუსეთისათვის ეს გარკვეული დისკომფორტის მატარებელია, რადგან ქართულ - აზერბაიჯანულ ალიანსს ის სკეპტიკურად უყურებს, მის სასიკეთოდ საქართველო - აზერბაიჯანსაც შორის ხდება გაურკვევლობა დავით გარეჯის საკითხთან მიმართებაში. (საქართველო - აზერბაიჯანის საზღვრის ამ მონაკვეთთან დაკავშირებული პრობლემა უკვე წლებია დროდადრო მწვავდება ხოლმე, ხელისუფლებების მოლაპარაკებების შემდეგ კი მხოლოდ დროებით გვარდება).

ამერიკის როლი რეგიონთან მიმართებაში მკვეთრად განსხვავდება რუსეთისაგან, ის ცდილობს დაიცვას ბალანსი ყველა სახელმწიფოებთან მიმართებაში. კონფლიქტის დარეგულირების კუთხით ამერიკასთან ერთად ევროკავშირმაც ვერ მიაღწია რაიმე მნიშვნელოვანს, ვაშინგტონის ინტერესები ძირითადად ორიენტირებულია: ენერგო რესურსების სწორად განაწილებაზე, უსაფრთხოების საკითხებზე და ასევე დემოკრატიის პროცესების განვითარებაზე. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება სწორედ დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკურ - ეკონომიკურ რეფორმები სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში. ესეთი პროცესები დაიწყო სომხეთში, რომელიც 2018 წელს რევოლუციით დასრულდა, საერთო ფართომასშტაბიან გამოსვლებს გამოკვეთა პროდასავლური ლიდერი ნიკოლ ფაშინიანის სახით, მისმა მოსვლამ პრემიერად გარკვეულწილად შეცვალა სომხეთის საგარეო პოლიტიკა, რომელიც გარკვეულწილად რუსეთზე იყო დამოკიდებული.

ნიკოლ ფაშინიანის დანიშვნიდან ორი წლის თავზე ,,გაყინული კონფლიქტს“ თავიდან ჩაეყარა საფუძველი, შესაძლოა ვივარაუდოთ ეს რუსეთის ჩართულობითაც მოხდა, რადგან 2016 წლიდან რუსულ - სომხური ურთიერთობები გარკვეულ ეტაპზე უარყოფითად კორექტირდა. დემოკრატიული პროცესების განმტკიცება რეგიონში, ხელს შეუწყობს რეგიონალურ სტაბილურობის, დაჩქარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციას, დასავლური და ევროპული მიმართულებით, ხოლო პოზიტიურ გავლენას მოახდენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების პროცესზე.

2008 წლის საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სადაც რუსეთი, როგორც აგრესორი ისე გამოიკვეთა, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან აღიქვა, ქვეყანა რომელმაც მეზობელს წაართვა სამხედრო გზით ტერიტორიები. 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაცია ღიად ჩაება კონფლიქტში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე და განახორციელა ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. აგვისტოს მოვლენების შემდეგ, კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის ნორმალიზება დღესაც ვერ ხერხდება, რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტის ფონზე საქართველოს ორ რეგიონში მოხდა რუსეთის სამხედრო ბაზების ფორმირება. სეპარატისტული რეჟიმების წახალისებით ხდება ქართული მოსახლეობის უკანონო დაკავება, ისინი პერმანენტულად აგრძელებენ საქართველოს ტერიტორიების ანექსიას.

ასიმეტრიული საფრთხეების ფონზე, კიდევ უფრო იზრდება იმის მოთხოვნა, რომ საქართველო ჩაერთოს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ამ მექანიზმით მან გაანეიტრალოს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები. კავკასიაში მიმდინარე პროცესებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, წარმოებულ პროცესში დასავლეთი, რუსეთი და თურქეთი წამყვანი პოლიტიკური აქტორები არიან, რომელთაც თავიანთი პირდაპირი ინტერესები გააჩნიათ.

ბიბლიოგრაფია

1. Abashidze. Z. - “Cold War” past or present? - Tbilisi, 2009.
2. Asmus. R. - “A Little War That Shook the World” - 2010.
3. August 2008 Planned War?, 9.2012.
4. Carol. K. Fink - ,,Cold War” – 2014.
5. Cem. I - Turkish Foreign Policy: Opening New Horizons for Turkey at The Beginning Of a New Millennium 2002.
6. Geukjian. O. - Ethnicity, Nationalism and Conflict in the South Caucasus – 2012
7. Cohen. A. Hamilton. R - ,,The Russian Military and the Georgia War”, 2011.
8. Dahrendorf.R - Class and class conflict in industrial society, 1959.
9. Gegeshidze. A. - “Opening the European perspective of Georgia” - 2018.
10. D. F. Fleming - ,, Woodrow Wilson and Collective Security Today“ - 2006
11. Kenneth N. Waltz - The Origins of War in Neorealist Theory – 1998.
12. Kenneth N. Waltz - Man, the State, and War – 1965.
13. Katsitadze.K - “Fundamentals of Strategy”, “Rainbow” publishing house, editor - Vakhtang Kapanadze, Tbilisi, 2007.
14. Kennedy. R - ,, The Will to Believe: Woodrow Wilson, World War I, and America’s Strategy for Peace and Security” – 2009.
15. Kakachia. K, Meister. S, Fricke. B. - Geopolitics and Security: A New Strategy for the South Caucasus – 2018.
16. Krüger. H - The Nagorno-Karabakh Conflict: A Legal Analysis – 2010. pp 50-55
17. Karkarashvili. G. - “This is our homeland is burning”, Tbilisi, 2009.
18. Kulikov. A. Runov. In “All Caucasian Wars of Russia”, a complete encyclopedia, Yauza-Eksmo publishing house “Moscow, 2013.
19. Kissinger. H. - ,,Diplomacy” – 1994.
20. Thomas S. Szayna - ,, Ethnic Conflict in Central Europe and the Balkans”
21. Pomerantsev. P - “Nothing is real and everything is possible” - Tbilisi – 2017

22. The Israeli-Palestinian Conflict - ,,Historical and Prospective Intervention Analyses“ – 2003.
23. Treverton.G, Thvedt.A - ,,Addressing Hybrid Threats“ – 2018.
24. Maisaiah. V, Maghradze. G - International politics of the 21st century and the theory of “cooperative security”: myth and reality - regional and global aspects - Tbilisi 2017.
25. Pukhov.R - ,,The Tanks of August“, Centre for Analysis of Strategies and Technologies, Moscow, Russia, 2010,
26. Papava. V - About the geopolitical role of the “Central Caucasus”, 2010.
27. Waltz. K. - ,,Man, the State, and War” – 1959.

ინტერნეტ რესურსები

28. ,,Asymmetric Warfare: Definition, Tactics & Examples“. P.1. https://study.com/
29. Giorgi Antidze / Operation “Desert Storm” - 30 years since the outstanding military campaign - https://geocase.ge/ka/publications
30. Clausewitz and the politics of war: A contemporary theory. https://www.tandfonline.com
31. Central Asia: U.S. Says Resolving Conflicts A Top Priority. P.1. https://www.rferl.org
32. Digging out of Deadlock in Nagorno-Karabakh. P.1. https://www.crisisgroup.org/
33. Persian Gulf War / HISTORY.COM EDITORSUPDATED:NOV 1, 2022ORIGINAL:NOV 9, 2009 - https://www.history.com/topics/middle-east
34. U.S. Army Center of Military History / Operation DESERT SHIELD - https://history.army.mil
35. U.S. Army Center of Military History / OPERATION DESERT STORM: 17 JANUARY to 28 FEBRUARY 1991 - https://history.army.mil/html/bookshelves

36. The Cold War (1945–1989) - ,,Towards a bipolar world (1945–1953)“ – 2016.
37. Marshall Plan / HISTORY.COM EDITORSUPDATED:NOV 1, 2022ORIGINAL:-DEC 16, 2009 - https://www.history.com/topics/world-war-ii/marshall
38. Soviet invasion of Afghanistan - https://www.britannica.com/event/Soviet-invasion
39. The Soviet Invasion of Afghanistan and the U.S. Response, 1978–1980 - https://history.state.gov/milestones/1977-1980/
40. What was the Cold War—and are we headed to another one? - https://www.nationalgeographic.com/
41. Hybrid Warfare – New Threats, Complexity, and ‘Trust’ as the Antidote - https://www.nato.int/docu/review/articles/2021/11/30/hybrid-warfarce
42. The Evolution of Russian Hybrid Warfare: Executive Summary - https://cepa.org/comprehensive-reports/the-evolution-of-russian
43. RUSSIAN HYBRID WARFARE - https://www.understandingwar.org/report/russian-hybrid-warfare
44. Russia’s “Hybrid Aggression” against Georgia: The Use of Local and External Tools https://www.csis.org/analysis/russias-hybrid-aggression-against-georgia
45. The 2008 Russo-Georgian War: Putin’s green light - https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/the-2008-russo-georgian-war-putins
46. Georgia: First Victim of Russia’s War on Democracy - https://cepa.org/article/georgia-first-victim-of-russias-war
47. Georgia: A Place of Ethnic Unrest and Civil Strife - https://adst.org/2013/11/georgia-no-peace-i-find/
48. Georgia: Abkhazia and South Ossetia - https://pesd.princeton.edu/node/706
49. Never-Ending Ethnic Conflicts in Georgia - https://moderndiplomacy.eu/2021/08/20/never-ending-ethnic
50. ETHNIC RELATIONS AND CONFLICTS IN CENTRAL EUROPE - https://fountainmagazine.com/1999/issue-26-april

51. Von Clausewitz on War: Six Lessons for the Modern Strategist. P.1. https://www8
52. Jerusalem violence: The Israeli-Palestinian situation explained. P.1. https://www.bbc.com
53. Evictions in Jerusalem Become Focus of Israeli-Palestinian Conflict. P.1. https://www.nytimes.com
54. Benjamin Netanyahu elected prime minister of Israel. P.1. https://www.history.com/
55. Israel’s Benjamin Netanyahu: Commando turned PM. P.1. https://www.bbc.com
56. Martin Indyk: ‘Change of leadership on both sides’ needed. P.1. https://www.dw.com/
57. Russia’s policy in the North Caucasus”: fear and hatred. - https://www.radiotavisupleba.ge
58. Yalovitsi: Shevardnadze told me that the Russians will not forget this for a long time https://www.amerikiskhma.com
59. “Human Rights Watch” report on human rights in Georgia. p. 1 https://old.civil.ge/
60. On Piping Out Caspian Oil, U.S. Insists the Cheaper, Shorter Way Isn’t Better. P.1. https://www.nytimes.com/
61. Simakovsky: In 2008, we failed to calculate Russia’s geopolitical goals. p. 1. https://www.amerikishkhma.com
62. EU relations with Georgia. P.1. https://www.consilium.europa.eu/
63. THE AUGUST WAR, TEN YEARS ON: A RETROSPECTIVE ON THE RUSSO-GEORGIAN WAR -https://warontherocks.com
64. Digging out of Deadlock in Nagorno-Karabakh. P.1. https://www.crisisgroup.org/
65. The Nagorno-Karabakh Conflict: A Visual Explainer. P.1. https://www.crisisgroup.org/
66. Mapping the Nagorno-Karabakh Conflict. P.1.

67. Why the Long Conflict Over Nagorno-Karabakh Could Heat Up Again – P.1. https://www.worldpoliticsreview.com/
68. Organization for Security and Co-operation in Europe - Nagorno Karabakh (OSCE - NK). P.1. https://www.canada.ca/en.html
69. On the OSCE Minsk Group, CiO Personal Representative, and High-Level Planning Group - https://osce.usmission.gov/on-the-report-on-the-osce-minsk-conference/
70. Nagorno-Karabakh profile – https://www.bbc.com/news/world-europe-18270325
71. What does the equal rights principle in OSCE Minsk Group Statement mean for Nagorno-Karabakh? - http://www.virtualkarabakh.az/en/post-item/
72. Russia and the Nagorno-Karabakh Conflict: A Careful Balancing - https://www.ispionline.it/it/pubblicazione
73. THE AUGUST WAR, TEN YEARS ON: A RETROSPECTIVE ON THE RUSSO-GEORGIAN WAR., 17.2018. p.1. https://warontherocks.com
74. Russia's 'Neo-Imperialism' Is a Product of Complex Factors . 10.2020. p.1.
75. Lessons from the Russo-Georgian War: Seven Years Later, 08.08.2015 p.1. https://www.bbc.com
76. Georgia v. Russia: Strasbourg court rules in 2008 war case. P.1. https://www.bbc.com
77. Independent International Fact-Finding Commission on the Conflict in Georgia", Tbilisi - 2009. https://smr.gov.ge/uploads/prev/11415b.pdf
78. Commentary: How Putin defeated Saakashvili but lost to Georgia.
79. "Report of the international fact-finding mission related to the conflict in Georgia", first, second and third volumes, Tbilisi, September, 2009.
80. Telephone interview-consultation with Doctor of Military Sciences, former Chief of the General Staff, retired Major General Vakhtang Kapanadze, Head of Military Research of the "Geokas" Center, Tbilisi, August 8, 2022, at 19:00 in the evening.
81. How Russia's Putin became the go-to man on Syria. 5.2020. p.1. https://www.bbc.comn

82. Russia and the war in Syria: In for the long haul, 10.2020. p.1. https://www.dw.com
83. Russia's Intervention in Syria: Historical and Geopolitical Context , 15.2020. p.1. https://www.fpri.org
84. Syria Used Chemical Weapons 3 Times in One Week, Watchdog Says, 3.2017. p.1. https://www.nytimes.com
85. Crimea crisis: What is happening between Ukraine and Russia? | Euronews Answers, 30.2018. p.1. https://www.euronews.com
86. Ukraine: Conflict at the Crossroads of Europe and Russia – 5.2020. p.1. https://www.cfr.org
87. Causes and Potential Solutions to the Ukraine and Russia Conflict, 27.2020 - https://www.e-ir.info
88. Russia and the United States Negotiate the Future of Ukraine, 1.2014 , https://worldview.stratfor.com/article/russia
89. Treasury Sanctions Illegitimate Russian-Backed Crimean Officials and Railroad Company Linking Crimea to Russia, 29.2020, https://home.treasury.gov/news/press-releases
90. Nord Stream 2 spells pain for Ukraine, 14.2020, https://www.gtreview.com/magazine/volume
91. Congress, Nord Stream II, and Ukraine , 12.2019, https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/d
92. Ukrainian Extremists Will Only Triumph if Russia Invades, 17.2014, https://newrepublic.com/article/117395/historic
93. Russian-language media: Can Ukraine compete with the Kremlin?,15.04.2021, https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/kremlin/
94. Is Russia going to war with Ukraine and other questions, 13.04.2021, https://www.bbc.com/news/world
95. Inside a pro-Russia propaganda machine in Ukraine, 13.2017, https://www.bbc.com/news/blogs-trending
96. Inside Russia's state-media propaganda machine, 13.2017, https://www.politico.eu/article/russia

97. Russian propaganda after August 2008 and the war, 6.2018 - https://www.mythdetector.ge/ka/myth/rusuli
98. The 20th-Century History Behind Russia's Invasion of Ukraine -https://www.smithsonianmag.com/history/the-20th-century-history-behind
99. HOW THE US HELPED SET 'UKRAINE ON FIRE' https://therealnews.com/iiopatonok0810ukraine?
100. Standing for Democracy - https://www.faithfulcitizens4truth.org/standing-for-democracy-in-ukraine?E
101. Russia's Militarization of the Black Sea: Implications for the United States and NATO - https://cepa.org/comprehensive-reports/russias-militarizationite/
102. Russia in the Black Sea - https://www.mei.edu/publications/russia-black-sea
103. Remarks by Ambassador Yovanovitch at Opening of Naftogaz Oil and Gas Forum - https://ua.usembassy.gov/remarks-ambassador-yovanovitch
104. Russia reaches deal with Ukraine on $15 billion bailout - https://www.cnbc.com/2013/12/17/russia-reachesl
105. Ukraine protests after Yanukovych EU deal rejection - https://www.bbc.com/news/world-europe-25162563
106. NATO Wales Summit Guide - https://www.nato.int/cps/en/natohq/news_112107.htm
107. An Evaluation of the Wales Summit: NATO builds coalitions for conflict on multiple fronts - https://natowatch.org/pdf
108. Why did Russia invade Ukraine and has Putin's war failed? - https://www.bbc.com/news/world-europe89
109. What we know about the strikes on air bases hundreds of miles inside Russia - https://www.cnn.com/2022/12/06/europe/ukraine-russia-drone-attacks-l/index.html
110. Medvedev raises spectre of Russian nuclear strike on Ukraine - https://www.reuters.com/world/europe/russias-medvedev-warns-west--09-27/

111. Medvedev asserts Russia's 'right' to use nukes to defend its territory - https://www.timesofisrael.com/medvedev-affirms-russias-right/
112. The C.I.A. director meets with his Russian counterpart to warn against the use of nuclear weapons in Ukraine. - https://www.nytimes.comcia-burns-ukraine-russia-nuclear.html
113. Russia's nuclear threat in the Ukraine war and international security - https://civilcouncil.org/about-2
114. Why the Long Conflict Over Nagorno-Karabakh Could Heat Up Again, 8.02.2019, https://www.worldpoliticsreview.com/art,
115. 166. Why did Nagorno-Karabakh spark a conflict? 12.11.2020 - https://www.bbc.com/news/world-europe

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

www.mtsignobari.ge